ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№163 (222) 27 მარტი - 3 აპრილი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

განვითარების ის მოდელი, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ახორციელებს, საქართველოს გაჭისტასდროინდელ კუბად აქცევს

გაზეთის წინა ნომერში შემოგთავაზეთ გაზეთ **«საქართველო და მსოფლიო»**-ში დაბეჭდილი პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიასთან ინტერვიუს პირველი ნაწილი. შეპირებისამებრ, ვაგრძელებთ მასთან საუბარს.

– ბატონო ალექსანდრე, ცოტა ხნის წინ ინტერნეტში წავიკითხე თქვენი 2004 წლის გამოსვლა ევროპის პოლიტოლოგთა ფორუმზე, სადაც თქვენ ამტკიცებდით, რომ ევროკავშირს მომავალი არ აქვს, ე.ი. საქართველო ისწრაფვის იმ სტრუქტურაში, რომელიც სულ მალე აღარ იარსებებს?

– ევროკავშირი კიდეც რომ იყოს მდგრადი, პერსპექტიული ორგანიზაცია, საქართველოსთვის მისი კარი მაინც დახურული იქნებოდა. ჩვენ ვერასოდეს გავხდებით ერთიანი ევროპული სივრცის ნაწილი, ეს ყველა ადამიანს ესმის, ვინც გეოგრაფია იცის, გეოპოლიტიკაზე აღარაფერს ვამბობ. შევარდნაძისა და მისი მემკვიდრეების მიერ მოცემული პირობა, საქართველოს ევროკავშირში შეყვანის თაობაზე, თავიდანვე ბლეფი, მიმნდობი მოსახლეობის მოტყუება იყო. მაგრამ დღეს ეს იმდენად აბსურდულია, რომ მთავრობის ოდიოზური წარმომადგენლებიც კი ამჯობინებენ, არ განავრცონ ეს თემა – უკვე ძალიან სასაცილოდ ჟღერს.

ევროკავშირს, მხოლოდ **«ძველ ევროპას»** რომ მოიცავდეს, შეეძლო საკმაოდ დიდხანს – კიდევ 20 წელი ეარსება და ეკონომიკურად განვითარებულიყო, მაგრამ ამერიკელებმა დაჟინებით მოითხოვეს ევროკავშირის შემადგენლობაში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შეყვანა, რათა ისინი რუსეთისთვის მოეწყვიტათ და ამავე დროს, ევროკავშირი დაესუსტებიათ, ამან კი საერთო ვითარება ძირეულად შეცვალა. დღეს კავშირის წამყვან წევრებს – გერმანიას, საფრანგეთს ამ ქვეყნების სუსტი ეკონომიკის მხარდაჭერა საკუთარი რესურსების ხარჯზე უწევთ. ის სახსრები, რომლებიც ტრადიციული, მაგრამ შედარებით ღარიბი ევროპული ქვეყნების (ესენია იტალია, საბერძნეთი ესპანეთი და სხვ.) ეკონომიკის მხარდასაჭერად იხარჯებოდა, ახლა კავშირის ათეულობით ახალ წევრ ქვეყანაზე იფანტება. რამდენ ხანს შეიძლება ასე გაგრძელდეს? გერმანელებს მობეზრდათ ევროპელი მუქთახორებისთვის მეწველი ძროხის როლში ყოფნა. ეკონომიკის არათანაბარი განვითარება შეუძლებელს ხდის ამ ქვეყნების თანაარსებობას საერთო სამართლებრივი სივრცის ჩარჩოებში. საბერძნეთის გაკოტრება მხოლოდ დასაწყისია. პორტუგალია, ირლანდია, ესპანეთი რიგში დგანან, ძალიან მძიმე მდგომარეობა აქვს იტალიას. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო ვალიც ყველა დასაშვებ ზღვარს აღემატება. საერთოდ, დრია, ვადიაროთ, რომ ლიბერალური კაპიტალიზმის მოდელმა, რომლის მიხედვითაც დასავლეთი ბოლო 50 წლის განმავლობაში ვითარდება, საკუთარი თავი ამოწურა, ევროპის ქვეყნები ჩიხში შეიყვანა. ადრე თუ გვიან ევროპელებს და ამერიკელებს მოუწევთ იმის აღიარება, რომ ვალებში ცხოვრების გაგრძელება შეუძლებელია, საჭიროა მოხმარების მკვეთრი შემცირება, მეტი მუშაობა და რეალურად გამომუშავებული ფულის შესაბამისად ცხოვრება. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას **«ბერძნული ვარიანტი»** ელის. და მაშინ ევროპის ეროვნული ეკონომიკებისა და ევროკავშირის კრახი მოხდება.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც უპერსპექტივოს ხდის ევროკავშირის არსებობას, ხალხთა ეროვნული თვითშეგნებაა. მიუხედავად ამერიკელების წარმოდგენისა, რომლებიც თვლიდნენ, რომ საერთო ეკონომიკური სივრცე თანდათან წაშლიდა ეროვნულ განსხვავებებს და ერები გადაიქცეოდნენ ერთიან უეროვნებო მასად, ევროპის ხალხების დიდ ნაწილს ეროვნული თვითშეგნება ეზრდება, ეროვნული თვითგადარჩენის ინსტინქტი იღვიძებს. ერთიანი ევროპის კონსტიტუცია, მიუხედავად კოლოსალური აგიტაციურ-პროპაგანდისტული მუშაობისა, მაინც ვერ მიიღეს. ევროკავშირი თანამედროვე მსოფლიოში ვერ გახდა და უკვე ვეღარ გახდება ერთიანი გეოპოლიტიკური სუბიექტი. რას წარმოადგენენ ევროკავშირის ოფიციალური ხელმძღვანელები, ვინ უწევს მათ მსოფლიოში ანგარიშს? ვინ მიიჩნევს სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურად ბარუზოს, ვინ აღიქვამს ეშტონს ევროპის საგარეო საქმეთა მინისტრად? ეს სასაცილო, კარიკატურული ფიგურებია, რომლებიც იმას ასრულებენ, რაზეც გერმანიისა და საფრანგეთის ხელმძღვანელები (ჯერჯერობით ისევ) აშშ-ის თანამონაწილეობით მოილაპარაკებენ.

ევროპის ერები ეროვნულ სახელმწიფოებრიობაზე უარის სათქმელად მზად არ აღმოჩნდნენ, მეტიც, აშშ-ისა და ზოგადევროპული სტრუქტურების მხრიდან განხორციელებულმა ზეწოლამ უკურეაქცია – ნაციონალიზმის ზრდა გამოიწვია. დღეს სულ უფრო მეტი გერმანელი, ფრანგი, იტალიელი ითხოვს მიგრაციის შეზღუდვას, და არა მხოლოდ აფრო-აზიური, არამედ აღმოსავლეთ ევროპულისაც. მოითხოვენ ეროვნული ვალუტის დაბრუნებას, ევროპის შიგნით საბაჟოების აღდგენას, ეროვნული ბაზრების დაცვას, ეროვნული საქონლისა და ადგილობრივი მუშახელის მიმართ სახელმწიფო პროტექციონიზმს. მეტიც – ევროპული ქვეყნების შიგნითაც ძლიერდება სეპარატისტული ტენდენციები: იტალია ჩრდილოეთად და სამხრეთად გახლეჩის ზღვარზე დგას, ესპანეთში ისევ რამდენიმე სახელმწიფოდ დაყოფის საშიშროებაა. პატარა ბელგიაც კი – თავის დროზე ხელოვნურად შექმნილი სახელმწიფო, სიცოცხლისუნარიანი არ აღმოჩნდა და ყოველ წუთს დაშლა ემუქრება, ბრიუსელი კი ამ დროს ევროკავშირის დედაქალაქია!

თუ ევროპული ქვეყნების ხელმძღვანელობა, პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა არ მიაქცევენ სათანადო ყურადღებას საკუთარი ერების მზარდ უკმაყოფილებას, არ დააბრუნებენ თავიანთი ქვეყნების განვითარებას ეროვნულ კალაპოტში, მაშინ შედეგი უფრო სერიოზული იქნება ვიდრე, უბრალოდ, ევროკავშირის დაშლაა. არ უნდა დაგვიწყდეს, რომ ევროპა ფაშიზმის სამშობლოა. ფაშისტური და ნახევრადფაშისტური რეჟიმები გასული საუკუნის 30-იანწლებში თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში იყო, სრულიად ევროპა დაავადდა ფაშიზმით. და დღეს დაუკმაყოფილებელი ეროვნული მოთხოვნები შეიძლება რეალურ ფაშისტურ განწყობილებებში გადაიზარდოს. ამ ტრანსფორმაციის პროვოცირება ნებისმიერ მსხვილ კატაკლიზმს ძალუძს – ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს, ტექნოგენურ კატასტროფას, მსხვილ მოწინააღმდეგესთან, მაგალითად, ირანთან ომს.

– საქართველოს ნატოში შესვლასთან დაკავშირებულ ბანალურ შეკითხვასაც დაგისვამთ, თუ თქვენ ამაზე პასუხის გაცემა არ მოგბეზრდათ.

– ამ კითხვაზე იმ დროიდან ვცემ პასუხს, რაც შევარდნაძემ გაახმიანა ეს ქიმერა, რომელიც ძალიან ძვირი დაუჯდა და ჯერ კიდევ უჯდება ჩვენს ხალხს. ეს საკუთარი ერის თავხედურად მოტყუების კლასიკური მაგალითია. არსებობს ტყუილი, რომელიც სიმართლეს ჰგავს და არის აბსურდული ტყუილიც. ჩვენი ქვეყნის მმართველებმა გამოაცხადეს და ლამის ეროვნული იდეის რანგში აიყვანეს ნატოში შესვლისა და მისი დახმარებით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი, ანუ აბსურდული ტყუილი თქვეს. საკვირველია, მაგრამ მათ მოსახლეობის დიდ ნაწილს დააჯერეს ეს აბსურდი. მეტიც, რუსეთთან ყველა მოლაპარაკება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ შევარდნაძემ ფარსად აქცია, ის ხომ ფაქტობრივად რუსებს ეუბნებოდა: დაგვიბრუნეთ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი და საქართველო ერთიანად შევა ნატოშიო! თანაც ირწმუნებოდა, რომ რუსეთი ამაზე უნდა დათანხმებულიყო.

– შევარდნაძის ბოლო ინტერვიუებით თუ ვიმსჯელებთ, ამ პერსპექტივის მას თვითონ არ სჯერა. პირიქით, მოუწოდებს ხელისუფლებას, მოაგვარონ ურთიერთობები რუსეთთან, დასავლეთის დახმარებას კი ტერიტორიების დაბრუნების საქმეში გამორიცხავს. ახლახან «ასავალ-დასავალისთვის» მიცემულ ინტერვიუში სიტყვასიტყვით ამბობს: «საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას, რომელსაც ტერიტორიები აქვს დასაბრუნებელი, ნატოში არავინ მიიღებს. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების გზა კი მხოლოდ რუსეთზე გადის».

– გადადგომის შემდეგ ხანდახან სიმართლესაც ამბობს. ვინ უშლიდა ამის გაკეთებას, როდესაც პრეზიდენტი იყო? 12 წელი ხალხს აბითურებდა, ქვეყანა დაანგრია და ძალაუფლება თავის მემკვიდრეებს გადასცა, რომლებიც ბევრად უფრო დახვეწილი მატყუარები არიან, ვიდრე მათი მასწავლებელი.

საქართველოს თეორიულად შეუძლია ნატოში შესვლა, მაგრამ მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების და ამ ტერიტორიებზე ყველანაირ პრეტენზიაზე უარის თქმის შემდეგ. ქვეყნის ხელმძღვანელობას ეს მშვენივრად ესმის, დასავლეთთან კულუარულ საუბრებში ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების მზადყოფნას გამოთქვამენ, მაგრამ არ იციან, როგორ მიაწოდონ ეს ქართველ ხალხს. აღიარების იდეა, როგორც ცნობილია, უკვე შემოგდებულია ქართულ საზოგადოებაში. ვფიქრობ, არჩევნების შემდეგ ამ მიმართულებით მუშაობა გაძლიერდება და შეკვეთილი შედეგის მქონე რომელიმე პლებისციტით დასრულდება. მაგრამ, როგორც კი გავხდებით ნატოს წევრი, ჩვენსა და მოწყვეტილ რესპუბლიკებს შორის ისეთ კედელს ავაშენებთ, რომლის გადალახვაც უკვე შეუძლებელი გახდება.

ნატოს არასოდეს, არსად გაუერთიანებია ტერიტორიები. პირიქით, სადაც კი შევიდა, ყველგან ამას ქვეყნის რამდენიმე კვაზისახელმწიფოდ დაშლა მოჰყვა. მინდა, შევახსენო მათ, ვინც ოცნებობს საქართველოში ნატოს ბაზებზე, რომ იმავე ერაყში, რომელიც ამერიკელებმა **«ტირანისგან გაათავისუფლეს»**, მათი ჯარების გაყვანის დღე სახელმწიფო დღესასწაულადაა გამოცხადებული, ხოლო იაპონელების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ იაპონიის ისტორიაში ყველაზე ბედნიერი დღე ოკინავიდან ამერიკული ბაზის გაყვანის დღე იქნება.

ჩვენთან უყვართ მოყოლა, თუ როგორ გაბედნიერდნენ ნატოსა და ევროკავშირში შესვლის შემდეგ ბალტიისპირეთის ქვეყნები, მაგრამ, თუ სტატისტიკას მივმართავთ, აღმოვაჩენთ, რომ ლიტვის მოსახლეობა 10 წლის მანძილზე მესამედით შემცირდა, ლატვიიდან 300 000 ადამიანი წავიდა და იქ ახლა მოსახლეობა 2 მილიონიც არ არის. პატარა ესტონეთში რეალური უმუშევრობა 25-დან 30 პროცენტამდე მერყეობს, ხოლო 63 ათას ესტონელ ბავშვს სისტემატურად არ ჰყოფნის საკვები. აი, ასე **«გაბედნიერდნენ»** ეს ქვეყნები.

იცით, ვინაა ყველაზე მეტად, აშშ-ის გარდა, საქართველოს ნატოში შესვლით დაინტერესებული? თურქეთი და აფხაზეთისა და ოსეთის პოლიტიკური წრეები. თურქეთს ეს მისცემს საშუალებას, რუსეთს არც შეხედოს, ნატოს ბაზების ეგიდით შეიყვანოს თავისი ჯარები საქართველოში, საიდანაც 200 წლის წინ ისინი რუსებმა გაყარეს. ხოლო ძველი ურთიერთობების აღდგენის მოწინააღმდეგეებს აფხაზეთსა და ოსეთში ეს იმის გარანტიას აძლევს, რომ არანაირ რეინტეგრაციულ პროექტებზე საქართველოსთან აღარასოდეს იქნება საუბარი. რა ინტეგრაცია უნდა იყოს მაშინ, როდესაც საზღვრის ერთ მხარეს ნატოს თურქული ჯარები დგას, მეორე მხარეს კი –რუსეთის ჯარები?

გარდა ამისა, ნატო არის ორგანიზაცია, რომელმაც საკუთარი თავის დისკრედიტაცია მოახდინა. იმავე ევროპაში მილიონობით ადამიანი მოითხოვს საკუთარი მთავრობებისგან ნატოდან გამოსვლას, რადგან მიაჩნიათ, რომ ამორალურია ყოფნა ისეთ აგრესიულ ორგანიზაციაში, რომელიც მთელ მსოფლიოში სისხლს ღვრის. ევროპელებს ესმით, რომ ნატო მხოლოდ ამერიკული ინტერესების რეალიზაციის ინსტრუმენტი გახდა, ხოლო ამ ინტერესებისთვის ბრძოლა და სიკვდილი ევროპელებს უწევთ. ამიტომაა, რომ ევროპის ქვეყნებმა, რომლებიც საკუთარ თავს პატივს სცემენ, ავღანეთიდან თავიანთი სამხედრო კონტინგენტი გამოიყვანეს, ქართველები კი, გაუგებარია, რატომ დარჩნენ იქ საზარბაზნე ხორცად.

საინტერესოა, რომ საქართველოში უბრალო ხალხიც კი, რაც არ უნდა თქვან გაყალბებული პლებისციტის შედეგებზე, ნატოში შესვლის პერსპექტივის მიმართ ნეგატიურადაა განწყობილი. ხალხის ეს დამოკიდებულება იგრძნეს ზოგიერთმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ ნატოს მგზნებარე აგიტატორები იყვნენ, ბოლო დროს კი ამ საკითხზე ძალიან თავშეკავებული პოზიცია დაიკავეს. ამერიკელების ღიად წყენინების ჯერ კიდევ ეშინიათ, მაგრამ ნატოს ქება-დიდებასაც ვეღარ ბედავენ.

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)

2012 წლის 31 მარტს საქართველოს პირველი და ერთადერთი კანონიერად არჩეული პრეზიდენტი სულმნათი ზვიად გამსახურდია 73 წლის გახდებოდა

ედუარდ შევარდნაძემ და მისმა **"პოლიტიკურმა კუდებმა"** ჯერ საქართველოს კანონიერი ხელისუფლება დაამხეს იარაღის ძალით, შემდეგ ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მოკლეს მიპარვით, ვერაგულად, ბანდიტურად. ახლა კი ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ და მეთოდურად შლიან და ანადგურებენ საქართველოს ტერიტორიებს, ეკონომიკას, სულიერებას, ზნეობას, მორალს...

და მით სრულდება საქართველოს მუდამმოძულე სომეხ რეაქციონერთა მრავალსაუკუნოვანი მზაკვრული ჩანაფიქრი! ისტორიისათვის არსებითად მნიშვნელოვანია ის, რომ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენებს წინ უსწრებდა ეპოქალური მნიშვნელობის ძვრები საქართველოს ცხოვრებაში. ქვეყანაში მიძინებულმა ეროვნულმა მოძრაობამ 1988-1990 წლებში გამოიღვიძა. საბჭოეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური **"გარდაქმნის"** კურსმა კი მნიშვნელოვნად დააჩქარა **"წმინდა იდეის"** სახით არსებული, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურება, რამაც თავის მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბედისწერო როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის დაშლაში...

...1990 წლის 28 ოქტომბერს სრულიად საქართველოში მრავალპარტიული საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. ამ დღიდან არსებობა შეწყვიტა კომუნისტურმა მმართველობამ, რომელიც ქვეყანაში 1921 წლიდან დომინირებდა. ისმება კითხვა: რამ განაპირობა ხელისუფლების შეცვლა და ქვეყნის სათავეში ეროვნული ძალების მოსვლა? ვინ იყვნენ ისინი? რამდენად გამოხატავდნენ საქართველოს მოსახლეობის ნებას?..

...სადავო არ არის, რომ 80-იანი წლების მიწურულს ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი პოლიტიკური ძალები, რომლებიც ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გარდაქმნას მოითხოვდნენ, მაგრამ მათი მიღწევის გზები სხვადასხვა იყო.

ამ ხანებშ,ი როგორც საქართველოში, ასევე მთელ საბჭოთა კავშირში იკვეთებოდა სხვადასხვა სოციალურ ფენათა ინტერესებიც. ორთოდოქს კომუნისტთა დაბნეულობამ, ლიბერალური მოძრაობის არამდგრადობამ და წვრილბურჟუაზიული ჯგუფების ერთგვარმა ნეიტრალიტეტმა ხალხის ცნობიერებაში ამოატივტივა ეროვნული ძალების მოსვლის აუცილებლობა, რამაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ **და ეროვნულ მოძრაობას – "მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო"** – 1990 წლის არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოუტანა...

...სახელწოდება **"მრგვალი მაგიდა"** ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ იყო შერჩეული და ერთიანობას, თანამოაზრეობასა და თანასწორობას გულისხმობდა...

შემდეგ... მიმდინარეობდა ცალკეული განაწყენებული პირის, სამხედრო დაჯგუფების, ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის გადაბირება და კულუარული გარიგების პროცესი... მესამე ძალამ შესძლო ეროვნული ხელისუფლების ცალკეული პოლიტიკური ლიდერების გადაბირება.... მესამე ძალის მიერ საკმაოდ ღრმად იყო გათვლილი განხეთქილების შეტანა **"მრგვალი მაგიდის"** წიაღში, რომელმაც დენთის როლი შეასრულა ეროვნული ძალების ხელისუფლების დამხობაში.

დღეისათვის საზოგადოებრივ აზრში მტკიცდება მოსაზრება, რომ საქართველოში ეროვნული ხელისუფლების დამხობის უშუალო შემსრულებლებს ბოლომდე არ ჰქონდათ გააზრებული, ვისი ნების ბრმა განმხორციელებლები იყვნენ. ისინი მართლაც ბრმა იარაღად გამოიყენა მესამე ძალამ და ეს იმითაც დასტურდება, რომ უშუალოდ დამამხობელების ნაწილი დღეს ცოცხალი არ არის.

ზოგი საეჭვო ვითარებაში დაიღუპა, ზოგიც ციხის საკანში მოხვდა, ან იძულებული გახდა, რომ საქართველო დაეტოვებინა...

...ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს ძალოვან სტრუქტურებში მოღვაწე ბევრ პიროვნებას სამშობლოსა და ხელისუფლებისათვის არ უღალატნია და კანონსაწინააღმდეგო ქმედებები არ ჩაუდენია, მთავრობის საწინააღმდეგოდ იარაღი არ მიუმართავს. თუმცა, საფუძველს მოკლებული არ არის აზრი იმის შესახებ, რომ ძალოვან სამსახურებში იყვნენ მოღალატე სულისკვეთების მქონე ადამიანები, რომლებიც იოლად წამოეგნენ ოპოზიციის ანკესს და პირადი კეთილდღეობის თუ სხვა გარიგების მიზნით მონაწილეობა მიიღეს კანონიერი ხელისუფლების იარაღით დამხობაში...

...საქართველოში კანონიერი ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობის შემდეგ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი აპოლიტიკური გახდა. მან ხელისუფლებისგან მხოლოდ სოციალური და, უმეტესად, საყოფაცხოვრებო პირველადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოითხოვა. თუმცა იგი ვერ მიიღო, ამიტომ ისევ პოლიტიკას მიუბრუნდა და სახალხო რევოლუციის მამოძრავებელ ძალად იქცა.

ამიტომაც, მათი ლოგიკური კრიზისი მალე დაიწყო. ქართველ ხალხთან იარაღის ენით საუბარი შეუძლებელი იყო.

ტალეირანის ცნობილი ფრაზისა არ იყოს: **"ხიშტები ძალიან კარგია ხელისუფლების მოსაპოვებლად, მაგრამ ძალიან ცუდია დასაჯდომად"...**

...ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ ე.წ. გამარჯვებულმა დემოკრატიულმა კოალიციამ ვერ შეძლო ქვეყანაში კონტროლის დამყარება. ეს კი განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით: **პირველი** – ეროვნულ ხელისუფლებას და დამხობილ პრეზიდენტს მხარს უჭერდა მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც შეიქმნა კიდევაც საკმაოდ კარგად შეიარაღებული სამხედრო ბაზა.

მეორე – კანონიერი ხელისუფლების განდევნას მოჰყვა რეგიონებში სეპარატისტული ძალების გააქტიურება, ახალი ხელისუფლების მიერ წინასწარ განსაზღვრული ქმედებების შედეგებმა კი მიგვიყვანა ქართულ-აფხაზურ ომამდე, მესამე – გადატრიალების შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ ვერ გამონახა საერთო ენა კანონიერი ხელისუფლების მომხრეებთან. ძალადობრივი საშუალებები დაუპირისპირა მას. სახელმწიფო პოლიტიკის დონემდე აიყვანა ბრძოლა ე.წ. **"პროვინციულ ფაშიზმთან"** და სპეციალურად დაგეგმა სასტიკი ე.წ. სადამსჯელო აქციების ჩატარება საქართველოში, განსაკუთრებით – სამეგრელოში.

მეოთხე – დეკემბერ-იანვრის გადატრიალების შემსრულებლები (მხედრიონი, გვარდია და სხვა) ზვიად გამსახურდიას დამხობის საფასურად ითხოვდნენ ეკონომიკურად გარანტირებულ ცხოვრებას. მკვიდრდებოდა სახელისუფლებო რეკეტი, წესდებოდა წარმოება-ორგანიზაციებში დირექტორის მოადგილის სპეცციალური თანამდებობა მხედრიონის ან გვარდიის წარმომადგენლისათვის. მეხუთე – კანონიერი ხელისუფლების დამამხობელი ძალები ცდილობდნენ ჰქონოდათ მტკიცე პოლიტიკური დასაყრდენი ხელისუფლებაში და ამ მიზნით ქმნიდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებშიც გაერთიანებას იწყებდნენ ინტელიგენციის წარმოადგენლებიც...

ასე იწყებოდა საქართველოს რღვევა...

...საქართველომ უდიდესი პატივი მიაგო თავის ერთგულ შვილს და დიდ ერისკაცს, საქართველოს ზვარაკად შეწირულ მოღვაწეს.

ზვიად გამსახურდიამ, კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი პიროვნულ-ეროვნული სიდიადე და კიდევ ერთხელ მოუწოდა ერს სულიერი ერთიანობისა და თანხმობის, სიყვარულისა და რწმენისაკენ.

დრო ივიწყებს ზვიად გამსახურდიას ადამიანურ სისუსტეებს და წვრილმანებს. მომავალი თაობების მეხსიერებაში იგი დარჩება ხალხში გადასროლილი იდეებით, დაწერილი წიგნებით, მოგებული თუ წაგებული საქმეებით და თავგანწირვის მაგალითით.

ის ჭეშმარიტი ჭყონდიდელ-ცოტნეიდელია, **"აღმსარებელი მცნებათა უფლისა და დამდებელი სულისა საქართველოსა და მოყვასისათვის".**

ამინ!

იგორ კვესელავა,
პროფესორი,
ფაზისის საერო აკადემიის
ნამდვილი
წევრი, აკადემიკოსი

გაზეთ "ილორის" კომენტარი – მოდით, გავიხსენოთ: ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის ჟამს აფხაზეთში სერიოზული მოთხოვნები იყო წამოწეული ამ კუთხის საქართველოდან გამოყოფის თაობაზე. მაგრამ, როგორც კი საქართველოში ობიექტური არჩევნები ჩატარდა და ხელისუფლების სათავეში დიდი კონსტანტინეს პირმშო, ასევე უდიდესი პიროვნება ზვიად გამსახურდია მოვიდა, აფხაზეთში მაშინვე მიწყდა ანტიქართული საპროტესტო გამოსვლები. ეს ლოგიკურიც იყო – არ შეიძლებოდა იმ კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში, რომელიც ლამის აღმერთებდა აფხაზურ სულსა და მორალს, გაზრდილიყო პიროვნება, რომელიც სათანადოდ არ დააფასებდა ამ ჭეშმარიტად მებრძოლი სულისკვეთების მქონე და ღვთიურ სიმართლესთან წილნაყარი ხალხის გულისთქმას.

სწორედ ამან შეაშფოთა უკიდურესად ედუარდ შევარდნაძე და საქართველოში მოკალათებული სხვა ანტიქართული ძალები და, ქვეყნისათვის გადამწყვეტ ჟამს, მათ იმ სამაჩაბლოში შესძლეს საპროტესტო ტალღის აგორება, რომელთათვისაც ისე მახლობელი არ გახლავთ ქართველი ადამიანი, როგორც აფხაზეთისათვის.

დაიწყო ცხინვალის ომი, რამაც, ბუნებრივია, გარკვეული დისონანსი შეიტანა საქართველოს ეროვნული ხელისუფლების საქმიანობაში, რადგან მათ არ გააჩნდათ არც ომში და არც მშვიდობის ჟამს ხელისუფლების გაძღოლის დიდი გამოცდილება. ნაცვლად იმისა, რომ დახმარების ხელი შეგვეგებებინა ეროვნული ხელისუფლებისათვის, ქვემეხი და ტყვია დავუშინეთ მათ და, სამწუხაროდ, არ დავფიქრებულვართ იმაზე, რომ თურმე მაშინ საკუთარ თავს ვესროდით...

გვიან შევიგნეთ!

ერთხელ, როცა 80-იანი წლების დასასრულს ბიჭვინთაში დრამატურგთა სემინარზე ვიყავი მიწვეული, აფხაზმა მეგობრებმა მოგვაკითხეს და რესტორანში შესანიშნავი სუფრა გაგვიშალეს. უკვე იძაბებოდა სიტუაცია ქართველებსა და აფხაზებს შორის. ვცდილობდით სუფრისათვის მხიარულება შეგვემატებინა, მაგრამ ვგრძნობდით, რომ ეს მეგობრულ ანამეინახეობას კი არა, ერთმანეთთან დამშვიდობებას უფრო ჰგავდა.

ჩემსკენ გადმოიხარა შესანიშნავი აფხაზი პოეტი, სულგანათლებული ალექსი გოგუა და ჩამჩურჩულა:

– არ ვიცი, სად მიგვიყვანს ყოველივე ეს, მაგრამ ვიცი, რომ საქართველოს გარეშე აფხაზები დავიღუპებით...

დავიბენი, იმდენად გამაოგნებელი იყო ჩემთვის ამ ადამიანის განცხადება, რომლის ყველა საჯარო გამოსვლაში ჟღერდა აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის აუცილებლობა. თურმე მაშინ ალექსისთვის უნდა მეპასუხა:

– აფხაზეთის გარეშე საქართველოც დაიღუპება!

არ ვუპასუხე და ცუდადაც აგვიხდა ყველაფერი. ავადსახსენებელ ედუარდ შევარდნაძის მიერ დაგეშილ-დაფინანსებული ბანდიტები ცეცხლითა და მახვილით შევარდნენ აფხაზეთში და იქიდან, ნაძარცვნაოხრალ ლუსტრებსა და სხვა ქონებასთან ერთად ათეულ-ათასობით ცხედარი და სამასი ათასამდე ლტოლვილი **"გამოაყოლეს"** ხელს. იქაც ბევრი აფხაზის ცხედარი დატოვეს (საუკუნო ხსენება მათ სახელებს!)...

აფხაზეთის ომი სამარცხვინოდ დაიწყო და სამარცხვინოდ დამთავრდა, მაგრამ არა ედუარდ შევარდნაძისა და მისი დანაშაულებრივი გარემოცვისათვის, რომელთაც საკმაოდ მოითბეს ხელი ამ კამპანიაზე, არამედ სრულიად საქართველოსათვის, რომელიც ვინ იცის, უკვე მერამდენედ ვერ გაუფრთხილდა საკუთარ შვილების სიცოცხლეს!

აფხაზეთის ომი დღესაც სამარცხვინოდ გრძელდება, მაგრამ არა მიხეილ სააკაშვილისა და მისი დანაშაულებრივი გარემოცვისათვის, რომლებიც სარფიანად ითბობენ ხელს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ლტოლვილთა ჰუმანიტარულ დახმარებებზე, არამედ მთელი ქართველი ხალხისათვის!

გაიგეთ ხალხნო! საქართველოს მტრებმა კარგად იცოდნენ, რომ ქართველებსა და აფხაზებს ერთად ვერ დააჩოქებდნენ და ამიტომაც მოსწყვიტეს საქართველოს ეს ძირძველი მხარე და უსულგულო, ჯიშ და სქესგამოცლილი მანქურთებისა და ვიგინდარების საჯირითოდ აქციეს დიდი ისტორიული წარსულის მქონე ჩვენი ქვეყანა!

დააკვირდით, აფხაზეთის გარეშე საქართველო უკვე ლამის სულს ღაფავს ამ საერთაშორისო ინტრიგანებისა და ფულს დახარბებული მანქურთებისა და ვითომ გაქართველებული სომხების ხელში, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების გზას ევროპასა და ამერიკაში ეძებენ!

აფხაზებმაც კარგად იციან, რომ მათაც საკმაოდ დიდი საფრთხე ელით...

ყველა ქართველმა და აფხაზმა უნდა იცოდეს, რომ საქართველოს გამთლიანების ამერიკასა და ევროპაზე გამავალი გზა მხოლოდ ერევანში თუ ჩაგვიყვანს!

აფხაზეთში მიმავალი გზა კი მხოლოდ რუსეთსა და სამეგრელოზე გადის!

„ციტატა-შეხსენება

"დამისახელოს ვინმემ ისეთი პიროვნება ქართულ ისტორიაში, ვისაც ერთიანი საქართველოს შექმნისათვის, ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისათვის მეტი გაუკეთებია, ვიდრე გიორგი ჭყონდიდელმა გააკეთა. დამისახელოს ვინმემ ისეთი პიროვნება, რომელსაც საქართველოს, მათ შორის თბილისის, აფხაზეთის გაქართველებისათვის მეტი გაუკეთებია, ვიდრე ლავრენტი ბერიამ გააკეთა. დამისახელოს ვინმემ პიროვნება, რომელსაც ქართველთა სულიერი გაერთიანებისათვის, ქართული ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისათვის, ქართული სულის ამაღლებისათვის უფრო მეტი გაუკეთებია, ვიდრე ეს ზვიად გამსახურდიამ გააკეთა..."

ალექსანდრე ჭაჭია
2001 წელი

ეს ქანდაკება ზუგდიდში 2001 წელს დაიდგა ცნობილი ქართველი პოლიტოლოგის ალექსანდრე ჭაჭიას იდეითა და ინიციატივით. 31 მარტი ცოცხალი თარიღია, ჩვენ ის მხოლოდ წარსულის კუთვნილებად არ უნდა ვაქციოთ!

ჭეშმარიტება და მხოლოდ ჭეშმარიტება

მეგრული ენა — საგანთა უნივერსალური სამყაროს უნივერსალური მოდელი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 158, 159, 160, 161, 162)

როგორც ენათმეცნიერება გვასწავლის, **ნებისმიერი ენა საგანთა სამყაროს თავისებურ მოდელს წარმოადგენს.**

ენა, რასაკვირველია, საგანთა სამყაროს მოდელირებას ახდენს ენობრივი ნიშნების – სიტყვების მიხედვით.

თავისთავად ცხადია, რომ **რაც უფრო მდიდარია ენის ლექსიკა, მით უფრო სრულად არის მოდელირებული საგანთა სამყარო მოცემული ენის მიერ.**

მაგალითად, აფრიკისა და ავსტრალიის ჯუნგლებში ნაპოვნი მცირერიცხოვანი (20-30 კაცამდე, ჯგუფში) ველური ადამიანების ენებს, ცხადია, ვერ მოვთხოვთ საგანთა სამყაროს მოდელირების ისეთ დონეს, როგორიც თანამედროვე განვითარებული ენებისთვის არის დამახასიათებელი. მათ არ გააჩნიათ თვით ისეთი სიტყვებიც, როგორიცაა თოხი, ბარი და სხვა, ვინაიდან ასეთი საგნებიც კი არასოდეს ჰქონიათ. მნიშვნელოვანი განსხვავებაა ლექსიკის სიმდიდრის მხრივ თანამედროვე განვითარებულ ენებშიც. ასე, მაგალითად: თანამედროვე ჩინურ ენაში 50 000-მდე სიტყვას ითვლიან; ქართულის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში მოცემულია 113 000-მდე სიტყვა, რუსულის განმარტებითი ლექსიკონის ჩვიდმეტტომეულში – 120 500-მდე სიტყვა, ხოლო ინგლისურ ენაში, რომელიც აქამდე მსოფლიოს ენებს შორის უმდიდრესი ლექსიკის ენად იყო მიჩნეული და ამის გამო მსოფლიო რეკორდების გინესის წიგნშიც არის შეტანილი, 490 000-მდე სიტყვას ითვლიან.

რიგ თანამედროვე ენებში, კერძოდ, ძირისეულ ენებში, რომელთაც აფიქსები არ გააჩნიათ, მართალია, ლექსიკის სიმდიდრე დაბალია, მაგრამ აფიქსების მაგივრობას აქ სხვა საშუალებები ასრულებენ. ასე, მაგალითად, ჩინურ ენაში აფიქსების როლში გვევლინებიან სიტყვის მახვილი, ინტონაცია და სიტყვის ადგილი წინადადებაში. ამათი ცვლის კვალობაზე იცვლება ცალკეული სიტყვების მნიშვნელობა, რითაც ხდება ენის ლექსიკის გამდიდრება.

მეგრული ენა, როგორც უპირატესად აგლუტინაციური ანუ აფიქსებიანი ენა, გამოირჩევა აფიქსებისა და ზმნისწინების, საერთოდ საგრამატიკო საშუალებების გაოცარი სიმდიდრით, რაც განსაზღვრავს მისი ლექსიკის ასევე გასაოცარ სიმდიდრეს.

მაგრამ ლექსიკის სიმდიდრესთან ერთად, მეგრული ენის სიტყვები, განსაკუთრებით ზმნური ფონდის სიტყვები, ჩვეულებრივ, აღწერილობითი ხასიათისაა, რაც საგანთა სამყაროს მოდელირების დიდმნიშვნელოვანი საშუალება და პირობაა. ეს გამოიხატება შემდეგში:

ასე, მაგალითად, ქართულის ფორმები: **ზის, არის** და მისთანანი სტატიკურია, ზმნისწინებსა და აფიქსებს არ ირთავენ. ამიტომაც, გვაქვს შესატყვისობანი: ქვაზე **ზის,** სახლში **ზის,** გამოქვაბულში **ზის,** ჭაში **ზის** და ა. შ. მეგრულში კი, გვაქვს: **ხე** (ზის), მაგრამ: **გე-ხე** (ზედ ზის), **მულა-ხე** (შიგნით, ვთქვათ სახლში, ზის), **მითო-ხე** (შიგ მიდმივ, მაგ., გამოქვაბულში, ზის), **ინო-ხე** (შიგ სიღრმივ ქვე დაბლით, მაგ., ჭაში, ზის), **კ)ნო-ხე** (კუთხეში ზის), **კინო-ხე** (კუთხეში პირიქით ზის), **კუნო-ხე** (კუთხეში პირაქეთ ზის) და ა. შ. მსგავსადვე, მეგრულში გვაქვს: **რე** (არის), მაგრამ: **გე-რე, მულა-რე, მითო-რე, ინო-რე** და ასე შემდეგ, ვიდრე ამ ენის **86-ვე** ზმნისწინისა დართვამდე, რაც მეგრულის მრავალფერონავი სუფიქების გამოყენებით **18 000**-მდე სიტყვას გვაძლევს, მაშინ როდესაც ქართულში გვაქვს ამავე ძირზე დამყარებული მხოლოდ **32 სიტყვა.**

ამრიგად, მეგრულის ზმნები, ადგილის ზმნიზედისეული ზმნისწინების გამოყენებით, საგნის მოქმედების აღნიშვნასთან ერთაად, გვიჩვენებენ საგნის მოქმედების მიმართულებასაც და ადგილსაც, თანაც, მისი აღწერით.

მაგრამ, **იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედებას ასრულებს გარკვეული ნიშან-თვისების მქონე საგანი (მეგრულში კი, აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე), ზმნებში მოქმედი საგნის ეს ნიშან-თვისება ყველგან ვლინდება.**

ასე, მაგალითად: **მიო-გვანჯღ-ანც)** (გვინჯღალი, ანუ დაბალი, ჩია და ჩაფსკვნილი ერთგვარი, მიდის მისმიერი იერსახით), **გვანჯღ-ალანც)** (გვინჯღალი ლაპარაკობს უშნოდ და უნიათოდ), **გვანჯღ)-ნც)** (გვინჯღალი ჭამს უშნოდ და უნიათოდ), **ოჯვინჯღ-ინანც)** (ჯვინჯღალი გამოიყურება მისმიერი იერსახით) და ა. შ.

ამრიგად, **მეგრულის ზმნები, ადგილის ზმნიზედისეული ზმნისწინებისა და საგნის როგორადობის გამომხატველი ძირისეული ფორმების მეშვეობით, საგნის მოქმედების აღნიშვნასთან ერთად, უჩვენებენ საგნის მოქმედების მიმართულებასაც, ადგილსაც და მოქმედი საგნის ნიშან-თვისებასაც, მათი აღწერა-დახასიათებით.**

სხვაგვარად რომ ვთქვათ, **მეგრულის ზმნების აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი აღწერილობითი ხასიათისაა. ისინი გვიჩვენებენ ბუნების საგნებსა და მოვლენებს დროსა და სივრცეში, ერთმანეთთან მიმართებაში და ასე შემდეგ, ისევე, როგორც ყოველივე ეს ბუნებაში არის წარმოდგენილი.**

მაშასადამე, **მეგრული ენა, ლექსიკის განსაკუთრებული სიმდიდრისა და სიტყვების აღწერილობითი ხასიათის წყალობით, საგანთა სამყაროს წარმოგვიდგენს ისე, როგორც ის სინამდვილეში არის წარმოდგენილი.**

ამრიგად, **მეგრული ენა წარმოადგენს საგანთა სამყაროს თავისებურ (ზედმიწევნით) უკუფენას, მის მოდელს.**

თუ კი საერთოდ ითქმის, რომ ენა არის საგანთა სამყაროს მოდელი, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ **მეგრული ენა არის საგანთა უნივერსალური სამყაროს უნივერსალური მოდელი.**

მოკლედ, მეგრული ენის, სხვა ქართველური ენების, ზოგადად ანუ საერთოდ ენის და სხვადასხვა ენის ასაკის შესახებ

საერთოდ ენის და ადამიანის ასაკს, აქამდე, დაახლოებით **ერთი მილიონი წლით** საზღვრავდნენ. თანამედროვე ენების ასაკს კი **1000 წლით**, ხოლო ქართველური ენების ასაკს **4-5 ათასი წლით** საზღვრავდნენ.

რამდენიმე ხნის წინ აფრიკასა და ამერიკაში ნაპოვნი იქნა ადამიანთა ჩონჩხები, რომელთა ასაკი დაახლოებით 1 მილიონ 600 ათასი წლით განისაზღვრა.

ამასწინათ კი, **საქართველოში, დმანისის რაიონში** ნაპოვნი იქნა ორი ადამიანის ჩონჩხი, რომელთა ასაკი, გერმანელი სპეციალისტების დასკვნით, **1 მილიონ 800 ათასი წლით** განისაზღვრა. მათ, პირობითად, **ზეზვა და მზია** უწოდეს.

ცხადია, მათ წინაპრებიც ეყოლებოდათ, ანუ, ისინი **ადამი** და **ევა** არ იქნებოდნენ.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით უმთავრესია ის, რომ ზეზვა და მზია აღმოჩნდნენ ადამიანები და არა ნეინდერტალელები. **ადამიანი კი,– ეს არის მეტყველი, მოაზროვნე და გონიერი არსება.**

მაშასადამე, **ადამიანისა და ენის ასაკი, დედამიწაზე, დაახლოებით ორ მილიონ წელს ითვლის.**

რაკი ზეზვასა და მზიას ჩონჩხები ნაპოვნია საქართველოს მიწის წიაღში, უდავოა, რომ ადამიანის ასაკი დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ითვლის დაახლოებით 2 მილიონ წელს.

მაგრამ, გამორიცხული არ არის დაისვას ასეთი კითხვაც: იყვნენ კი, ზეზვა და მზია, მაინცდამაინც, ქართულ-ქართველური ეთნოსის (რასსის) ხალხების წინაპრები, ანუ პროტოქართველების წარმომადგენლები?

დიახ იყვნენ, შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

1. რელიგიური და ხალხური გადმოცემების მიხედვით, ღმერთმა პირველ ადამიანს სახელად **ადამი** უწოდა.

2. დედამიწაზე ამჟამად არსებული **5545 ენიდან,** ადამის მოდგმას ადამიანი ქართულ-ქართველურ ენებში ჰქვია.

3. სწორედაც საქართველოს მიწამ შემოინახა დაახლოებით 2 მილიონი წლის ადამიანთა ჩონჩხები.

4. ერთ-ერთი ქართველური ენა – მეგრული ენა, იგივე კოლხური ენა, რომელიც უშუალოდ მომდინარეობს პროტოქართული ენიდან, უმდიდრესი ლექსიკის მქონე ენაა დედამიწაზე. იგი ათეულობით (მეტიც: ასეულობით) მილიონ სიტყვას ითვლის.

5. მეგრულ ენას, ლექსიკის სიმდიდრის, სიტყვათა აღწერილობითი ხასიათისა და საგანთა უნივერსალური სამყაროს მოდელირების დონისა და ხარისხის მიხედვით, დედამიწაზე არსებული ვერც ერთი ენა ახლოსაც ვერ მიუვა.

6. მეგრული ენის ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი, კერძოდ, 99,2 პროცენტი ხმაბაძვითი წარმომავლობისაა და აშკარად წარმოაჩენს ენის წარმოშობის ჭეშმარიტ საფუძვლებს.

აღნიშნული და სხვა გარემოებანი, ცალ-ცალკე და ერთობლიობაში, მეტყველებენ იმაზე, რომ **პროტოქართული ენა და მისი უშუალო გაგრძელება კოლხური ენა, იგივე მეგრული ენა ადამჟამიერი, ადამისდროინდელი ენაა ანუ ადამის ენაა.**

მაგრამ საკითხავია: რა ასაკისაა სხვა ქართველური ენები და საერთო ქართული ენა? როდის წარმოიშვნენ ისინი?

ჩვენი ბოლოდროინდელი გამოკვლევებით (სამტომეულის მიხედვით) აღმოჩნდა, რომ **მეგრული ენის მთელი ლექსიკა ემყარება სულ რაღაც 6652 ძირისეულ თანხმოვნურ ფორმას, ანუ წარმოადგენს ამათს აფიქსირებულ-გრამატიზირებულ ფორმებს.**

აღნიშნული 6652 ძირისეული თანხმოვნური ფორმიდან ხმაბაძვითი წარმომავლობისაა 1869 ძირისეული თანხმოვნური ფორმა, ანუ 28,1 პროცენტი.

მეგრულის ლექსიკიდან კერძოდ ზმნური ფონდი ემყარება 2202 ძირისეული თანხმოვნურ ფორმას, საიდანაც ხმაბაძვითი წარმომავლობისაა 1869 ფორმა, ანუ დაახლოებით 85 პროცენტი, მაგრამ იმის გამო, რომ ხმაბაძვითი ფორმები ხასიათდებიან განსაკუთრებით მაღალი პროდუქტიულობით, მათზეა დამყარებული მეგრულის მთელი ზმნური ფონდის და თვით ამ ენის მთელი ლექსიკის 99,2 პროცენტი. მეგრულის ლექსიკის მხოლოდ დანარჩენი 0,8 პროცენტი შეადგენს ე. წ. „წმინდა წყლის“ პირობით ნიშნებს.

ასეთ პირობებში:

1. მეგრულ-ქართულში, მათი მთელი ლექსიკების წარმომდგენი ძირისეული თანხმოვნური ფორმების მიხედვით, ურთიერთგაგებინების დონე შეადგენს 56,2 პროცენტს. მათ შორის კი, ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმების მიხედვით ურთიერთგაგებინების დონე შეადგენს მხოლოდ 5,7 პროცენტს, ხოლო არახმაბაძვითი ძირისეულ თანხმოვნური ფორმების მიხედვით 70,1 პროცენტს.

2. მეგრულ-ქართულში, მათი მთელი ლექსიკების მიხედვით, ურთიერთგაგებინების დონე შეადგენს 6,5 პროცენტს, მათ შორის, ხმაბაძვითი ლექსიკების მიხედვით ურთიერთგაგებინების დონე შეადგენს მხოლოდ 5,7 პროცენტს, ხოლო არახმაბაძვითი ლექსიკების მიხედვით 70,1 პროცენტს.

საბოლოო ანგარიშით, **მეგრულ-ქართულში ურთიერთგაგებინების დონე (ერთნაირძირიანი სიტყვების მიხედვით) შეადგენს 6,2 პროცენტს.** მათ შორის, **ეს დონე ხმაბაძვითი სიტყვების მიხედვით შეადგენს 5,7 პროცენტს, ხოლო არახმაბაძვითი სიტყვების მიხედვით 70,1 პროცენტს.**

ვინაიდან საგნის სახელდებისა და ენის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ხმაბაძვითობა, თავისთავად ცხადია, რომ ხმაბაძვითი ფორმები (სიტყვები), ძირითადად, პირველადი ფორმებია ენისა, ხოლო არახმაბაძვითი ფორმები შედარებით გვიანდელი მოვლენაა ენაში.

აღნიშნული გარემოების გააზრებამ წარმოშვა იმის აუცილებელი საჭიროება, რომ გვეძია წყაროები, და, შეძლებისამებრ, დაგვედგინა **ქართულ-ქართველური ეთნოსის ხალხების განსახლების არეალი უძველეს და ძველ დროში, ვიდრე დღევანდლამდე.**

500-მდე უძველესი, ძველი თუ ახალი და უახლესი დროის უცხოელი – ბერძენი, იტალიელი, ინგლისელი, ამერიკელი, გერმანელი, ფრანგი, რუსი, ესპანელი, ავსტრიელი, ნორვეგიელი თუ სხვა სწავლულის, მეცნიერის, მკვლევარის, მწერლის, მოგზაურის, ისტორიკოსის, გეოგრაფის, ლიტერატორის და სხვათა მონაცემების შესწავლამ გვიჩვენა შემდეგი:

უძველეს და ძველ დროს ქართულ-ქართველური ეთნოსის ხალხები განსახლებული ყოფილან ევროპის (მისი თანამედროვე ქვეყნების: ინგლისის, საბერძნეთის, იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, პორტუგალიის, გერმანიის და სხვათა) თითქმის მთელ ტერიტორიაზე, აზიის ტერიტორიის ვეებერთელა სივრცეებზე. კერძოდ, თითქმის მთელ კავკასიაში, თანამედროვე ინდოეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, აფრიკის კონტინენტის ვეებერთელა ტერიტორიაზე და ცენტრალურ ამერიკაში (თანამედროვე მექსიკის ტერიტორიაზე) და სხვაგანაც.

აღნიშნულ ტერიტორიებზე ქართულ-ქართველური ეთნოსის ხალხები თუ ტომები, თავის დროზე, განსახლებული ყოფილან კოლხების, იბერების, შუმერების, პელაზგების, ეტრუსკების, აცტეკების, ხეთების და სხვათა და სხვათა სახით.

ამაზე მეტყველებენ როგორც წერილობითი წყაროები, ასევე არქეოლოგიური, ტოპონიმიკური, ეთნოლოგიური, გენეტიკური მონაცემები და აღნიშნულ ტერიტორიებზე დღეისათვის განსახლებული სხვადასხვა ეროვნების ხალხების ენებში (მათს ლექსიკებში) არსებული (დალექილი) ქართულ-ქართველური ენების, კერძოდ კოლხურის სიტყვათა ძირისეული ფორმები, მათი განსაკუთრებული სიუხვე. ყოველივე ამის შესახებ, სხვა საკითხებთან ერთად, სათანადო დოკუმენტურ-წყაროებრივი მასალები მოცემულია ჩვენს მიერ სამტომეულის სახით გამოსაცემად მომზადებულ ნაშრომში სახელწოდებით: **„საინტერესო მონაცემები ცალკეულ საენათმეცნიერო და ზოგადსამეცნიერო საკითხებზე ზოგადსაკაცობრიო პრობლემათა ჭრილში (ფაქტები, ჰიპოთეზები, დასკვნები).“**

ამრიგად, **მეგრულ-ქართულის ჩვენს მიერ მოპოვებული ენობრივი მონაცემები და მათგან გამომდინარე ვარაუდები სავსებით ემთხვევა უშორეულეს და შორეულ ეპოქებში ქართულ-ქართველური ეთნოსის ხალხების დედამიწის ზურგზე განსახლების მონაცემებს, და, მას ამაგრებს ქართულ-ქართველური ეთნოსის ხალხების ყოფილ საცხოვრის ტერიტორიებზე ამჟამად განსახლებული სხვადასხვა ეროვნების ხალხების ენებში ქართულ-ქართველური ენების სიტყვათა ძირების უხვად არსებობა. ეს უკანასკნელი გარემოება კი, მსოფლიოს ხალხებთან და ენებთან ქართულ-ქართველური ეთნოსის (რასის) ხალხებისა და ენების მონათესავეობის დამადასტურებელი ფაქტადაც გვევლინება.** თუმცა, ეს ცალკე შესწავლის საკითხია.

მაშასადამე, **ზემოაღნიშნულის მიხედვით, გვაქვს სრული საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ერთიანი წარმომავლობის ქართულ-ქართველური ეთნოსის (რასის) პირველყოფილ ადამიანებს, ერთიან სივრცეში უცხოვრიათ ენის წარმოშობის ერთ გარკვეულ საწყის პერიოდში. შემდგომში კი ისინი თანდათანობით გაშლილან და მოსდებიან დედამიწის თითქმის ყველა კონტინენტის უუვრცელეს ტერიტორიებს, რაც უთუოდ, არსებობა-ცხოვრებისათვის საჭირო ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების მოძიება-გამოყენების აუცილებლობით, მათ შორის, საკვებისა და თავშესაფრის მოპოვების, მტაცებელი ცხოველების, ფრინველების, ქვეწარმავლებისა და სხვათაგან თავდაცვის, ასევე, ბუნების სტიქიათაგან გადარჩენის აუცილებელი მოთხოვნებით იყო განპირობებული.** ცხადია, **ტერიტორიული განცალკევებულობის საფუძველზე უნდა მომხდარიყო ამ ხალხებში სხვადასხვა ენების წარმოშობა-განვითარებაც, რასაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ქართულ-ქართველური ეთნოსის ხალხების თუ ტომების საცხოვრის ტერიტორიებზე მანამდე სხვაგან მოსახლე სხვა რასის ხალხების თუ ტომების გაადგილება-განსახლების ინტენსიური პროცესი, რომელსაც უთუოდ თან სდევდა საკუთრივ ქართულ-ქართველური ეთნოსის ხალხების თუ ტომების ერთი ნაწილის განადგურების, ხოლო მეორე ნაწილის – შემოსახლებულ ძლიერ ხალხებთან თუ ტომებთან ასევე ინტენსიურად ასიმილაციის პროცესები.**

მამანტი ძაძამია, პროფესორი, აკადემიკოსი,
ცირა ძაძამია, პროფესორი, აკადემიკოსი



ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

ურიგო არ იქნება, გავეცნოთ ბერიას კიდევ ერთი კოლეგის აღიარებას:

"მე და ლავრენტი ბერია ხომ მუდამ ერთად დავდიოდით, ლამის ხელიხელჩაკიდებულები... მე და ბერიას ურთიერთობათა სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული პერიოდები გვქონდა... მაგრამ, ყველაზე ახლო და მეგობრული ურთიერთობა ჩვენ გვქონდა იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ. მე რომ არ დამერეკა მისთვის, დღეში ერთხელ მაინც, თავად მირეკავდა და მეკითხებოდა, რატომ არ მიკავშირდებიო. ვეუბნები – არ მცალია, საქმეები თავზესაყრელად მაქვს-მეთქი, მაგრამ იგი მაინც ჯიუტად მიმეორებს – არ ვიცი, გინდა თუ არა, დამირეკეო..."

ეს კოლეგა – ნიკიტა ხრუშჩოვი. და მან ეს სიტყვები წარმოთქვა 1953 წლის ივლისის პლენუმზე. მაგრამ, რამ აიძულა ნიკიტა, რომ კოლეგების წინაშე ედიარებინა **"განუყრელი მეგობრობა"** საბჭოთა ხალხის მტერთან? იქნებ ყველაფერი პირიქით იყო? იქნებ თავად ნიკიტა ურეკავდა ბერიას, რათა **"შესაბამისი ფონი"** შეექმნა მომავალი ბრალდებებისათვის?

მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ, საბჭოთა ლიტერატურაში, ათწლეულების განმავლობაში დაგროვდა ბრალდებათა მთელი კასკადი, მაგრამ მათ პირველწყაროს მაინც წარმოადგენენ ბერიას დემონიზაციისათვის ჩატარებული ორი მასშტაბური და კოორდინირებული ღონისძიების ამსახველი დოკუმენტები – 1953 წლის ივლისის **"ანტიბერიასეული"** პლენუმის მასალები და მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე. შედეგად სახეზე გვაქვს ცეკას პლენუმის სტენოგრაფიული ანგარიში და 39 ტომისაგან შემდგარი **"სისხლის სამართლის საქმე"** (პლუს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოთხი განსაკუთრებული საქაღალდე).

და ამ ორივე შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ისტორიულ ფალსიფიკაციასთან.

დავსვამთ კიდევ ერთ შეკითხვას – მაშ ვინ ჩაიფიქრა თავიდან ბერიას ფიზიკური ლიკვიდაცია? ბულგანინის გამოსვლაში ივლისის პლენუმზე არის ამგვარი პასაჟი:

"ბულგანინი: ... ამხანაგებო, ბერიას მხილება... მხილება და შემდეგ მისი დაპატიმრება უაღრესად ძნელი და სარისკო საქმე გახლდათ. და აქ ღირსეული პატივი უნდა მივაგოთ ამხანაგებს მალენკოვს, ხრუშჩოვს და მოლოტოვს (მქუხარე აპლოდისმენტები), რომლებიც ჩინებულად წარუძღვნენ ამ საქმეს და წარმატებით მიიყვანეს იგი ბოლომდე...

ხრუშჩოვი: არის ერთი კორექტივი: ნურც საკუთარ თავს გამოაკლებ ამ ჩამონათვალს. (აპლოდისმენტები).

ბულგანინი: მე შენ ძალიან გემადლიერები, ნიკიტა, ამ რეპლიკისათვის და გიცხადებ პირადად შენ და სხვა ამხანაგებს, რომ მე მოვიქეცი ისე, როგორც ასეთ შემთხვევაში უნდა მოქცეულიყო ყველა წესიერი ადამიანი (? – ს.კ.), პარტიის წევრი..."

მაგრამ ბუნებით ეშმაკმა ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ბულგანინმა აქ კიდევ ერთხელ მოიქნია კუდი ამიერიდან პარტიული ნომენკლატურის მთავარი სულთამპყრობელის ნიკიტას წინაშე და წაემლიქვნელა მას. ხრუშჩოვმა კი, მადლიერების ნიშნად, პასუხად მას წაუმლიქვნელა, ბერიას დაპატიმრების საქმეში მხარდაჭერისათვის, რათა სიმძიმის ცენტრი მასზე გადაეტანა, რადგან მოლოტოვი და მალენკოვი ამ საქმეში ნამდვილად არ იყვნენ პირველი ფიგურები.

თუმცა, ისიც ფაქტია, რომ იგივე იური ჟუკოვი წარმოაჩენს ანტიბერიასეულ კამპანიაში გიორგი მალენკოვს არა როგორც დამხმარე ძალას, არამედ როგორც ერთ-ერთ მთავარ საბედისწერო ფიგურას. რომ, თითქოს იგი დამოუკიდებლად მოელაპარაკა კრუგლოვს, სეროვს, ჟუკოვს და მოსკალენკოს და მხოლოდ შემდეგ ჩააყენა საქმის კურსში (!) ნიკიტა ხრუშჩოვი, ნიკოლოზ ბულგანინი და ანასტას მიქოიანი იმის თაობაზე, რომ ლავრენტი ბერია პირდაპირ, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომამდე უნდა აეყვანათ პატიმრობაში, ჯერ კიდევ მალენკოვის კაბინეტში.

მიუხედავად ამ ვერსიის სისულელისა, იგი, ჯერ კიდევ მაინც სიცოცხლისუნარიანია აკადემიურ წრეებშიც კი. ამიტომ, ზოგიერთ რამეზე დაწვრილებით უნდა ვისაუბროთ...

ჩემს მიერ უკვე ნახსენებ, 1998 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში პროფესორი ნაუმოვი წერდა შემდეგს: **"ამჟამად საბჭოთა მკვლევარებისათვის ხელმისაწვდომი გახდა ერთი დოკუმენტი, რომელიც სრულად აღადგენს არა მხოლოდ 1953 წლის 26 ივნისის მოვლენებს, არამედ ნაწილობრივ ნათელს ჰფენს ცეკას პრეზიდიუმის წევრების მზადებასაც, რათა პოსტიდან მოეხსნათ ბერია. ეს გახლავთ მალენკოვის სიტყვის შავი ჩანაწერები, რომლითაც იგი გამოვიდა ცეკას პრეზიდიუმის სხდომაზე და იგი გამოქვეყნებულია კრებულში "ლავრენტი ბერია. 1953".**

ეს მართლაც შავად შესრულებული ხელნაწერია, თანაც ორიგინალი, რომლის ავთენტურობა ეჭვს არ იწვევს, და მისი შინაარსი იმდენად ზუსტად ასახავს იმდროინდელი სიტუაციის არსს, რომ მისი ავტორი უეჭველად გიორგი მალენკოვია. ამ ჩანაწერების ავტორი მიიჩნევს, რომ ლავრენტი ბერიას დიდი შეცდომა გახლდათ მისი თანხმობა სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნაზე, რომელიც ხრუშჩოვსა და მოლოტოვთან იყო შეთანხმებული.

სულ ეს არის!

რათა მკითხველი დარწმუნდეს ამ სტრიქონების ჭეშმარიტებაში, მე მოვიყვან ფრაგმენტს მალენკოვის მიერ დაწერილი ტექსტიდან, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყება:

"მტრებს სურდათ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები პარტიასა და ხელისუფლებაზე მაღლა დაეყენებინათ.

ამოცანის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩავაყენოთ საბჭოთა პარტიისა და ხელისუფლების სამსახურში და ეს სამინისტრო უშუალოდ დაემორჩილოს მხოლოდ კომუნისტური პარტიის კონტროლს.

მომავალში აღარ უნდა განმეორდეს მსგავსი დანაშაული..."

ვის გულისხმობს მალენკოვი სიტყვა **"მტრებში"**?

ბერიას?

სხვათა შორის, უკანასკნელი ფრაზიდან იკვეთება, რომ მალენკოვს მხედველობაში ჰყავს არა ბერია, არამედ მისი წინამორბედი მინისტრები, რომლებიც ჯერ კიდევ ომამდე ხელმძღვანელობდნენ მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს და შინსახკომს. ესე იგი, უპირველესად – იაგოდა. მალენკოვის სიტყვის გაცნობა 1953 წლის ივლისის პლენუმზე უეჭველს ხდის ამ მტკიცებულებას – ამას გარდა მან პლენუმზე თქვა: **"...ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შეიძლება მოიძებნოს ფაქტები, როცა ჩვენი მტრები ცდილობდნენ, რომ პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელები თავიანთ ჭკუაზე ეტარებინათ..."**

ბერიასთან დაკავშირებით კი იგი თავის თეზისებში წერს:

"შინაგან საქმეთა ორგანოებს ისეთი ადგილი უკავიათ სახელმწიფო აპარატში, რომ ხელეწიფებათ ყოველგვარი ბოროტებისა და დანაშაულის ჩადენა.

ამოცანის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მომავალში არ იქნას დაშვებული მსგავსი რამ...

(...)

შინაგან საქმეთა მინისტრი, ამხანაგი ბერია ამ თანამდებობიდან აკონტროლებს პარტიას და მთავრობას, რაც დიდი საფრთხის მომცველია, თუ დროზე არ მივიღებთ ზომებს..."

ესე იგი, **"ამხანაგი ბერია"** – არ გახლავთ შეთქმულების მონაწილე, არ არის კაპიტალიზმის რესტავრატორი, არ არის ხალხის მტერი და საერთაშორისო კაპიტალიზმის აგენტი, არამედ იგი მხოლოდ პოტენციური საფრთხის შემცველია, და ისიც, არა სახელმწიფოსათვის, არამედ მისი ხელმძღვანელობისათვის. და ესე კი, მხოლოდ მალენკოვის ვარაუდია და არა მომხდარი ფაქტის კონსტატაცია.

ბრალდების პირველი პუნქტი კი ასე გამოიყურება:

"1. ფაქტები – უკრაინა, ლიტვა, ლატვია; საჭიროა კი ეს ღონისძიებები?

რა მოხდა, როგორ უნდა გავიგოთ ყოველივე.

შსს ჩასწორებებს აძალებს პარტიას და მთავრობას.

ცეკა – მეორე პლანზე იმყოფება..."

აქ ყველაფერი გასაგებია – მხედველობაშია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებები **"ნაციონალურ"** საკითხებთან დაკავშირებით, რომელსაც მკითხველი უკვე გაეცნო. ამან საბჭოთა რესპუბლიკებში ფრიად არაერთმნიშვნელოვანი რეაქცია გამოიწვია – ვიღაცეები სწორი ხაზიდან გადაიხარნენ. მაგრამ, თუ თქვენ სახელმწიფო მოღვაწეები ხართ, და არა დაჭიანებული ჩინოვნიკები, კეთილი ინებეთ და გააკეთეთ ყველაფერი ისე, რომ იგი ყველასთვის გასაგები იყოს! და თუ გაიგებდნენ, შესაბამისადაც იმოქმედებდნენ.

რაც შეეხება პრეტენზიებს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, აქ უკვე სახეზე გვაქვს ნამდვილი კომუნისტური ბღენძიაობა, რომელსაც ჯერ კიდევ ლენინი მოიხსენიებდა ზიზღით. ჭკვიან ადამიანს, ან პარტიას თუ ვინმე რამეს შეუსწორებს (ესე იგი, მიანიშნებს შეცდომებზე ან გადახრებზე) მის მიმართ მხოლოდ მადლიერება უნდა გამოხატოს. საქმე ხომ ერთიანია და ყველას მიერ თანაბრად კეთდება – განა ასე არ არის? მაგრამ მალენკოვის **"საყვედურები"** აშკარად მიანიშნებენ არა ბერიას მცდარ პოზიციაზე, არამედ მის აქტიურობაზე.

მესამე და მეოთხე პუნქტი ეხება ბრალდებებს უნგრელებსა და გერმანიასთან დამოკიდებულებაში, რომელიც თითქოს არ იყო შეთანხმებული საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან და ამით **"დაითრგუნა"** კოლექტივი. მალენკოვი წერს:

"ეს რა კოლექტიურობაა.

უაპელაციობას ბოლო უნდა მოეღოს.

საჭიროა მონოლითური კოლექტივი და იგი სახეზეა!

და ა.შ."

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მეხუთე პუნქტი:

"5. როგორ გამოვასწოროთ:

შსს – ამ პოსტზე სხვა დავნიშნოთ (კრუგლოვი)+ცეკა.

დაცვის სამმართველო – ცკ.

დილიდან საღამომდე ნაბიჯს ვერ გადადგამ მათი კონტროლის გარეშე!

ჩვენი დაცვა – თითოეულზე იქნა მიმაგრებული.

(...)

ამხანაგებმა კარგად იციან, ვინ ვის უსმენს.

გავანთავისუფლოთ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან და დავნიშნოთ ნავთობის მრეწველობის მინისტრად".

აქედან ერთმნიშვნელოვნად ჩანს, რომ ცეკას პრეზიდიუმის წევრები სულაც არ აპირებდნენ ბერიას დაპატიმრებას და მხოლოდ მისი გამოყვანა უნდოდათ ხელისუფლების უმაღლესი ეშელონიდან და, რა თქმა უნდა, მისი მოშორება **შსს**-დან.

ამრიგად, მალენკოვის ჩანაწერებიდან იკვეთება, რომ ცეკას პრეზიდიუმის სხდომაზე ბერიას დაპატიმრება პირადად ნიკიტა ხრუშჩოვის ინიციატივა გახლდათ. კონსტანტინე სიმონოვი ანტიბერიასეული პლენუმის მონაწილე გახლდათ. მან, როგორც ლიტერატორმა, რადაცეები ჩაინიშნა ზუსტად და მოგვიანებით, აი, რა დაწერა:

"იმაზე, თუ როგორ დაიჭირეს ბერია, პლენუმის მონაწილეებს ხრუშჩოვმა მოუთხრო. სიტყვა "დაიჭირეს" ძალზე მიესადაგება ხრუშჩოვის მონათხრობს, მის ტემპერამენტს და უზომო კმაყოფილებას, რაც მისი ლაპარაკისას გამოსჭვივოდა.

მისი მონათხრობიდან... გამოდიოდა, რომ სწორედ მან, ხრუშჩოვმა ითამაშა დიდი როლი ამ მსხვილი ნადირის იზოლირებაში. როცა მას ეუსმენდი, თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ სწორედ ნიკიტა გახლდათ მისი დაპატიმრების ორგანიზატორი... იმიტომ, რომ იგი, ამ შემთხვევაში, გამოდგა სხვებზე მეტად გამჭრიახი, ჭკვიანი, ენერგიული და უდრეკი. მეორე მხრივ, კი გადამწყვეტი როლი ითამაშა იმან, რომ ლავრენტი ბერიამ სათანადოდ ვერ შეაფასა ხრუშჩოვის შესაძლებლობები, მისი გლეხუჭური ცბიერება და სიცოცხლის ბოლომდე ბრიყვ ადამიანად მიაჩნდა იგი, რომელსაც ნებისმიერ დროს გააცურებდა. ამას თავად ნიკიტა ხრუშჩოვიც კი ამბობდა..."

სიმონოვს თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე არაერთი ბრძნული სტრიქონი დაუწერია (განსაკუთრებით – ლექსები), მაგრამ მისი შემოქმედება არ გამოირჩეოდა მაღალი ადამიანური სტანდარტებით და ეს შემოქმედი ვერ დაშორდა პოსტსტალინისტური ეპოქის პარტიული ელიტის ყოფას. ეს გამოსჭვავის იმ ქების სიტყვებში, რაც მან ნიკიტა ხრუშჩოვს მიუძღვნა.

არა, ლავრენტი ბერია არც შეთქმული ყოფილა და არც ინტრიგანი იყო. და ხრუშჩოვის მსხვერპლად იგი იმიტომ იქცა, რომ შინაგანი ბუნებით იდეალისტი იყო, თუნდაც პრაქტიკოსი. ხრუშჩოვი კი სულიერად ლაქია გახლდათ, რომელსაც არ ესმოდა, თუ რატომ არ უნდა ჩაედინა უკადრისი საქციელი, თუ კი მისი ჩადენა შესაძლებელი იყო. ხრუშჩოვი გახლდათ უზრდელი ადამიანი, რომელსაც თავიდანვე დიდი წარმოდგენა გააჩნდა საკუთარ თავზე, მაგრამ ათწლეულების მანძილზე ჩქმალავდა თავის ამბიციებს. იგი იდეალურად იყო შეხამებული ზნეობრივ და პოლიტიკურ მიმიკრიასთან და იყო ნაძირალა – ძლიერი ბუნებით. იგი მართლაც ენერგიული პიროვნება გახლდათ, ხელეწიფებოდა ხალხთან საუბარი, იყო კარგი შემსრულებელი და შეეძლო თავი საქმის ერთგულად წარმოეჩინა – ამიტომაც ინარჩუნებდა თანამდებობას.

მაგრამ პოსტსტალინური სიტუაცია კონსტრუქციულად რომ განვითარებულიყო, მაშინ ბერია აუცილებლად ჩადგებოდა ქვეყნის სათავეში. ხრუშჩოვი კი, ნაკლებსარწმუნოა, რომ დიდი ხანი შერჩენოდა თუნდაც ცენტრალური კომიტეტის რიგითი მდივნის თანამდებობას. ამიტომაც ჩაიფიქრა მან ბერიას არა მარტო თანამდებობიდან მოხსნა, არამედ მისი ფიზიკური ლიკვიდაციაც. სხვები კი, უბრალოდ, მისი დამუნჯებული მხარდამჭერები და თანამზრახველები იყვნენ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

17 მარტი გალაქტიონის უკვდავებაში „გადაფრენის“ დღეა

1959 წლის 17 მარტს სამყაროს განუმეორებელმა ფენომენმა – გალაკტიონმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მიუხედავად ასეთი აღსასრულისა, უდიდესი პოეტის გარდაცვალება ხალხს არ აღუქვამს ტრაგედიად. ამის მიზეზი თავად გარდაცვლილი იყო. უფრო ზუსტად მისი სიდიადე და ძალმოსილება. ვერავის წარმოედგინა და ვერც ვერვინ ბედავდა **„ლურჯა ცხენების“** ავტორის მიერ გადადგმული ნაბიჯის ჩვეულებრივი, მიწიერი საზომით განსჯას. ჯადოსნური სიტყვების მაგიური ზემოქმედებით მონუსხულ მკითხველს მართლაც სჯეროდა, რომ მისი ცხოვრების გზა **„სიზმარი და შორეული ცის სილაჟვარდე“** იყო. სიზმარში კი ვინ ჩაერეოდა, მითუმეტეს, რომ თავად იმუქრებოდასავით: **„მე ვხედავ სიზმრებს არათქვენებურს“**-ო. დღემდე ირწმუნება მისი უახლოესი ნათესავი – ავად იყო, ეს ნაბიჯი გაუაზრებლად გადადგაო. ირწმუნება, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მისი არავის სჯერა. ან კი როგორ შეიძლება იმის დაჯერება, რომ პოეტური ხილვების, სახეების, სიმბოლოების, საერთოდ, ყოველივე ლამაზისა და ამაღლებულის მბრძანებელმა, რაც კი ამქვეყნად არსებობს, საკუთარი გარდაცვალების **„სცენა“** გაუაზრებლად და მისდაუნებურად **„დადგა“**?!

თვითმხილველები ყვებიან, – კუბოში მწოლიარე თავისი ნამდვილი სახით წარმოგვიდგაო. რაღაც, საუცრად დიდებულად, მეფურად გამოიყურებოდა თურმე.

ამით ხაზს უსვამდნენ, რომ პოეტს მიწიერი ცხოვრების ვნებები ჩრდილავდა, ამძიმებდა. მართლაც, უკვე გამოქვეყნებულია გალაქტიონის არქივი, ყოველდღიური ყოფითი ხასიათის ჩანაწერები, წარმოუდგენლად მიწიერი, დღიური პრობლემებით, გაწამაწიით გაჯერებული. ნაღვლობს, რომ არა აქვს პალტო, კმაყოფილია, რომ დაკემსა წინდები, ცდილობს არაფერი **„დააშავოს“**, რომ წიგნი დროულად გამოსცეს, რომ საღამო არ ჩაეშალოს ხანდახან მაინც ვერ ითმენს და კაცს, რომელსაც სურს ორფეოსი **„საბჭოთა ლიტმუშაკად“** აქციოს, უყვირის: **„მხეცო, მხეცო, ვის უბედავ მაგას!“**

მიწიერ ცხოვრებაში ერთადერთ შვებას თბილისის ქუჩებში ხეტიალი და ახალგაზრდებთან ურთიერთობა ჰგვრის. ახალგაზრდებს მისი პოეზიის ყველაზე უკეთ შეგრძნების უნარიც შესწევთ და ემოციების გამოხატვასაც არ ერიდებიან. ადიდებენ, ეთაყვანებიან და ისიც **„თვისი დიდებით მთვრალი“** ბედნიერია, სულს ითქვამს.

ერთი კაცის (ჩემი ნათესავის) მონათხრობიც ვიცი, რომელიც შემთხვევით შეესწრო გალაქტიონის მიერ ლექსის წერის პროცესს. ყვებოდა: **„სავადმყოფოში ვიწექით ერთ პალატაში. ღამე მისმა ბუტბუტმა გამომაღვიძა. ოთახში წინ და უკან დადიოდა და ლექსის სტრიქონებს იმეორებდა. დაამატებდა რამდენიმე სიტყვას და ისევ თავიდან დაიწყებდა კითხვას. ასე, ცალკეული სიტყვებისა და ფრაზების დამატებით გამოჰყავდა ლექსი. მე რაღა დამაძინებდა, ვიწექი და ვუთვალთვალებდი. ერთხელაც, თავიდან დაიწყო ლექსის კითხვა და სადღაც შუაში შეჩერდა. აშკარა იყო, რომ დაავიწყდა უკვე დაწერილი სტრიქონები, რომლებიც მანამდე იმდენჯერ ჰქონდა გამეორებული, რომ მე ზეპირად მქონდა დამახსოვრებული. გავბედე და ვუკარნახე. ვერ წარმოიდგენ, როგორი მადლიერი დამრჩა და რამდენი მადლობა მიხადა“.**

თემურ ჩხეიძე იხსენებს, რომ მისი ბავშვობისას მათ ოჯახში ხშირად დაიარებოდა გალაკტიონი. მის გარდა ოჯახში სხვა უამრავი დიდი ხელოვანი იყრიდა თავს (მაშინ მართლაც ბევრნი იყვნენ), მაგრამ მხოლოდ გალაქტიონზე იცოდა ბავშვმა, რომ ეს წვერმოშვებული კაცი იყო გენიოსი, წიგნებში წაკითხული კი არა, არამედ ნამდვილი, ცოცხალი გენიოსი.

ერთ ჩემს დაკვირვებას გაგიზიარებთ და ამით დავასრულებ: თბილისში უამრავი გამოჩენილი ადამიანის, მათ შორის, პოეტის ძეგლი დგას. თავის დროზე, როდესაც მათ დგამდნენ, იმ გარემოსაც ითვალისწინებდნენ, სადაც უნდა დაედგათ ისინი. დღეს ქალაქში უამრავი ახალი მშენებლობაა, რის შედეგადაც ხშირად იცვლება ამა თუ იმ ძეგლის ირგვლივ არსებული ფონი და ისინი ძველებურად ლამაზად აღარ გამოიყურებიან. ასე მოხდა რუსთაველის შემთხვევაში, როდესაც მონუმენტიდან სულ რამდენიმე მეტრში **„მაკდონალდსის“** უზარმაზარი შენობა დადგეს. არც სხვა ძეგლებს დადგომიათ უკეთესი დღე. მათ შორისაც, გალაკტიონი, განსაკუთრებულად დაზარალდა. რა არ აუშენეს და ჩაუდგეს ირგვლივ. იქნებ, იმ ლაბორატორიაში შენახული პოეტის ტვინისა არ იყოს, განწყობილი ვარ ასე და მეჩვენება: გალაკტიონი ვერაფერმა **„დააუშნოვა“**, გარემო მასზე ვერ მოქმედებს, მას რომ უყურებ, სხვას ვედარაფერს ადიქვამ, ნებისმიერ ფონზე **„ქაჩავს“**.

მავანი, ვინც მხოლოდ ყურმოკვრით იცოდა გალაქტიონის პიროვნება, დღესაც დაუნანებლად ამბობს ამ მართლაც ამოუცნობ პიროვნებაზე – ლოთი იყოო. მისმა ახლობლებმა და მეგობარ-ნათესავებმა კი კარგად იცოდნენ, რომ თუ გალაქტიონი სვამდა, ამას მხოლოდ ტრაგიკული ბედის მეუღლე ოლღა ოკუჯავაზე დარდის განსაქარვებლად აკეთებდა. ძირითადად კი, არყიან ხელს დიდებულად დაფენილ წვერზე ჩამოისვამდა, რათა სასმელის სუნი გაჰყოლოდა, შემდეგ კი მთვრალად აჩვენებდა ხალხს თავს, რადგან სიმართლის თქმის სურვილი სძალავდა მის შიშს მოსალოდნელი რეპრესიების წინაშე და თავს იმით იზღვევდა, რომ დიდი პოეტის მართალი სიტყვები მის სიმთვრალეს მიწერებოდა.

აი, ასეთი **“ლოთი”** გახლდათ გალაქტიონი.

მთელი თბილისი მიჰყვებოდა მის კუბოს, ხელით აასვენეს მთაწმინდაზე, საიდანაც გადმოჰყურებს მისთვის სათაყვანებელ სამყაროს.

ლ. გოგუაძე

გთავაზობთ გამოსათხოვარ სიტყვას, რითაც სიმონ ჩიქოვანმა გააცილა ტრაგიკული ბედის პოეტი:

“დღეს მთელი ქართველი ხალხი, ქართული მწერლობა და კერძოდ ქართული პოეზია სამუდამოდ ეთხოვება თავის უსაყვარლეს და უბადლო წარმომადგენელს, ქართული პოეტური კულტურის სიამაყეს, ჩვენი რესპუბლიკის სახალხო პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს. იგი ვალმოხდილი, თავისი ნაამაგარით თითქოს კმაყოფილი მიეშურება მამადავითზე, მამათა სავანეში, სადაც სიჭაბუკის ჟამს უნაზესი **“მთაწმინდის მთვარე“** გამოცხადებია, მომხიბლავი ცისფერი ლანდები აუმღერებია და ამ მთის ფესვები თავის უებრო ჩანგის ლარეზად უქცევია.

მაგრამ, ჩვენ, პოეტები საქართველოსი. მივტირით უდროოდ დაღუპულ უფროს ძმას და ქართული სიტყვის მომხიბლავ ოსტატთან განშორებას ვერ შევრიგებივართ. თითქოს თვალის დახამხამება ვერ მოვასწარით, ისე დაეცა ქართული სიტყვის დიდი ჭადარი და ქართული სულის მაჩრდილებელი რტოები დაილეწა. მისი დაცემის ხმა სიცოცხლის გულის გაბზარვას დაემგვანა. ჩვენმა ტკივილმა ჯერ კიდევ დამწიფება ვერ მოასწრო, ვერ შეგვიგვრძნია თუ რა ნესტარით ვართ დაჩხვლეტილნი და რა განუკურნელი ჭრილობა დასადგურებულა ჩვენს არსებაში. ამ დიდი დანაკლისის ჯეროვნად შეგნება და მისი შეფასება ისე ძნელია, როგორც საყვარელ პოეტთან განშორება. ხვალ ან ზეგ ჩვენ გალაკტიონ ტაბიძეს ვერ შევხვდებით, ვერ გავუღიმებთ და მთრთოლვარე პოეტური სიტყვით იგი ვერ შეგვეხმიანება. იგი თავის საყვარელ თბილისის ქუჩებს სამუდამოდ შორდება და მოულოდნელად ეთხოვება. ქლიავისფერი საქართველოს მთები მართლაც იბინდება და გლოვის ზარი თითოეული ქართველის გულში ირეკება.

ამ საუკუნეში, ქართული კლასიკური პოეზიის ფესვმაგარი მუხების, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას სიკვდილის შემდეგ, ქართულ პოეზიას თვალნათლივ ამაზე მძიმე გლოვის დღეები არ განუცდია. გალაკტიონ ტაბიძე თავის ცხოველმყოფელი, ჯადოსნური პოეტური ხმით საბჭოთა პოეზიას ამშვენებდა და მისი მაღალი ტალანტი მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის გამართლება იყო. იგი მომხიბლაობას მატებდა ქართული მწერლობის უჭკნობ მშვენებას და თავის ერის სულის საგანძურში ფასდაუდებელი სიმდიდრე შეჰქონდა.

ამ საუკუნის პირველ მეოთხედში იგი პოეტური სიტყვით ღირსეულად გამოეთხოვა ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს და ახალი პოეტური სამყაროს მქადაგებელი გახდა. მას წილად ხვდა ქართული ლექსის ერთი მთავარი რეფორმატორი ყოფილიყო. **„მთაწმინდის მთვარის“** ავტორმა ქართული სიტყვის მეშვეობით, ახალი პოეტური სამყარო აღმოაჩინა და ამ საუკუნის ესთეტიკურ გემოვნებას საქართველოში საფუძველი ჩაუყარა.

იგი იყო საოცარი გაქანებისა და მოულოდნელი ხილვების პოეტი. იგი იყო ქართული სიტყვის აღუვსებელი და დაუშრეტელი საწყაული. ასეთი თავისუფალი და ლაღი სუნთქვის პოეტი საქართველოში იშვიათად დაბადებულა. გალაკტიონ ტაბიძემ ჩვენს პოეზიაში ახალი ნიუანსირებული სულიერი ცხოვრება შეიტანა და ქართული მწერლობაში აზროვნების შედევრები შექმნა. იგი იყო ლექსის უბადლო ვირტუოზი და ქართული სიტყვის გენიალური არტისტი. პოეტს თავისი მთრთოლვარე სიმები საქართველოს მიწაში ჰქონდა ჩაფესვილი. გალაკტიონ ტაბიძის პოეზია იყო და დარჩება, როგორც განუმეორებელი მელოდია ქართული სულისა და როგორც ქართული სიტყვის უებრო მუსიკალური აღმაფრენა. გალაქტიონ ტაბიძემ განგვაცდევინა პოტური სულის უნაზესი რხევა და მომხიბლავი განცდები, ნახევარ ჩრდილები და უჩვეულო ხილვები ჩვენს ყოფაცხოვრებაში უშუალოდ შეიტანა.

ორმოცდაათი წლის განმავლობაში ემსახუებოდა იგი ქართველ ხალხს და პოეტური სიტყვის მეშვეობით სულის ჩაუქრობელ კოცონებს ანთებდა. იგი, როგორც საქართველოს ბუნება, მუდამ მრავალფეროვანი, მდიდარი და მუდამ სიახლის გრძნობის მატარებელი იყო. გალაკტიონ ტაბიძეს პოეზია საკუთარი სულის თანდაყოლილ თვისებად მიაჩნდა. პოეზია მისთვის სულის გასპეტაკების საბრძოლო იარაღი იყო. იგი ყოველდღიურად, პოეტურ სიტყვასთან ჭიდილში, შთაგონების შეუნელებელ ცეცხლში იწოდა. პოეტური შფოთვა და სულის მოუსვენრობა მას არასდროს განშორებია. გალაკტიონ ტაბიძე თითქმის არავის უნახავს ოდესმე პოეტურ ცხოვრებიდან თუ პოეტურ ორთოლვიდან გამოთიშული. მისი სული მუდამ შფოთავდა, მუდამ აფორიაქებული იყო და იგი თითქოს უბინაოს ჰგავდა, ის შეჩვეული იყო ქვეყნის საერთო ცხოვრებას. გალაკტიონ ტაბიძის ბინა მთელი საქართველო იყო. საქართველო იყო მისი ოჯახი, მისი მშფოთვარე სულის სამყოფელი და მისი სიმღერის საგანი. ის მუდამ ატარებდა გულის სიღრმეში დაბინდულ ქლიავისფერ მამულის ხატებას. რევოლუციამდე მამულის ცხოვრება ნაღვლიანი ფერებით ინტონაციით ჰქონდა პოეტს გადმოცემული:

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველი
არ გავიარე რაა მამული “

მაგრამ პოეტს ესმოდა, რომ ნანგრევების და დანგრეული ტაძრების მიღმა იყო ნამდვილი საქართველო. იგი საქართველოს წიაღში ამირანის ნაკვალევს დაეძებდა და ქართველი ხალხის გენიას ამგვარად ეხმაურებოდა:

„შეხავსებია კლდეები კლდეებს,
აქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.
ამირანია? მივმათავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს – ამირანია“.

იგი თავად იყო ქართული პოეზიის ამირანი, მისი ძალის და ენერგიის გამართლება. მას სწამდა, რომ პოეზიის ჭეშმარიტი სამსახური არის ვაჟკაცობა და გმირული თავდადება. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ცხოვრობდა ეროვნული გმირული სული, რომელიც სამამულო ომის დღეებში უფრო გაძლიერდა და ომახიან სტრიქონებში გაიშალა. მას, უპირველეს ყოვლისა, სამშობლო ეძახდა. იგი სამშობლოს, ხალხის სიყვარულის შთაგონებული მომღერალი იყო. იგი ადრე შევიდა მებრძოლთა რიგებში და კომუნიზმის მშენებელ ხალხს მხარში ამოუდგა.

გალაკტიონ ტაბიძემ შექმნა რევოლუციის მუსიკის ნამდვილი განცდა. პოეტს ხიბლავდა საზოგადოებრივი დიდი მოვლენების მუსიკალური აღდგენა. მას უფრო მუსიკალობა იტაცებდა პოეტურ სამყაროში და მისი სტრიქონების სინატიფე ამ საფუძველზე იყო ახმიანებული. იგი მღეროდა და პოეზიისთვის იწოდა სიკვდილის წინა წუთებში. პოეტური სიმღერა მისი გულის განუყრელი თანამგზავრი იყო. ტრაგიკულად დაღუპულ პოეტს უბის წიგნაკში წამოწყებული ლექსის რამდენიმე სტრიქონი და მრავალი რითმა აღმოაჩდა ჩაწერილი. ეტყობა, პოეტი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ განშორებია პოეზიას, თითქოს გალაკტიონ ტაბიძემ სიცოცხლის უკანასკნელი წუთებიც ლექსის ნატეხებით და რითმებით მოკენჭილი გზა გაიარა.

ორმოცდახუთი წლის წინათ დაწერილ ლექსში **„მთაწმინდის მთვარე“** გალაქტიონ ტაბიძე ამბობდა: **„სიკვდილის გზა არ-რა არის, ვარდისფერ გზის გარდა“** – დიახ, დღეს ამ ვარდისფერი გზით მიეშურება ქართველი ხალხის უსაყვარლესი პოეტი მთაწმინდაზე, მამათა სავანეში და ქართველი ხალხის გლოვა და სიყვარული მიაცილებს მას უკანასკნელ სადგომამდე.

გალაკტინ ტაბიძე დღეიდან ეკუთვნის ისტორიას, მამათა სავანეს, ხოლო მისი ცოცხალი პოეტური სიტყვა წკრიალებს ქართველი ხალხის გულში და უკვდავება მის სახელს ჭირისუფალივით მიჰვება მომავლის გზაზე. უკვდავება არასდროს არ გაშორდება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას და ჩვენ, საქართველოს პოეტები, ვიგონებთ მის პოეტურ, მთრთოლვარე, განუმეორებელ სიცოცხლეს და ვეთხოვნებით ჩვენს სიამაყეს, უფროს ძმას და საყვარელ ადამიანს მისივე სიტყვებით:

„ქარვათა მორევში ეშვება ფარდები,
საღამო კანკალებს კრძალვით და რიდობით,
ქვითინებს მამული, ტირიან ვარდები,
მშვიდობით, მშვიდობით”...”

ეს წერილი გვინდა დავამთავროთ ცნობილი ქართველი მწერლის, გალაქტიონის ბიოგრაფის **ვახტანგ ჯავახაძის** სიტყვებით:

“გალაკტიონის შემდეგ ქართული პოეზია წავიდა და მიდის გალაკტიონის გზით. თითქოს სხვა გზა არც ჩანს. თითქოს გალაკტიონმა მაქსიმალურად ამოწურა თანამედროვე პოეტური სიტყვის შესაძლებლობანი, თავისუფალი ლექსიდან – ვიდრე ვირტუოზულად აჟღერებულ სტრიქონებამდე, თვით პალინდრომამდე...

გალაკტიონის შემდეგ ქართულ პოეზიაში თვისობრივ სიახლეებზე ლაპარაკი შეუძლებელია. შეუძლებელია ლაპარაკი ისეთ დიდ ორიგინალობაზე, რომელიც მოიტანა ვაჟა-ფშველამ აკაკი წერეთლის შემდეგ, ანდა – თვითონ გალაკტიონმა აკაკისა და ვაჟას შემდეგ...

გალაკტიონის შემდეგ ქართულ მწერლობას დარჩა გალაკტიონის მწარე გაკვეთილი: პოეზია უდიდეს მსხვერპლს მოითხოვს! ჭეშმარიტმა პოეტმა უნდა დაივიწყოს მიწიერი ინტერესები და არასოდეს არ უნდა გამოეთიშოს შთაგონების წამებს. ვინც პირადად იცნობდა, დამეთანხმება: ამ თვალსაზრისით – გალაკტიონი ყველაზე მეტად „შეწირული“ ლირიკოსია.

– ასეთი პოეტი საუკუნეში მხოლოდ ერთხელ იბადება.

გალაკტიონ ტაბიძემ უმდიდრეს ცხრაკლიტულებს მოარგო გასაღები და პოეტური აზროვნების უმაღლეს ნეტარებას გვაზიარა.

მან გვასწავლა, როგორ უნდა დავარღვიოთ პოეზიის კანონები – პოეზიის სასარგებლოდ! ალბათ – ცხოვრების კანონებიც!

ბევრი საიდუმლო ამოგვიხსნა.

კითხვის ნიშნებიც ბლომად დაგვიტოვა.

მისი მკითხველები ჯერ არ დაბადებულან!”

ევრაზიის ინსტიტუტი: „რას უნდა ელოდოს საქართველო პუტინისგან?“

კრემლში ვლადიმირ პუტინის დაბრუნებასთან დაკავშირებით მთელს მსოფლიოში ცდილობენ გარკვევას, თუ როგორი იქნება რუსეთის საშინაო და, განსაკუთრებით, საგარეო პოლიტიკა მაშინ, როდესაც რუსეთმა, ბოლოს და ბოლოს, გამოავლინა იმის ნიშნები, რომ უბრუნდება დამოუკიდებელი კურსის გატარებას საერთაშორისო ურთიერთობების საკვანძო საკითხებთან მიმართებაში. ამ ვარაუდის საფუძველს სირიის პრობლემასთან დაკავშირებით გამოხატული მტკიცე პოზიცია იძლევა. ბევრს აშინებს რუსეთის მიერ ძველი გავლენისა და ძალის დაბრუნება, ხოლო პუტინი სწორედ ასეთი შესაძლებლობის რეალიზაციასთან ასოცირდება. გასაკვირი არ არის, რომ საქართველოშიც ხალხს ძალზე აინტერესებს, რა მოხდება რუსეთში და როგორი იქნება **„ახალი“** პუტინის პოლიტიკა საქართველოს მიმართ.

ევრაზიის ინსტიტუტმა ჩამოაყალიბა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი კითხვა, რომლებიც გაფანტული სახით საზოგადოებაში ისმება, მათ შორის გათვალისწინებულია ჩვენი თანამშრომლებისთვის კერძო საუბრებში დასმული შეკითხვები. ჩვენ შევეცადეთ, წინასწარი პასუხები გაგვეცა ამ შეკითხვებზე და ბუნებრივია, რომ ამ და სხვა შეკითხვების ანალიზს დროდადრო მივუბრუნდებით ხოლმე, რადგან მათ აქვთ გრძელვადიანი ხასიათი და ერთ ჯერზე ვერ იქნებიან ამოწურულნი.

1. საკაშვილის მხრიდან სავიზო რეჟიმის ამასწინანდელი გაუქმება ნიშნავს თუ არა იმას, რომ იგი ცდილობს რუსეთთან შერიგებას? როგორი იქნება ამაზე პუტინის რუსეთის პასუხი?

– საკაშვილი გრძნობს და ასევე იცნობს გამოკითხვების შედეგებს, თუ ხალხს როგორი დამოკიდებულება აქვს რუსეთისადმი. საქართველოში უკვე დაახლოებით 25 წელია, რაც სხვადასხვა ლიდერები უცხოური ჩარევით საქართველოში რუსეთის მტრის ხატს ამკვიდრებენ, მაგრამ ამ მტრის ხატმა ვერანაირად ვერ მოიკიდა ფეხი საზოგადოებრივ ცნობიერებაში. მართალია, საზოგადოებაში არსებობს გარკვეული შიშები და არასწორი წარმოდგენები რუსეთთან დაკავშირებით, რუსეთის შესახებ ინფორმაციების ნაკლებობა აშკარაა, ხალხი ძირითადი მასმედიისგან ვერ იღებს ობიექტურ ინფორმაციებს, მაგრამ მთლიანობაში საზოგადოებას ესმის, რომ რუსეთი არ არის საქართველოს თავგადაკლული მტერი, არამედ ეს არის ქვეყანა, რომელთანაც ჩვენ ძალიან ბევრი რამ გვაკავშირებს, ხოლო ამჟამინდელ კონფრონტაციას ხელოვნური ხასიათი აქვს და იგი საქართველოს ხელისუფლების შეცდომებისა და პროვოკაციული ქმედებების შედეგია. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ხალხმა ბოლოს და ბოლოს გაიგო დასავლეთის პოლიტიკის რეალური არსი, რომელიც **„დახმარების“** ნიღბის ქვეშ ერევა საქართველოს საშინაო საქმეებში – თანაც, არა ხალხის მხარეს. თვალთმაქცი დასავლეთის ფონზე რუსეთი გონივრულ ალტერნატივად გამოჩნდა. ქართული ეკონომიკის განვითარება და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პერსპექტივა, განსხვავებით 1990-იანი და 2000-იანი წლებისაგან, საზოგადოებრივ ცნობიერებაში აღარ უკავშირდება დასავლეთს, ახლა ყველაფერი ეს უკავშირდება სწორედ რუსეთს. ამიტომაც, წინასაარჩევნო ციებცხელებაში საკაშვილი და კომპანია ცდილობენ შექმნან იმის ილუზია, რომ მათ ძალუძთ რუსეთის ერთგვარი გამოყენება საქართველოს ინტერესების (განსაკუთრებით, ეკონომიკურის) სასარგებლოდ.

ბუნებრივია, ვლადიმერ პუტინი არ შეურიგდება საკაშვილს, პირადად ამ უკანასკნელისთვის ყველა უკან დასახევი გზა მოჭრილია. მისთვის ესეც კარგად არის ცნობილი. ამიტომ საკაშვილი ერთის მხრივ შეინარჩუნებს ანტირუსული მიმართულების მკვეთრ რიტორიკას (ამის გარეშე იგი საერთოდ კარგავს ლეგიტიმურობას, მას ხომ ჰკითხავენ, რატომდა ეომებოდა რუსებს), ხოლო მეორეს მხრივ შეეცდება, შეარბილოს სიტუაცია სავიზო რეჟიმის ცალმხრივი გაუქმების ტიპის გადაწყვეტილებებით, რათა ქართველი ამომრჩევლები დააჯეროს, რომ მოსკოვთან ურთიერთობების გაწყვეტა მისი ბრალი არ არის. ეს სააკაშვილის მინიმალური ამოცანა გახლავთ.

2. როგორი იქნება პუტინის პოზიცია ტერიტორიულ საკითხში?

– სამწუხაროდ, ძალზე სწრაფი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის, მით უფრო, რომ სულ ცოტა, ოქტომბრის ბოლომდე, ამჟამინდელი რეჟიმი საქართველოში შენარჩუნდება, ხოლო მის პირობებში რუსეთთან დიალოგი დანამდვილებით არ იქნება. მაგრამ მთავარი უბედურება ისაა, რომ რუსეთი უკვე აიძულეს, გადაედგა ფატალური ნაბიჯი და ეღიარებინა ქართული ტერიტორიული ერთეულების **„დამოუკიდებლობა“**. ასეთი საბედისწერო გადაწყვეტილებებისგან უკან დასახევი პირდაპირი გზა არ არსებობს, ეს გამორიცხულია. ახლა მთავარია, ადგილი არ ჰქონდეს აჩქარებას და რუსეთთან დიალოგში ტერიტორიული საკითხის ფორსირებას, თუკი თბილისში რეჟიმი შეიცვლება და ხელისუფლებაში უფრო ადეკვატური ელემენტები მოვლენ. რუსეთი ამგვარი მკვეთრი გადახრისათვის ჯერ არ არის მზად. თუკი ჩვენ ამის გამო რუსეთს არ დაველაპარაკებით, მაინც არაფერი გამოგვივა. ამიტომ ჯერ საჭიროა, დავიწყოთ ეკონომიკური, კულტურული და ჰუმანიტარული საკითხებით, ასევე გავაღრმავოთ სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა. საქართველომ საქმით უნა აჩვენოს, რამდენად ღირებულია მასთან პარტნიორობა და თან დაამტკიცოს, რომ მას შეუძლია, იყოს საიმედო პარტნიორი. ყოველგვარი საუბარი ნატოში შესვლაზე და მსგავსი უნდა შეწყდეს – ეს, როგორც მინიმუმი, დასაწყისისთვის.

ტერიტორიული პრობლემის მოგვარება შესაძლებელია შემდგომ ეტაპზე, ორმხრივ ურთიერთობებში სხვა პრობლემების სრულმასშტაბიანი დარეგულირების შემდეგ, თუმცა საქართველოში ჩვენ ჯერ უნდა გავაცნობიეროთ, თავად რას ვგულისხმობთ **„ტერიტორიული მთლიანობით“**, როგორ წარმოგვიდგენია ერთიანი საქართველო პრაქტიკაში. აფხაზები და ოსები ერთის მხრივ, მეორეს მხრივ კი ქართველები, რიტორიკის ტყვეობაში აღმოჩნდნენ, არსებითად ყველა საუბარი **„დამოუკიდებლობაზე“** აფხაზების და ოსების მხრიდან, ისევე როგორც **„ტერიტორიულ მთლიანობაზე“** – ქართველების მხრიდან, პირობითი მნიშვნელობისაა. ჩვენ, ქართველები, ჯერ კარგად უნდა მოვემზადოთ და გავარკვიოთ, რა გვსურს, ხოლო შემდეგ უფრო გამოჩნდება, რა პირობების შეთავაზება შეგვიძლია როგორც მოსკოვისათვის, ისე საკუთრივ აფხაზებისა და ოსებისათვის.

3. როგორი პერსპექტივები აქვს რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენას?

– რუსეთის ხელმძღვანელობამ და პირადად ვ.პუტინმა არაერთხელ განაცხადეს, რომ საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა ახლო მომავალში შესაძლებელია. რუსეთისთვის თვითმიზანს არ წარმოადგენს ქართული პროდუქციის ბლოკადა, ისევე როგორც საქართველოს მოქალაქეებისათვის სავიზო შეზღუდვების შენარჩუნება. საჭიროა გავიხსენოთ ახლო წარსული, თუ რატომ იქნა შემოღებული ზემოთ აღნიშნული შეზღუდვები: სავიზო რეჟიმი რუსებმა შემოიღეს ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლების მიერ ჩეჩნეთის ომის საკითხში დაკავებული დესტრუქციული პოზიციის გამო, ხოლო ვაჭრობა დაიბლოკა საკაშვილის რეჟიმის პროვოკაციის შემდეგ, როდესაც დაპატიმრებულ იქნენ რუსი სამხედროები და დამამცირებლად გააძევეს, როგორც **„ჯაშუშები“**.

რუსეთის შრომისა და სავაჭრო ბაზრის ხელმეორედ გახსნა თვით საკაშვილის დასუსტებული რეჟიმის პირობებშიც არის შესაძლებელი, თუკი საზოგადოება და ოპოზიციის ჯანსაღი ნაწილი შეინარჩუნებს ხელისუფლებაზე ზეწოლას, ამის პარალელურად კი რუსეთთან დაიწყებენ სავსებით ღია დიალოგის წარმოებას **„სახალხო დიპლომატიის“** ფარგლებში.

სტალინის ფენომენი მარადიულია!

დიახ, ძლიერს მუდამ მტრობენ შურიანები და ხელმოცარულები, მაგრამ ისეთ ძლევამოსილსა და უკვდავს, როგორიც სტალინია, ჭია-ღუები ვერაფერს დააკლებენ. ის მარადიულია, ის ისტორიის წარუშლელი განძია, ის ფესვია, რომელსაც ვერ ამოძირკვავენ!

დრო-უამი კიდევ უფრო მოგვიზღვავს არაერთგვაროვან შეხედულებებს ჩვენს თანამემამულეზე. ვიღაც **ა. ბულიკი** და **ბ. ილიზაროვი** ურცხვად ამტკიცებენ, რომ სტალინი იყო უვიცი, მას არ ჰქონდა კლასიკური განათლება და სემინარიელად დარჩაო. ამგვარ მონაჩმახს ვინ დაიჯერებს? ხომ საქვეყნოდ ცნობილია სტალინის მრავალმხრივი ზეპროდუქტიული მოღვაწეობა. აღწერილია მისი უნიკალური ბიბლიოთეკა, რა წიგნებს კითხულობდა და რითი ხელმძღვანელობდა საქმიანობაში იგი. მაგრამ არიან და იქნებიან ადამიანები, რომლებიც მომავალშიც არ დაიშურებენ ზიზღსა და შხამს, რათა ჩირქი მოსცხონ მის სახელს. თუნდაც ისეთები, როგორებიც არიან ვიღაცეები **დ. დიაკოვი** და **ტ. ბუშუევა.** ამგვარი ადამიანები ფსიქიურად გადახრილები არიან. მათ შური ახრჩობთ სხვისი დიდების მიმართ, აშფოთებთ საკუთარი უუნარობა, გამოირჩევიან სხვისი ნაღვაწის დამახინჯებისა და გაუფერულებისადმი დაუოკებელი ლტოლვით.

იმ ისტერიაში, რომელიც დიდი ხნის წინათ სტალინის წინააღმდეგ წამოიწყო, საქართველოც ჩაება. მოშალეს სტალინის ძეგლი, სამაგიეროდ თბილისში დადგეს გადამთიელი რეიგანის ძეგლი.

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ანტისტალინური ისტერია ჩვენში დემოკრატიის მიღწევად ითვლება და ლამის ეროვნული პოლიტიკის ნაწილად გადაიქცა.

ფაქტია, რომ სტალინის სიკვდილიდან 60-მდე წელი გავიდა, მაგრამ იგი მაინც რჩება განხილვისა და მსჯელობის საგნად. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მეცნიერები და მოღვაწეები ყოველი მხრიდან განიხილავენ მის გენიას. ზოგიერთნი მასში წარმატებულს ხედავენ, ზოგიერთნი ეროვნულ მოღვაწეს და ბრალს სდებენ უხეშ გადაცდომებში. აბა, რა უნდა დაუჯერო იმ სულმახინჯ ავტორებს, რომლებიც სტალინსა და ჰიტლერს ერთმანეთს ადარებენ და ჰიტლერს, სტალინთან შედარებით, დადებით კონტექსტში მოიხსენიებენ. ამა თუ იმ ადამიანის მოღვაწეობის თეორ და შავ ტონალობაში განხილვა, საერთოდ, დიდი პიროვნებების ცხოვრების თანმდევი პროცესია. დღემდე იქექებიან მაკედონელის, ნაპოლეონის და სხვა დიდ მოღვაწეთა ცხოვრებასა და საქმიანობაში. ამგვარია მათი ბედი, მაგრამ სტალინს ქართველი ადამიანი რომ განაქიქებს, ეს უკვე დიდი უბედურებაა.

გამორჩეული მხედართმთავარი ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი ამბობდა: **“კორექტულად არ მიმაჩნია ჩემგან სტალინის როლის შეფასება და მისი ღვაწლის აღნიშვნა. ერთი რამ კი უდავოა: გვინდა თუ არა, სტალინი, მთელ მსოფლიოში რაღაც განსაკუთრებულ, ამაღლებულ პიროვნებას წარმოადგენს. ისე კი, ჩემი რჩევა იქნება, რომ როგორმე თვით ქართველებმა იზრუნონ იმაზე, თუ როგორ უკვდავჰყონ მისი ხსოვნა და სახელი და არ მისცენ დავიწყებას”.**

უღირსი ქართველები, სტალინის არდავიწყებით კი არა, მისი მოთხრით, ძაგებითა და შეჩვენებით არიან დაკავებული. ერთმა წინაპარმა რომ გვაკადრა: **“ფურთხის ღირსი ხარ საქართველოვო”**, მართლაც ასეა.

როცა გეგმაზომიერად დაიწყო ანტისტალინური კამპანია, მოსახლეობის დიდ ნაწილთან ერთად გამოვხატე საკუთარი დამოკიდებულება და გაზეთ “**საქართველოს რესპუბლიკაში**” 2008 წლის დეკემბერში გამოვაქვეყნე წერილი სათაურით **“სირცხვილია, სტალინს საქართველოში “ოხერი” და მამაძაღლი უწოდო!”**, ასევე **“მრწამსში”** სათაურით **“სტალინს შეეშვით, უმადურებო”.**

მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ სტალინი ქართველი გენიოსი იყო, ყველა დროის უდიდესი სტრატეგი და მხედართმთავარი, გარკვეული შეცდომებით, რაც არ ჩრდილავს მის დიდებას. რუსეთის საზოგადოებამ საკუთარ პატრიარქს სთხოვა სტალინი წმინდანად ეღიარებინა. ეს შემთხვევით არ მომხდარა. ცხადია, მას სიცოცხლეში დიდება ერგო, სიკვდილის შემდეგ – ხსოვნის შეურაცხყოფა.

დამარცხებული ხელისუფლება, როცა გამარჯვებულს და ძლევამოსილს ებრძვის, ცხადია, მხოლოდ შურთან კი არა, სიბრიყვესთან გვაქვს საქმე.

სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა ჩემგან არ ითხოვს შელამაზებასა და სახოტბო სიტყვებს. ჯუდაშვილის პიროვნება თუ ვინმეს აღიზიანებს, ეს მისი პრობლემაა. მაგრამ ის, ვინც სტალინს მხარს უჭერს, მათი ეროვნული შიზოფრენიით დაავადებულად გამოცხადება, არც მეტი, არც ნაკლები, შეურაცხადად წარმოაჩენს საკუთარ თავს. წინაპრები გვმოძღვრავდნენ: **“წინამორბედი ხიდია მომავლის სავალზე და თუ ამ ხიდ-ბოგირებს გამოვიყენებთ, ადვილია მეორე მხარეს განაპირება. გამუდმებით ფონის ძებნას, დღენიადაგ ლანქერთან ჭიდილს, ჩვენამდე ანთებული სანთელით მოტანილის დაფასება სჯობსო”.**

ახლის აშენება მუდამ წინსვლას უკავშირდება, მაგრამ გატაცება აკვიატებად არ უნდა იქცეს. ეს საბედისწეროა მუდამ, როცა ხელისუფლება საკუთარი ჟინის ტყვე ხდება, ცრუ ოცნებები ძალას ართმევს.

ბარამიები, თევზაძეები და ნოდიები რომ აცხადებენ: **“მაინც რამ შეგაყვარათ ასე ჩვენივე დამპყრობი და მერე ჯალათიო”,** ამით ისევ და ისევ გრძელდება წინაპართა დაუფასებლობა, თაობათა შორის უფსკრულის გათხრა. გაუგებარია, თუ ჩერჩილი გმირია, სტალინი რატომაა ჯალათი და ოხერი? მისი ინიციატივით ხომ საქართველოში კლასიკოსთა ათიათასობით ტომი გამოიცა და ითარგმნა უცხოურ ენებზე. განა მისგან არ მოდიოდა რუსთაველის, ვაჟას, ილიას და სხვა კლასიკოსთა ნაშრომების გამოცემის ინიციატივა და ქართულ კულტურაზე ზრუნვა? ეს რა, შემთხვევით მოხდა? რაც გამარჯვების შემდეგ გერმანიიდან ტექნიკა გამოზიდეს, დიდი ნაწილი რომ საქართველოში გამოაგზავნინა, ესაა საქართველოსადმი სიძულვილი? ამხელა იმპერიის შემქმნელმა ხომ მთელი სიცოცხლე ერთი დაკემსილი კიტელის ამარა გაატარა?!

თქვენ, ბატონებო?

სტალინს აძაგებენ ადამიანები, რომლებსაც მისი ჩიბუხის ფასი არ ადევთ. ეს ის ხალხია, რომლებიც აგვისტოს ხუთდღიანი ომის დროს თურქეთის გადასასვლელთან იყვნენ შექუჩებული და საქართველოდან გაქცევას ლამობდნენ. დამფრთხალი ტურებივით კანკალებდნენ...

ყველაზე ამაზრზენი ის გახლავთ, რომ რეალურ მდგომარეობაში დაბნეულ ახალგაზრდობას გონებას უწამლავენ და აძულებენ ადამიანს, რომელიც ყველაზე ძლევამოსილია ქართველებს შორის. ეუბნებიან – ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ქართველთა საქმე არ იყო და მათი სისხლი ტყუილად დაიღვარაო. ფაშიზმის წინააღმდეგ ომში მამაჩემმა ფეხი დაჰკარგა, ინვალიდი ჩამოვიდა და ამ ჭრილობას შეეწირა კიდეც. ამ ომში დაიღუპა სამასი ათასი ქართველი და ერთი იმდენი დასახიჩრდა. თქვენ კი, თქვენი სიბოროტით, ამ ხალხს შეურაცხყოფთ, ბატონებო. სულში აფურთხებთ იმათ შთამომავლობას, რომლებიც მკერდით დაუდგნენ ფაშიზმს!

გეკითხებით, კავკასიონთან მომდგარი ურიცხვი მტრის დახვედრა და საკუთარი ტერიტორიის დაცვა საჭირო არ იყო? და თუ იმ ომს ჩვენ არავინ გვეკითხებოდა, მაშინ, მითხარით, დღეს რომ ქართველები ავღანეთის ომში იხოცებიან, ესაა ჩვენი საქმე? საფრანგეთს ავღანეთიდან სამხედრო კონტიგენტი გაჰყავს, ჩვენები კი ზრდიან.

კვლავაც დაიწერება წიგნები დიდი სტალინის შემოქმედებაზე, ფილმებსაც გადაიღებენ, შეიძლება ზოგჯერ არასასურველსაც, მაგრამ ამით სტალინის სახელს ჩრდილი მაინც არ მიადგება!

ბორის დავითაია,
მწერალი, აკაკი წერეთლის
პრემიის ლაურეატი,
სენაკი

გრიგოლ რობაქიძე დავით აღმაშენებელზე

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტს დიდი ქართველი მწერლისა და იდეოლოგის, გრიგოლ რობაქიძის ესედან – **„დავით აღმაშენებელი“**.

დღეს გავიხსენოთ ამ ესეს, თუ საკრალური წყობის მისტიური წვდომის, მეორე ნაწილი. საქართველო რომ გავიგოთ, უნდა წავიკითხოთ ასეთი ნაზრევები, მისტიური წვდომები ჩვენი დიდი წინაპრებისა, დიდი მოაზროვნეებისა, რომელთა **„ნაფიქრი“** მხოლოდ დიდი ერუდიციითა და მხოლოდ ბრწყინვალე ინტელექტით არაა განპირობებული, არამედ ზენა ნიჭით.

საუბარი კარდუსთან

დავით აღმაშენებელი

ეს მეფური მართვა – კიდევ უნდა დავლოცოთ გენია ქართული სიტყვისა: **“მართვა”**, ანუ დგინება **“მართლისა”** – ეს მეფური მართვა, საკრალურად მიჩნეული, გვხვდება არა მარტო ქართულ მითოსში, არამედ ქართულ **“ისტორიაშიც”**.

“რამეთუ თქვენ ხელმწიფენი უფალ-გყვა ღმერთმა ქვეყანასა განგებასა” – ვკითხულობთ გიორგი მერჩულის უკვდავ ნაწარმოებში: **“ცხოვრებაი წმინდა გრიგოლ ხანძთელისა”**, **“სამეფო ტახტი მერწმუნა პირველ ღვთისაგან და მერე მშობელთა ჩემთაგან”** – ამბობს დიდი დედოფალი თამარ.

კიდევ უფრო საოცარი: საქართველოში ჩვენ გვხვდება თვით **“მეფე-ღვდელიც”**. სახელი მისი: აღმაშენებელი დავით, დიდი მხედარი და ნათელმოსილი პიროვნება. ომში მას **“საღმთო წერილიც”** მიჰქონდა ხოლმე თან. ერთხელ **“სამოციქულოს კითხვამ ისე გაიტაცა იგი, რომ კინაღამ წააგო ბრძოლა მან. თავის სახელს იგი სჭრიდა ფულზე ხან როგორც “ხრმალი ქრისტესი”** ხან კი როგორც **“ყრმა ქრისტესი”**: ხრმალი აქ მეფეა, ყმა კი **“მღვდელი”**. გავიხსენოთ შაინტ ერნარდ და მისი **“Règle de l’Ordre du Temple”**, მის მიერ როგორც **“ilice de Dieu”**, წოდებული. ჯვაროსანთა მიერ დავითი უდიდეს პიროვნებად იყო მიჩნეული. მოვიყვანოთ ის ცნობანი, რომელნიც შესანიშნავად **“მონივთა”** ზ. ავალიშვილმა თავის ცნობილ ნარკვევში. 1109 წელს პარიზში მიიღეს ჯვარი, რომელზედაც ქრისტე აცვეს გადმოცემით. გამომგზავნი იყო ანსელიუს, წმინდა საფლავის კანტორი იერუსალიმში. ჯვარი დაასვენეს დიდი მოწიწებით ერთ პატარა ბაზილიკაში, რომლის ალაგს შემდგომ აღიმართა ცნობილი ტაძარი **“Notre Dame”**. 1793 წელს, რევოლუციის დროს, ეს ტაძარიც დაარბიეს და ააოხრეს: ჯვარი დაიკარგა უკვალოდ. კანტორი სწერს თავის ეპისტოლეში: მე ეს ჯვარი საქართველოს მეფის დავითის ქვრივისაგან მივიღეო. ნუ გამოვუდგებით აქ ისტორიულ შეცდომას: დავითი იმ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ჩვენთვის საგულისხმოა ეპისტოლეში ერთი თქმა: დავითმა **“გოგსა და მაგოგს”** კასპიის ბჭენი გადაურაზა და გზები მოუჭრაო.

ვინ არიან ეს გოგი და მაგოგი? ჰინდოარიულ ტრადიციაში ხშირად იხსენიება **“საკრავატრი”**: მეფე ქვეყნისა, რომლის სამყოფელ ადგილად იგულვებენ ჩრდილო პოლიუსის არეს, საიდანაც იგი ებრძვის ბნელსა და ქაოტურს. **“მზე-მეფენი”** – გადმოცემათა მიხედვით – ამ **“საკრავატრის”**-ის მსახიერებელნი არიან, რომელნიც ავსა და უკუღმართთან ბრძოლაში წარღვნას გადაურჩებიან ხოლმე და მაღალ მთებს აფარებენ თავს – გავიხსენოთ ნოე და მისი კიდობანი. ისინი მეფეებად ითვლებიან თორმეტისა: როგორც ზიგფრიდი, კარლოს დიდი და მეფე არტუს. ხალხთა თქმულებაში ამნაირადვე ისახება ალექსანდრე დიდი, აგრეთვე ცეზარიც. ახლოვდება თუ არა ბნელი ხანა, ანუ **“ღმერთთა დაბნელება”**, ეს მზე მეფენი ელინებიან კვლავ ქვეყანას სხვადასხვა განპიროვნებით, აღვიევენ თავიანთ ქმედებით ძალას ღვთიურისა მოწოლილი ბნელისა და ქაოტიურის წინააღმდეგ. გოგი და მაგოგი, ტრადიციათა ცნობით, ხალხია: ბოროტისა და უკუღმართების მატარებელნი. საკვირველი არაა, თუ ეს რწმენა გაცხოველდა ჯვაროსანთა რიგებში, რომელნიც იბრძოდნენ წმინდა საფლავის განთავისუფლებისათვის. და აი ერთი ჯვაროსანი აღნიშნავს სიხარულით – დავითმა, საქართველოს მეფემ, გოგსა და მაგოგს კასპიის საზღვარზე ბჭენი გადაურაზაო. და ვის შეეძლო ეს, თუ არა **“მზე მეფეს”**, ანუ **“მღვდელ მეფეს”**?

ხედავ კარდუ, სად ასულა სახელი აღმაშენებლისა?

გავყვეთ ქვევით. სირიაში და პალესტინაში საქრისტიანო სამთავროების დაარსებით საგრძნობლად შელახეს მუსლიმის სამფლობელო. ხოლო უკანასკნელი არ თვლის თავის თავს დამარცხებულად: იგი იკრებს ძალას და უცდის ხელსაყრელ ჟამს, რომ შეუტიოს ჯვაროსნებს და უკუაგდოს იგინი. 1119 წელს ნადინ ედდინ ელდაზმა, ალეპოს სულთანმა, დაამარცხა ანტიოქიის მმართველი როჟერ, ანტიოქიელად წოდებული. მუსლიმთა სამფლობელოს იმედი მიეცა. ხოლო ამ იმედს ჩრდილიც მოადგა: სწორედ იმ დროს მძლავრდება ჩრდილოეთში ერთი საქრისტიანო მხარე: საქართველო. მუსლიმთა წინაშე გეგმა წამოიჭრა: ჯერ საქართველოს მოსპობა და შემდეგ ჯვაროსანთა გარეკვა, გეგმა სწორი და კარგად ნაანგარიშევი. 1121 წლის აგვისტოში, საქართველოს მოადგა ნადინ ედდინ ელდაზის მეთაურობით დიდი ლაშქარი: 600 000 მხედარი – არაბები, სელჯუკები, თურქმენები. აგვისტოს 14-ს დიდგორის ველზე დავით აღმაშენებელმა დიდი საომარი ოსტატობით დაამარცხა ეს ურდოები. ნადინ ედდინ ელდაზ თავში დაიჭრა და განადგურებული ჯარი უკუიქცა. დავითმა გაანთავისუფლა ტფილისი საემიროსაგან და ძველი ქალაქი სომხეთისა ანი საქართველოს შემოუერთა.

აღვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა დიდ შთაბეჭდილებას გამოიწვევდა ჯვაროსანთა რიგებში დიდგორის გამარჯვება. დავითმა ამ გამარჯვებით არა თუ იხსნა მხოლოდ საქართველო განსაცდელისაგან, არამედ ამით მან ფასდაუდებელი დახმარებაც გაუწია ჯვაროსნებსაც.

და აი იზრდება მისი სახელი ლეგენდად კიდითი კიდემდე. ერთი ინგლისური ქრონიკა – როგორც ეს აქვს მოყვანილი ტიტე მარგველაშვილს ერთს ისტორიულ ნარკვევში, აგრეთვე ა. სანდერსს წიგნში **“kaukazian”** – მოგვითხრობს: დავითმა, საქართველოს მეფემ, დაირქვა სახელი **“Presbyter Johannes”**, გადავიდა აღმოსავლეთში და იქიდან მოდის ეხლა საქრისტიანოს მოსაშველებლადო.

შეეჩერდეთ ამ ცნობაზედ. საშუალო საუკუნოებში წამოიჭრა მძაფრად ევროპაში იდეა **“მღვდელ-მეფისა”**. **“Das Heilige Römische Reich”** გერმანელ მეფეთა მიერ ქმნილი, მსოფლმნიშვნელოვანი ცდა იყო ამ იდეის განხორციელებისა. ცდა ცდად დარჩა, რადგან **“მღვდელისა”** და **“მეფეს”** შეერთება ერთ პიროვნებაში არ მოხდა. კიდევ მეტი: იგი მღვდელისა და მეფის ერთიმეორესთან შეხლად იქცა. ამ შეხლაში მღვდელი დარჩა თავისთვის და მეფე თავისთვის. მარცხი ამ ცდისა საბედისწეროდ იქცა მთელი დასავლეთისათვის, ნატვრა მღვდელისა და მეფის ერთ-სახედ ქცევისა ისე ღრმად იყო საშუალო საუკუნეთა ევროპაში ფესვგამდგარი, რომ მნატვრელთ მონატრებული სინამდვილედ წარმოესახად: შორს აღმოსავლეთში არსებობს მფლობელი, რომელიც ერთსა და იმავე დროს **“მღვდელიც”** არის და **“მეფეც”**, სახელით: **“პრესბიტერ იოჰანეს”**, ფიქრობდნენ დასავლეთში. პრესბიტერ: მღვდელთმთავარი. და აი ინგლისურ მატიანეს ეს მღვდელთმთავარი დავით აღმაშენებელი ჰგონია.

არც ერთ ისტორიულ მფლობელს, თუ გინდ **“მზემეფედ”** სახულს, არ რგუნებია სახელის ასეთი ამაღლება: მითიური რეალობის ისტორიულ პიროვნებად ქცევა. ეს ქცევა არ არის შემთხვევითი ამბავი. წიაღში იმ ხალხისა, რომლის მდგენის პირველ-ხილვით მფლობელი **“მწიფე ხელიანია”**, ესე იგი ხელკურთხეული და ხელმადლიანი, ერთხელაც არის, **“ხელმწიფე“** უნდა მოვლენილიყო. დავით აღმაშენებელი არის ხელმწიფე შენი გაგებით კარდუ, და როგორც ასეთი; მღვდელი და მეფე ერთსა და იმავე დროს.

მისი ხელის **“სიმწიფეს”**, მის სიმარჯვეს, საქართველოს ისტორიაში შემდგომ განმტკიცებულს, განუწყვეტლივ გრძნობდნენ ჯვაროსანნი შემდეგშიაც. ერთი რაინდი ჯვაროსანი სწერს ბეზანსონის მთავარ-ეპისკოპოზს: საქართველოს ჯარმა, თამარ დედოფლის ახალგაზრდა ვაჟის მეთაურობით, გადმოლახა მძლეობით მცირე აზია, აიღო ცხრა დიდი ქალაქი და სამასი ციხე შეანგრია; გამარჯვებულ სარდალს თან მოაქვს ნეშტი განსვენებული დედისა, რომლის სურვილი იყო იერუსალიმის განთავისუფლება; აღფრთოვანებით მოველით აქ ჩვენ მასო – აბოლოვებს რაინდი. ეს ლეგენდაა მხოლოდ, ჯვაროსანთა ნატვრით შექმნილი, მაგრამ ხშირად ლეგენდა უფრო ნამდვილია, ვიდრე ისტორიული ამბავი.

“აი დავით, დიდი მეფე ჩვენი, შენ მიერ კურთხეული კარდუ!”

“იგი მარჯვენაა ჩემი!”

“მარჯი შენს მარჯვენას, კარდუ!”

მინაწერი.

1. წინადადებას ვიძლევი: გადაუშალოს აქ მოყვანილი **“მადანი”** რომელიმე მკითხველმა რომელიმე მკვლევარს დიდ კულტურათა. დაინახავს: მკვლევარი განცვიფრებული დარჩება.

2. როცა ჩვენ ვაცნობთ ხოლმე საქართველოს უცხოელებს, ზემოთქმულიდან უნდა გამოვდიოდეთ – თორემ **“ისე”** ჩვენს სიტყვას ზრდილობით მოისმენენ. ეს როგორც **“რჩევა”**.

3. განმარტება. როცა ქართულ შაირს ვეხებოდი, მაგალითები მოვიყვანე **„აბრუნდისა“**: ერთი აკაკის და მეორე ილიას შაირიდან. ვახსენებდი: თუ არ ვცდები, ასეთი **„აბრუნდი“** ვაჟასაც უნდა ჰქონდეს მეთქი ერთ შაირში. გერმანიიდან გადარჩენილ წიგნებიდან მივიღე ვაჟას წიგნიც შაირთა. აი ის **„აბრუნდი“** (შაირში **„ღამე მთაში“**) ნათქვამია:

„მთვარე კი ჯერ არსად სჩანს,
არ დაგვნათოის თავზედა.“

პირველი სტრიქონი გამართულია **„მაღალი“** ზომით, მეორე კი **„დაბალი“** ზომით. ყოვლად შეუძლებელია, პირველი წარმოვთქვათ ისე როგორც მეორე და მეორე ისე როგორც პირველი. ასეთი აბრუნდი დეტალია, ხოლო უნდა გვახსოვდეს, რომ ხშირად დეტალზე უფრო აშკარად მოინახვის **„მთავარი“**. ვიმეორებ: ვისაც სურს გაიგოს ქართული შაირის საიდუმლოება ზომის მხრივ, ამ დეტალს უნდა სწვდეს პირველ ყოვლისა.

თედო ლაკადელი

მონსტრის ტუსაღი საქართველო

(სიმართლე ლექსად)

ბევრი მოსყიდული სატანას ემხრობა,–
ამადაც ქვეყანა ზედ თავზე გვემხობა.
არა სჩანს მერაბი, არსად სჩანს ზვიადი,–
მათი მოცილებით ჩამოწვა წყვდიადი...
მზე, მზე დააბნელეს სამშობლოს ორგულთა,–
როცა ბელზებელი “მეუფედ” მობრუნდა...
ურცხვად მოვარდენ და უკან არ მიდიან;
თვით სულგაყიდულნი ყველაფერს ყიდიან.
მტრულად გაასხვისეს მიწაც და მდინარეც,–
სიცოცხლის სანაცვლოდ სიკვდილი მძვინვარებს.
სულს ემუქრებიან მთლად განადგურებით,–
ქართველებს სდევნიან და მოჰყავთ ბურები.
როცა საქართველოს შავი დღე დაუდგა,–
ჩვენს ბიჭებს სხვის ომში, სხვის ომში რა უნდათ?
დღეს რომ საზარბაზნე ხორცადაც აქციეს,–
და სისხლი ქართული სხვის მიწას აწვიმეს.
მადა გახსნილი აქვთ, ეტყობათ იერში;
გულმართალ ვაჟკაცებს ტანჯავენ დილეგში.
თვით გარს ახვევიათ ნარნარი ხარჭები,–
ზეობენ ხტუნავენ, ვითარცა ქაჯები.
“აყვავდა ქვეყანა” “ნაცების” ხანაში,–
თავი რომ ჰგონიათ თვით ჰარამხანაში.
ცოდნა იზომება მზაკვრული არშინით,–
როცა “განათლებას” თავკაცობს შაშკინი.
კაცი ვერ კაცობს და ვერ საგნობს საგანი,–
ახლა სკოლებია შაშკინის საკანი
ტყუილებს აფრქვევენ ცალ-ცალკე, ჯგუფ-ჯგუფად,
დიქტატორს ხატავენ დემოკრატ შუქურად.
დღისით და ღამითაც გაყიდულ მთა-ბარში,–
არ წყდება სიმღერა, ცეკვა და თამაში...
ტელეეკრანებზე მასხრობენ, მღერიან,
ქართველს არწმუნებენ რომ ბედნიერია.
სიცრუე მეუფებს, სიცრუის სერია,–
თურმე ეს ცხოვრება, რა მშვენიერია...
ცხოვრება მჩქეფარებს მათი თქმის მიხედვით;
ჰგავს უიმედობას მათ ხელში “იმედიც”...
“ნაცები” იგებენ ომს ხალხთან ბრძოლაში,–
სიცილის ჟამი აქვთ სიკვდილის ზონაში...
უიღბლო მამულში გამქრალა მორალიც;
თითქოს იღბლიანი ტრიალებს ბორბალი...
ნაც-ბანდის მომხრენი ჰგავთ ტაკიმასხარებს,
ვინც მტერს და მაოხარს სულ ხოტბას ასხამენ.
ბევრს ვეღარ უცვნია მტერი და მოყვარე,–
უღვთონი ზეობენ, ღვთიურნი ოხრავენ...
შირმად უკიდიათ ილიას სურათი,–
ჯართში ჩააბარეს ბიუსტი სულმნათის...
წარსულსაც ებრძვიან, სული აქვთ წარყვნილი.
“გმირულად” დაამხეს ბიუსტი სტალინის.
სამშობლოს დამღუპველ აცხობენ პროექტებს;
აბუჩად იგდებენ მწერლებს და პოეტებს...
ახლა უზნეობა ყველაფერს ეძალვის,–
ეკრანს არ შორდება მრუში და მეძავი.
მტრის რისხვა არტყია ქვეყანას არშიად,–
აქ კი უზნეობის არ წყდება თარჩია.
თვალდათვალ რომ ყვინთავს ცხოვრების ბორანი;
თავზე დაგვყრანტალებს მუდმივად ყორანი...
მამულის კვნესაზე ვიღაცა ხარხარებს,
ქართველთა ვაება “ქართველებს” ახარებს...
ეს ხელისუფალნი ქართველთა ძვლებზე დგას,
დაკნინდა სამშობლო ღალატის შედეგად.
ხალხს რომ შებრძოლების ჟინი არ გაუწნდეს,–
რაღაც სამათხოვრო უგდებენ ვაუჩერს...
“ნაცების” ვარდებმა ეკალი მოისხა,–
ისე სძულთ ქართველი, ლამის სულ მოისრას.
ერთად რომ შეყარა უნდო და უწყალო,–
სიკვდილსაც გვაჩვევენ უექიმ-უწამლოდ.
კურნავს კი სნეულთა შადრევნის ჩხრიალი,
ან თხილამურებით მავანთა სრიალი?..
რამდენი ყოფილა გულღრძო და ავსული,
ქვეყნის ქართველია ქვეყნიდან გასული...
რად სურთ საქართველო რომ ჰგავდეს სინგაპურს,–
ქართველი ეძებდეს სხვის კარზე ლუკმა-პურს?
სოფლად ვის ადარდებს ხალხი რა დღეშია,–
ჩაის ბარდნარებში მგლების თარეშია...
თურქეთი თავისად მიიჩნევს აჭარას,
სხვა ეპოტინება რაჭას და ხვანჭკარას...
გულდაგულ მალავენ ამქვეყნად რაც ხდება,–
როდესაც უკუსვლა წინსვლადაც საღდება.
დუშმანმა მოირგო ერთგულის მანტია,–
ჟამი დგას უუმური ქართველთა ყლაპია...
ვინც კი სინდისისგან განზე გამდგარია,–
მაინც გაიძახის – “მიშა მაგარიას”!
როს გორში, ომის დროს ფორთხავდა ვაგლახად,
თავისი “გმირობა” მსოფლიოს ანახა.
რატომ ვდუმთ ქართველნო, რომ ლამის გაგვთელონ,–
მონსტრის ტუსაღია მთელი საქართველო...
სად გაქრა სიქველე ოდით რომ მოგვსდგამდა,–
ნუთუ გვსურს დარჩენა მონების მონადა?..
რაინდ წინაპართა შეგვესმას ძახილი,–
სამშობლოს სახსნელად შემართეთ მახვილი!!!

განვითარების ის მოდელი, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ახორციელებს, საქართველოს ბატისტასდროინდელ კუბად აქცევს

(გაგრძელება 1 გვერდიდან)

– რით არის განპირობებული მსოფლიოში აშშ-ის ასეთი აგრესიული პოლიტიკა? ნუთუ მხოლოდ ნავთობის მსოფლიო მარაგებზე კონტროლის სურვილით? აშშ-ის ეკონომიკური მდგომარეობა ხომ კატასტროფას უახლოვდება – მხოლოდ საგარეო ვალმა 13 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. ასეთი გიგანტური თანხის წარმოდგენაც კი რთულია...

– საქმე უბრალო არითმეტიკაშია. აშშ-ის მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 4 პროცენტს შეადგენს, მაგრამ მსოფლიო რესურსების 40 პროცენტს მოიხმარს. ერთი ამერიკელი 10-ჯერ მეტს მოიხმარს, ვიდრე დედამიწის საშუალო სტატისტიკური მაცხოვრებელი, ევროპელების ჩათვლით. თვითონ აშშ მოხმარებული პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილს აწარმოებს. ძირითადი მოხმარება დანარჩენი მსოფლიოს ექსპლუატაციის, უფრო სწორად, ძარცვის ხარჯზე ხორციელდება. ამ მიზნისთვის არსებობს დოლარი, როგორც მსოფლიო ვალუტა, რომელზეც ქვეყნების უმრავლესობის ვალუტებია მიბმული. რატომ სძულთ ასე ძალიან ამერიკელებს სტალინი? იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირმა სტალინის მმართველობის პერიოდში უარი თქვა რუბლის დოლართან მიბმაზე და უარი თქვა საგარეო-სავაჭრო ოპერაციებში მის გამოყენებაზე. სტალინმა ამ მიზნისთვის ოქროს რუბლი შემოიღო, რომელიც რეალური ოქროთი იყო უზრუნველყოფილი. ზუსტად იმის გამო შეიძულა ამერიკულმა მმართველმა კლასმა სტალინი, რომ სტალინმა მათ მთავარ იარაღს – დოლარს სსრკ-ის რესურსებისკენ გზა გადაუკეტა. პირველი, რაც გააკეთეს **«რეფორმატორებმა»** სსრკ-ის დაშლის შემდეგ, ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ვალუტა მიაბეს დოლარს. აშშ, როგორც მსოფლიო ვალუტის

ემისიური ცენტრი, ბეჭდავს დოლარებს და მათ სანაცვლოდ მსოფლიო რესურსებს თავის სასარგებლოდ ქაჩავს. მთლიანობაში დაბეჭდილია კატასტროფული თანხა – 1 კვადრილიონ 420 ტრილიონი დოლარი; ეს მეტია, ვიდრე მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტი!

იმისთვის, რომ გავიგოთ, რას წარმოადგენს ეს დოლარი, შარლ დე გოლთან დაკავშირებულ კლასიკურ ისტორიას მოვიყვან. იგი პროფესიონალი სამხედრო იყო და ეკონომიკაში ცუდად ერკვეოდა, მაგრამ საფრანგეთის პატრიოტი იყო და, როცა პრეზიდენტი გახდა, ყურადღება მიაქცია იმას, რომ დოლარი ქვეყანაში პარალელურ ვალუტას წარმოადგენდა, რომლითაც ყიდულობდნენ და გაჰქონდათ როგორც რესურსები, ისე მხატვრული ღირებულებები. იგი დაინტერესდა ამ საკითხით და ამ ფინანსური ოპერაციების ბუნების შესახებ ერთ ძველ ფინანსისტს ჰკითხა. ფინანსისტის პასუხი ასეთი იყო: წარმოიდგინეთ, რომ საფრანგეთი ყიდის და ვინჩის **«მონა ლიზას»**; რუსი მის სანაცვლოდ გვთავაზობს 100 ათას რუბლს, რომლის უკანაც დგას ოქრო, ალმასები, ნავთობი; ჩინელი გვთავაზობს 100 ათას იუანს, რომლის უკანაცაა აბრეშუმი, ოქრო, მადანი; ხოლო ამერიკელი გვაძლევს 200 ათას დოლარს და მიაქვს სურათი. **«და ფოკუსი რაშია?»** – იკითხა პრეზიდენტმა. ფოკუსი კი იმაშია, – უპასუხა ფინანსისტმა, – რომ ამ 200 ათასის ფასი იმ ქაღალდისა და საღებავების ტოლია, რომლებიც მის დაბეჭდვაში დაიხარჯა. ერთი 100-დოლარიანი კუპიურა აშშ-ს 0,3 ცენტი უჯდება. ამის შემდეგ დე გოლმა მოუწოდა ფრანგებს, გამოეჩინათ პატრიოტიზმი, მხარი დაეჭირათ ეროვნული ვალუტისთვის და მათ ხელთ არსებული დოლარები ფრანკებზე გადაეცვალათ. შეგროვებული დოლარები მან აშშ-ში გადააგზავნა და თავისი ოფიციალური ვიზიტის მსვლელობისას მოითხოვა, გადაეცვალათ ოქროზე, რომლითაც ისინი უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი. ამერიკელები, სკანდალისთვის თავი რომ აერიდებინათ, დათანხმდნენ, მაგრამ ამის შემდეგ მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც, აშშ-ის საზღვრებს გარეთ ბრუნვაში არსებული დოლარის კუპიურების ოქროთი უზრუნველყოფა არ მოხდებოდა, ანუ ოფიციალურად დააფიქსირეს, რომ ეს მხოლოდ მწვანე ქაღალდებია მასონური სიმბოლიკით.

მაგრამ იმისთვის, რომ მსოფლიოს ქვეყნები დათანხმდნენ, მიიღონ ეს ქაღალდები, როგორც ვალუტა და მათ სანაცვლოდ ეროვნული სიმდიდრეები გასცენ, საჭიროა დამაჯერებელი არგუმენტი – სამხედრო ძალა. ამიტომაც აქვს აშშ-ს მსოფლიოს ყველა კუთხეში 136 სამხედრო ბაზა.

ბოლო ათწლეულში სიტუაცია შეიცვალა. პირველ რიგში, ცუდად თუ კარგად, ევრო ჯერ კიდევ მუშაობს, ჩინელები ოქროს იუანის შემოღებას აპირებენ, არაბები ოქროს დინარის შემოღებაზე საუბრობენ, რუსეთი საგარეო სავაჭრო ოპერაციების რუბლზე გადაყვანას იწყებს. მეორეც, რიგი ქვეყნებისა უარს ამბობს ამერიკისთვის სანედლეულო დანამატის როლზე, თავისი რესურსების საკუთარი სახელმწიფოს განვითარებისთვის გამოყენება სურთ. რა ქნან ამერიკელებმა? უნდა გამოიყენონ სამხედრო ძალა. მათ ერაყი დაბომბეს და ოკუპაცია მოახდინეს, რომლის დროსაც მილიონზე მეტი ადამიანი მოკლეს, დაბომბეს ლიბია – მოსახლეობის ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონის მქონე ქვეყანა. ერაყიც და ლიბიაც რამდენიმე კვაზისახელმწიფოდ დაიყოფა და უკვე ვეღარასოდეს დადგება ფეხზე, მათი რესურსები კი **«ოქროს მილიარდის»** სასარგებლოდ გაიწოვება. იგივე ბედი ელის იემენს, იმავეს გაკეთება უნდათ სირიასა და ირანში.

არის ერთი აქსიომა, რომელიც აშშ-ისა და ზოგადად დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური კურსის საფუძველში დევს: იმისთვის, რომ **«ოქროს მილიარდის»** ქვეყნებში ახლანდელი მოხმარების მაღალი დონე შეინარჩუნონ, დანარჩენი კაცობრიობა სიღატაკეში უნდა ამყოფონ. პლანეტის რესურსები შეზღუდულია, ყველას კარგი ცხოვრებისთვის არ ეყოფა. დასავლეთს მოხმარების შემცირება არ უნდა. სცადეთ, ამერიკელებს შესთავაზოთ, მოიხმარონ იმაზე ნაკლები, ვიდრე ისინი მიეჩვიენ, – ისინი ნებისმიერ მთავრობას წალეკავენ. რა გამოსავალი აქვს ამერიკის მმართველ ელიტას? – ომი, დიდი ომი, რა თქმა უნდა, ამერიკის ფარგლებს გარეთ. ომი, რომელიც მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილს გამოფიტავს, ხოლო შემდეგ იქ მივლენ ამერიკელები თავიანთი დოლარით და ისევ ჩვეულ და ძალიან სარფიან საქმეს მიჰყოფენ ხელს – დოლარების გაყიდვას. ასე გამოვიდნენ ისინი კრიზისიდან მეორე მსოფლიო ომის წყალობით, ასე მოვიდნენ ისინი გამოფიტულ ევროპაში ომის შემდეგ.

– ეს მოვლენათა განვითარების ერთადერთი შესაძლო ვარიანტია თუ ამ მდგომარეობიდან სხვა გამოსავალიც არსებობს?

– არის სხვა გზაც: დოლარის პირამიდის ნგრევა, მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, დოლარზე, როგორც მსოფლიო ვალუტაზე, უარის თქმა, რეალური რესურსებით უზრუნველყოფილი ნაციონალური და რეგიონული ვალუტების წარმოშობა. ამ შემთხვევაში ყველა ქვეყანას მოუწევს, რეალური პროდუქტი აწარმოოს, შიდა ბაზარი განავითაროს, ხოლო პროდუქტი რეალურ ფულად, და არა მწვანე ქაღალდის სანაცვლოდ, გაყიდოს. ამერიკელები იძულებულნი გახდებიან, უარი თქვან ჰაერის გაყიდვაზე, ვირტუალურ ბაზარზე, ე.წ. ფასიან ქაღალდებზე, ისევ განავითარონ რენტაბელური სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომელიც ახლა მათ არ გააჩნიათ.

– ასეთი ვარიანტი ყველა ქვეყანას დარტყმას მიაყენებს, კრიზისი ყველას შეეხება...

– რა თქმა უნდა. ზუსტად ამიტომ ცდილობს ყველა ამ კრიზისის გადავადებას, საერთო ძალებით ცდილობენ დოლარის გადარჩენას. რომ არა ეს ძალისხმევა, დოლარი, დიდი ხანია, ჩამოშლებოდა. საკმარისია, ჩინეთმა და რუსეთმა ბაზარზე გამოყარონ თავიანთი დოლარის მარაგები და დოლარი ყველასთვის გამოუსადეგარ ქაღალდად გადაიქცევა, მაგრამ რამდენ ხანს შეძლებენ ამის გადადებას? ფინანსურმა პირამიდამ, თუნდაც ის გლობალური იყოს, არ შეიძლება მუდმივად იარსებოს. საკითხავი ისაა, რა მოჰყვება დოლარის კრახს: მსოფლიო ომი თუ შევძლებთ მსოფლიო კრიზისით შემოვიფარგლოთ? პირველ შემთხვევაში მივიღებთ გამარჯვებულის მსოფლიო მბრძანებლობას ან გამარჯვებულთა შორის ახალ მსოფლიო გადანაწილებას; მეორე შემთხვევაში – იმ ქვეყანათა ლიდერობას, რომლებსაც გააჩნიათ რესურსები და შრომისმოყვარე მოსახლეობა, რაც მათ საშუალებას მისცემს, მოკლე ვადებში გამოვიდნენ კრიზისიდან და ეკონომიკა აღადგინონ.

– როგორ უნდა მოიქცეს საქართველო მოვლენების ასე განვითარების შემთხვევაში?

– პირველ რიგში, უნდა ეცადოს, არ გაიჩინოს მტრები, რომლებიც ომის შემთხვევაში მას გაანადგურებენ; მეორე – არ დაუშვას ქვეყნის შემდგომი დაშლა უახლოეს წლებში; მესამე – ააშენოს ეკონომიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება: ა) შიდა ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე; ბ) იმ პროდუქციის წარმოებაზე, რომელიც შეიძლება გარე ბაზარზე მყარ ვალუტაზე გაიყიდოს ან იმ რესურსებზე გადაიცვალოს, რომელთა ნაკლებობასაც ქვეყანა განიცდის.

– ჩვენი ხელისუფლება მუდმივად ამტკიცებს, რომ აშშ-ის დახმარებით განვითარებულ ეკონომიკას ვაშენებთ და უკვე მსოფლიო ეკონომიკურ ბაზარზე ღირსეული მოთამაშე გავხდით...

– ქვეყანას, რომლის იმპორტიც 4-ჯერ აღემატება ექსპორტს, არ აქვს უფლება, ჩათვალოს, რომ ეკონომიკა გააჩნია. ჩვენ ოთხჯერ ნაკლებს ვყიდით, ვიდრე ვყიდულობთ. მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს იმ ფულით, რომელსაც ნათესავები საზღვარგარეთიდან უგზავნიან, ძირითადად სწორედ ეს ნაღდი ვალუტა უზრუნველყოფს ფულის ბრუნვას ქვეყანაში. ამ ფულით ჩვენ ვფარავთ შემოტანილი პროდუქციის ღირებულებას, ფული კი ისევ საზღვარგარეთ გაედინება. სქემა ძალიან მარტივია: თქვენი ნათესავი გიგზავნით რუსეთიდან ფულს, თქვენ ამ ფულით თურქეთიდან შემოსულ საქონელს ყიდულობთ, ფული თურქეთში გაედინება, ნაწილი კი შუამავალს რჩება. ამ სქემაში ქართული ეკონომიკის ადგილი არაა. შემოსავლების მეორე ნაწილი ქართული რეალობის მცოდნე ერთ-ერთმა გერმანელმა ექსპერტმა სიტყვასიტყვით აღწერა: საქართველოში რეალური ეკონომიკა არ არსებობს; ქვეყანა უცხოურ გრანტებზე, კრედიტებზე ცხოვრობს, რომლებსაც იგი ღებულობს გარკვეული გეოპოლიტიკური ამოცანის შესრულების სანაცვლოდ, რაც რუსეთის სამხრეთის უსაფრთხოებისთვის ძირის გამოთხრაში მდგომარეობს. თუ აშშ-ში ამ ფუნქციაზე მოთხოვნა არ იქნება, სრული ეკონომიკური კოლაფსი დადგებაო. მანვე საქართველოს შეარქვა პიარის, ანტურაჟისა და გარეგნული ეფექტის ქვეყანა, რომელიც ორიენტირებულია უცხოელების შექებაზე.

განვითარების ის მოდელი, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ახორციელებს, საქართველოს ბატისტასდროინდელ კუბად აქცევს. იქ ამერიკელებისთვის ტურისტული სამოთხე იყო, შენდებოდა ფეშენებელური სასტუმროები, რესტორნები. ტურისტების მომსახურებით დაკავებული იყო ათასობით მზარეული, დამლაგებელი, მეძავი და მუსიკოსი. ათიათასობით კუბელი მუშაობდა აშშ-ში შავ სამუშაოზე და ნათესავებს ფულს უგზავნიდა. ის, ვისაც არ უნდოდა ან არ შეეძლო მზარეულობა თუ მეძავობა, შაქრის ლერწმის პლანტაციებში მონური შრომით იყო დაკავებული. განათლებაზე, მეცნიერებაზე, ჯანდაცვაზე ლაპარაკიც არ ყოფილა. ეს იყო ამერიკული კოლონია, რომელსაც ისინი იმ მიზნით იყენებდნენ, რათა მისცემოდნენ იმ ცოდვებს, რომლებიც ჯერ კიდევ განიკითხებოდა ამერიკულ საზოგადოებაში – სექსი, ლოთობა, ბანქო, კაზინო, ჰომოსექსუალიზმი. კასტრომ, ჩე გევარამ, კუბელმა ხალხმა ბოლო მოუღეს ამ დამცირებას. ამის გამო აშშ-ს ისინი დღემდე სძულს, ნახევარი საუკუნე ამყოფებენ კუბას ეკონომიკურ ბლოკადაში. თვითონ აღიარეს, რომ 600-მდე თავდასხმა მოამზადეს კასტროს წინააღმდეგ, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს.

დღეს კუბაში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონის საშუალო და უმაღლესი განათლება და საუკეთესო მედიცინაა. სხვათა შორის, ერთიც და მეორეც უფასოა. ცხოვრობენ მოკრძალებულად, მაგრამ ადამიანურ და ეროვნულ ღირსებას ინარჩუნებენ. მიუხედავად **«კასტროს რეჟიმის საშინელებათა»** შესახებ მსოფლიო პროპაგანდისა, მისი ავტორიტეტი ლათინური ამერიკის ქვეყნებში ყველა ადგილობრივი ლიდერის ავტორიტეტზე მაღალია.

საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისთვის საქართველო ინდუსტრიული, კულტურული განვითარებითა და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობით თანამედროვე კუბაზე ბევრად მაღლა იდგა, მაგრამ, ბოლო 20 წელია, ბატისტასდროინდელი კუბისკენ მიექანება. ჩვენ ან შევაჩერებთ ამ დაცემას, ან როგორც ერი გადავგვარდებით.

გაგრძელება იქნება

თენგიზ (გიზი) ისლამის ძე დადეშქელიანი 80 წლის გახდებოდა

თენგიზ (გიზი) ისლამის ძე დადეშქელიანი დაიბადა 1932 წლის 25 მარტს, ქალაქ ოჩამჩირეში. მამა არ ახსოვდა, რადგან ის იყო გადასახლებული ციმბირში. თენგიზის ბაბუა ის კაცი იყო, რომელმაც მოკლა ცარიზმის წარმომადგენელი, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი, რის გამოც ყველა დადეშქელიანი გადასახლებულ იქნა ციმბირში, ან იძულებული გახდა გვარი გადაეკეთებინა. ამიტომაც, სკოლაში თენგიზი ატარებდა ან დედის გვარს – არშბას, ან ბიძის გვარს, რომელიც გიგინეიშვილი იყო. მაგალითად, თენგიზის და – ქალბატონი ეთერი მუდამ ბიძის გვარს ატარებდა. თენგიზმა მხოლოდ მეათე კლასში დაიბრუნა გვარი – **დადეშქელიანი.**

გიზის დედა – ლიდია იაკობის ასული არშბა აფხაზი ქალბატონი გახლდათ. ჩვენ, გიზის მეგობრებს არასოდეს დაგვავიწყდება ამ არაჩვეულებრივად თბილი ადამიანის ალერსი. მისი ძმა გახლდათ მთელ საბჭოთა კავშირში სახელგანთქმული დასტაქარი, უბადლო ქირურგი სოკრატ იაკობის ძე არშბა.

გიზი არაჩვეულებრივი ვაჟკაცი და უღალატო მეგობარი იყო, ყველას უყვარდა, ადამიანური სითბოთი ძალიან ჰგავდა დედამისს. მოღვაწეობდა ეკონომისტად სხვადასხვა დაწესებულებებში. ჰყავდა მეუღლე – მარო დოხნაძე და ქალ-ვაჟი.

გიზი წარმოშობით სვანი იყო, მაგრამ სიყმაწვილეში საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეში არასოდეს ყოფილა. მახსოვს, მამიდა გარდაეცვალა მესტიაში და პირველად მაშინ ავედით ამ არწივების ბუდეში.

არაჩვეულებრივად სიმპათიური გარეგნობის ადამიანი გახლდათ გიზი – ნამდვილი დადეშქელიანი. იშვიათი მომლხენი იყო, ბრძნულად, მამაპაპურად იცოდა სუფრის გაძღოლა, მეორე დღეს კი მთელი ოჩამჩირე იმეორებდა მის სადღეგრძელოებს და სხვა მოთხრობილ სახალისო ამბებს.

მოულოდნელი გახლდათ მისი დაღუპვა. კვირა დღეს ბიჭებმა ოჩამჩირის **"ფუნიკულიორზე"** გადავწყვიტეთ დასვენება, მაგრამ გიზის გარეშე ყველაფერს აზრი დაეკარგებოდა. წამოსაყვანად სახლში მივაკითხეთ, მისი ეზოს ჭიშკარი ღია იყო და ხალხი ირეოდა. ჩვენი ავი წინათგრძნობა გამართლდა – ერთი საათის წინ გიზი გულის შეტევით გარდაცვლილიყო.

ეს გახლდათ ჩვენი სამეგობროს პირველი დიდი დანაკარგი, რამაც მთელ ოჩამჩირეს დასცა თავზარი. გიზი მაშინ 40 წლისაც კი არ იყო.

მას შემდეგ ხშირად ვიკრიბებოდით ოჩამჩირის სასაფლაოზე და მისი სულის მოსახსენებლად მღვდელს წირვას ვთხოვდით ხოლმე. მაგრამ, უკვე ოცი წელია, ბედის უკუღმართობის გამო, ოჩამჩირეში აღარ ვყოფილვართ. ალბათ წელსაც ვეღარ წავალთ. უბრალოდ, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე ეკლესიაში შევალთ და კელაპტარს დავანთებთ ჩვენი უღალატო მეგობრის **თენგიზ (გიზი) ისლამის ძე დადეშქელიანის** სულის მოსახსენებლად, რომელიც 25 მარტს 80 წლის გახდებოდა.

ნათელში იყოს შენი სული, ძმაო თენგიზ!

თანაკლასელების სახელით,

ჭიჭიკო ბარამია,
ზუგდიდი



ანრიდ (ბუჭა) სანაია – 75

პატიოსნების განსახიერება

თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას პატიოსნების და წესიერების გასახიერებაო ბატონ ანრიდ (ბუჭა) სანაიაზე უნდა ითქვას. ჰო და ეროვნული მოძრაობის ძველი კოჰორტის წარმომადგენელი, დისიდენტი, ყოფილი პოლიტპატიმარი, ბატონ ზვიად გამსახურდიას უდალატო თანამებრძოლი და სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს“** წევრი მისი დაფუძვნების დღიდან, ბატონი ანრიდ (ბუჭა) სანაია უკვე 75 წლისა გამხდარა. ვიცი რა მისი თავმდაბლობის ამბავი, შეიძლება არც ესიამოვნოს იუბილის აფიშირება, მაგრამ მან უნდა გვაპატიოს, მე კი მოვალე ვარ, თუნდაც დაგიანებით, მაგრამ მადლიერების განცდით გულითადად მივულოცო მას ეს იუბილე.

ბატონო ბუჭა, გისურვებთ ხანგრძლივ და ბედნიერ სიცოცხლეს. კვლავაც ძველებური მხნეობით გეღვაწოთ ჩვენი ბედკრული სამშობლოს საკეთილდღეოდ!

ზურაბ კვარაცხელია.

ანრიდ (ბუჭა) სანაია: „როგორ მეგონა, რომ ის დრო, რომელმაც დისიდენტობის გამო მრავალი წელი ციხეში გამატარებინა, სანატრელი მექნებოდა“

ზუგდიდის რაიონის მკვიდრს, ეროვნული მოძრაობის ძველ აქტივისტს, პოლიტპატიმარს, დისიდენტს ანრიდ (ბუჭა) სანაიას დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. ის, როგორც ყოველთვის, ამჟამადაც გამოირჩევა სადი აზროვნებით და მოვლენათა სწორად განჭვრეტის უნარით. ძალიან წუხს იმაზე, რომ ვერ ხედავს იმ საქართველოს, რომლისთვისაც იბრძოდა და რომელსაც მიუძღვნა მთელი შეგნებული სიცოცხლე, ოჯახური ცხოვრებაც კი, რადგან, როგორც დათქმული ჰქონდა, არ დაოჯახებულა, მანამ სანამ საქართველო დამოუკიდებელი არ გახდა. **„რად მინდა ასეთი დამოუკიდებლობა, საბჭოთა კავშირის დროს უფრო დამოუკიდებელნი ვიყავით, ვიდრე ახლა ვართ. როგორ მეგონა რომ ის დრო, რომელმაც მრავალი წელი დისიდენტობის გამო ციხეში გამატრებინა, სანატრელი მექნებოდა. სანამ საქართველოში არ გვეყოლება ეროვნული ხელისუფლება, ჩვენი საშველი არ იქნება.** – აცხადებს ბუჭა სანაია.

ბუჭა სანაია სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს“** აქტიური წარმომადგენელია და ძალიან კმაყოფილია, რომ ზუგდიდში არსებობს ასეთი მოძრაობა. **„სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ ჭეშმარიტ საქმეს ემსახურება, როგორიცაა მეგრული კულტურის, ენის შენარჩუნება. მეგრელები კიდევ უფრო მეტად უნდა წარმოჩნდნენ ერთიან ქართულს სივრცეში. მეგრული ენის შემწეობით კიდევ უფრო უნდა განვითარდეს ქართული ენა“** – აღნიშნა ბუჭა სანაიამ.

რაც შეეხება რუსეთთან დამოკიდებულებას ბუჭა სანაიას განმარტებით აუცილებელია დიდ მეზობელთან მეზობლური, მეგობრული ურთიერთობის აღდგენა. **„მე მივესალმები პუტინის გაპრეზიდენტებას, რადგან ის არ დაუშვებს ერთპოლუსიან მსოფლიოს და გლობალიზაციის პროცესს, რაც ჩვენს ინტერესებშიც შედის. ჩვენ მოსისხლე მტერი – ამერიკელები შემოვიყვანეთ ქვეყანაში, რამაც გამოიწვია რუსეთის გადამტერება. ჩემთვის და ყველა გონიერი ადამიანისთვის უნდა იყოს მისაღები საყოველთაოდ აღიარებული პოლიტოლოგის ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მოსაზრებები და მისი რჩევები. მას ივანიშვილმაც უნდა უგდოს ყური და ალექსანდრე მას ყოველთვის გაიყვანს ფონს“** – დასძინა ბუჭა სანაიმ.

ვუსურვოთ დღეგრძელობა, ჯანმრთელობა, **75 წლის ბუჭა სანაიას,** რომელიც ცხოვრობს ისეთ ქვეყანაში სადაც ის, როგორც რეპრესირებული, იმაზე ნაკლებ პენსიას იღებს, ვიდრე მისი მარეპრესილებლები. ბუჭა სანაია უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს.

ლადო ქირია
ზუგდიდი

სახალხო მოძრაობა “სამეგრელო” და გაზეთი “ილორი” გულითადად ულოცავენ ჩვენს მეგობარსა და თანამებრძოლს ბატონ ანრიდ სანაიას დაბადებიდან 75 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ბატონ ანრიდს ჯანმრთელობას და უშრეტ ენერგიას, რათა კვლავაც იღვაწოს სამშობლოსა და მშობელი ხალხის საკეთილდღეოდ!



ჩვენი დროის ღამურები

(სატირული ლირიკა)

ერთმა უგნურმა თაგუნამ
იუკადრისა თაგვობა...
აკაკი

დადიან, დააქვთ თავები,
როგორც ძვირფასი თასები,
თვითონ “სვეტები” დაირქვეს,
ხალხს კი დაარქვეს “მასები”!..
უყვართ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები,
გაუგებარი წიგნები!..
“იზმების” გაგონებაზე
დახტიან, როგორც ციკნები.
ისწავლეს უცხო ენები,
ლამის ზედ გადაჰყვებიან!..
ქართულის შეხსენებაზე
ძალიან გვიბრაზდებიან:
“არ გვეკერკება კარტული,
დზალიან დზნელი არიო,
ნერვებსაც გვიშლის ევროპულს
თქვენი “ჭარი” და “ვარიო”!..
იციან ამერიკული
სლენგი და ფრანგის ჟარგონი,
სულ გარე-გარე იწევენ
აქ არავისთვის სარგონი!..
ზოგი უცხოეთს წასულა
და სხვა უკეთებს კინოსა!..
ზოგი იმათთვის აკვნესებს
“სკრიპკას” და პიანინოსა!..
ზოგი ჩუმ-ჩუმად დასცინის
ქართულ ჩოხას და კაბასა,
თავის წინაპრებს ივიწყებს,
ინგლისში ეძებს პაპასა.
ოხრავენ: “ჩემი გოეთე,
ჩემი რაბლე და დანტეო!..
ქართველთან ჯდომას ის მიჯობს,
უცხოელს ფეხსა ვბანდეო!”
უკვე იქამდის მისულან,
რომ თურმე ფიცი დადესა:
“ქართულ პურს აღარ ვიკადრებთ,
თუ არ დააწერთ made-სა!”
უცხო ჰანგებზე გაზრდილებს
არ უყვართ “მრავალჟამიერ”!..
ძარღვებში “კოფე” დაუდით,
ქართული სისხლის მაგიერ!
სხვის რომანსების მდერაში
რეკორდიც დაამყარესა!..
და ცრემლი დასდის პატარას
ამათს სამშობლო მხარესა!..

. . . . . .

მზეო, ქართულო ამოდი,
ხმალო, დატოვე ქარქაში,
თორემ დაღუპავს ქვეყანას
ამ დამურების პარპაში!

გურამ პეტრიაშვილი

კომუნალური გადასახადების "თავსატეხი" მოსახლეობას

სიღარიბის მაღალი მაჩვენებლები საქართველოში, გაზრდილი კომუნალური გადასახადები და შემოსავლების სიმცირე – ეს ის მდგომარეობაა, რომელიც მოსახლეობას დიდ დარდსა და საფიქრალს უჩენს.

ელექტროენერგია, გაზი, დასუფთავება და წყალი, 2003 წლიდან დღემდე ფასები ენერგორესურსებზე 100 %-ით გაიზარდა. კომუნალური ტარიფების ზრდის მაჩვენებლით საქართველო რეგიონის ლიდერად ჩამოყალიბდა.

გადასახადების ამოღების ინოვაციური მეთოდები საქართველოში, დენზე მიბმული ნაგავი პრაქტიკა რომლითაც არცერთი ცივილიზებული ქვეყანა არ ხელმძღვანელობს კომუნალურ ხარჯებს კიდევ უფრო ზრდის.

ექვსთეთრიანი ელექტრო ენერგია დღეს მოსახლეობას 20 თეთრამდე უჯდება.

ესეც სააკაშვილისა და **„ნაციონალების“** მიერ **„აშენებულ-დამშვენებული დემოკრატიული“** საქართველო.

მოსკოვის იმედგაცრუება თბილისის უარით დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე

რუსეთის ფედერაციია საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ თბილისმა უარყო მოსკოვის ათი დღის წინანდელი შეთავაზებები დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენისა და რუსეთის მიერ საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის დაწესების თაობაზე.

თბილისმა განაცხადა, რომ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა შესაძლებელი გახდება რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების შემდეგ და აღნიშნა, რომ მოსკოვის ეს ინიციატივა შოუს ელემენტებს შეიცავდა.

„დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის თაობაზე ჩვენი შეთავაზების საპასუხოდ ქართულმა მხარემ კვლავაც წარმოადგინა წინაპირობები, კერძოდ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოფიციალური აღიარების გაუქმება“, – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და ბეჭდვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე მარია ზახაროვამ.

„ამდენად, თბილისში არ აპირებენ, გადახედონ თავიანთ გადაწყვეტილებას რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის თაობაზე, რომელიც 2008 წლის სექტემბერში მიიღეს. 2012 წლის 2 მარტს წამოყენებული რუსული ინიციატივა, რომელსაც შეეძლო რეალურად დახმარებოდა ურთიერთობების ნორმალიზებას, უარყოფილ იქნა. ეს იმედგაცრუებას იწვევს, თუმცა არავის გაკვირვებია“, – აღნიშნა მან.

რუსეთის საგარეო უწყებამ საქართველოს მიერ რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის ცალმხრივად გაუქმების გადაწყვეტილების საპასუხოდ, 2 მარტს, ასევე, გამოთქვა ანალოგიურის გაკეთების მზადყოფნა და სანაცვლოდ თბილისს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის გადახედვისკენ მოუწოდა. თუმცა ამგვარი **„პოლიტიზებული წინადადებების“** საფუძველზე, თბილისმა ეჭვქვეშ დააყენა რუსეთის მზაობა და მოუწოდა მასაც, ცალმხრივად მიეღო სავიზო რეჟიმთან დაკავშირებული გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეების სასარგებლოდ.

„პასუხი გაიცა იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთს შეუძლია მიბაძოს საქართველოს მაგალითს და გააუქმოს ვიზები ცალმხრივად. ეს პასუხი არ შეიძლება ადეკვატურად ჩაითვალოს შემდეგი მიზეზით: საქართველომ ცალმხრივად უვიზო რეჟიმი დაუწესა მსოფლიოს თითქმის ას ქვეყანას. ასეთია პატარა ქვეყნების ჩვეულებრივი პრაქტიკა, რომლებიც მიისწრაფვიან, ტურისტები მოიზიდონ. თუმცა იმ შემთხვევებში, როცა მნიშვნელოვანი საერთაშორისო პარტნიორები თანხმდებიან, რომ მათ ანალოგიურით უპასუხონ, ეს ფორმალური ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე კეთდება. ზუსტად ასეთ ცივილიზებულ გზას ვთავაზობდით ქართულ მხარეს. სამწუხაროდ, აღნიშნული წინადადება უარყოფილია“, – განაცხადა რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

„მთლიანობაში, ქართული მხარის რეაქციამ ჩვენს წინადადებებზე დაადასტურა, რომ თბილისიდან პერიოდულად გაჟღერებული განცხადებები რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების თაობაზე დაინტერესებაში – მხოლოდ პროპაგანდისტული ხრიკია, რომელიც მოწოდებულია, შექმნას კონტრუქციულობისა და მშვიდობისმოყვარეობის ხილვადობა. ამის სერიოზულად აღქმა არ შეიძლება“, – ნათქვამია განცხადებაში.

დონალდ ტრამპმა ნაციონალებს დაატრამპა

(თბილისი შეიძლება დონალდ ტრამპის ინვესტიციის გარეშე დარჩეს)

ცნობილი ამერიკელი მილიარდერის დონალდ ტრამპის ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტმა მაიკლ კოენმა განაცხადა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოში ინვესტიციების განხორციელებაზე დირექტორთა საბჭოს მიერ ჯერჯერობით მიღებული არაა. **“ახლა მხოლოდ რაღაც საუბრები მიმდინარეობს თბილისში მშენებლობის შესაძლო დაწყებაზე, მაგრამ საქმე ამაზე შორს ჯერ არ წასულა”,** – უთხრა ამ საქმით დაინტერესებულ ჟურნალისტებს კოენმა. ნაციონალების მიერ გაცხადებული გეგმის მიხედვით კი საქართველოში დაგეგმილი იყო 58-სართულიანი ცათამბჯენის მშენებლობა, რომელიც საკმაოდ მასშტაბურ დანახარჯებს მოითხოვს.

კოენისავე სიტყვებით ყველაფერი გადაწყდება ტრამპის საქართველოში ვიზიტის შემდეგ, რომელიც მიმდინარე წლის 20 აპრილს უნდა შედგეს. გასაკვირი არ იქნება, რომ ტრამპმა ადრეულ განაზრახზე მართლაც აიღოს ხელი, რადგან ინვესტიციები ხორციელდება მხოლოდ დემოკრატიულ ქვეყანაში და არა იქ, სადაც სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ ეკონომიკური საკითხები მხოლოდ ერთი ადამიანის კაპრიზებით წყდება. ამ გადაწყვეტილების მიზეზად შეიძლება იქცეს ის ხულიგნური დამოკიდებულება, რასაც საქართველოს ნაციონალური ხელისუფლება იჩენს დონალდ ტრამპის მეგობრისა და კოლეგის ბიძინა ივანიშვილის მიმართ.

რუსეთის შს მინისტრის კაბინეტის კედელს ბერიას პორტრეტი "ამშვენებს"

ამ სათაურით ინტერნეტპორტალმა **"პრესა.გე"** გამოქვეყნა წერილი და ეს ფოტოსურათი, ოღონდაც საკმაოდ ცინიკური ტექსტით, რომელსაც ვთავაზობთ ჩვენს მკითხველს:

"ფაქტი ფოტოშოპის გარეშე: რუსი ინტერნეტმომხმარებლები აქტიურად განიხილავენ ფოტოს, რომელზეც რუსეთის ფედერაციის შს მინისტრის კაბინეტის შესასვლელია აღბეჭდილი. ფოტოს გადამღებმა და გამვრცელებელმა ოფიციალურმა პირებმა, ეტყობა, ყურადღება არ მიაქციეს ერთ დეტალს: შესასვლელიდან მარცხნივ, კაბინეტის კედელზე ჩამწკრივებულ პორტრეტებში ლავრენტი პავლეს ძე ბერიას პორტრეტი ამაყად იწონებს თავს და, ალბათ, რუსი შს მინისტრის მეთოდებსაც.

სავარაუდოდ, კედელზე განთავსებულია სსრ კავშირის არსებობის დღიდან მისი შს სახალხო კომისარიატისა და შს მინისტრები. თუმცა, რა ადგილსაც უნდა იკავებდეს ლავრენტი ბერია ამ ჩამონათვალში, მისი ასეთი გაფეტიშება რუსეთის დღევანდელი ხელისუფლებისგან არა, მაგრამ ზოგადად, ხელისუფლებისგან, რომელსაც ხალხზე ზრუნვა ევალება, ცოტა არ იყოს, უცნაურია."

გაზეთ "ილორის" კომენტარი: ბერიას ხსოვნისადმი პატივისცემა ნამდვილად უცნაური და მიუღებელი ამ საიტის პატრონებისთვისაა, რომლებიც ნაციონალებად მოიაზრებიან, რადგან ბერიამ მთელი შეგნებული სიცოცხლე ერისა და ქვეყნის სამსახურს უანგაროდ შეალია, ნაციონალები და მათი ნეტარდიმილიანი ბელადი კი საკუთარი სტომაქისა და ჯიბის იქით ვერ იხედებიან. რა თქმა უნდა, მათთვის უაღრესად საშიშია წესიერი ადამიანის გამოჩენა, რადგან ხელმრუდე ხალხისათვის უანგარო ადამიანი მიუღებელია, ზუსტად ისე, როგორც ილფისა და პეტროვის ნაწარმოებშია ხაზგასმული:

– "Паниковский боялся скопления порядочных людей", რადგან თაღლითი პანიკოვსკისათვის წესიერი ხალხის თავყრილობა შეიძლებოდა სავალალოდ დამთავრებულიყო.

ბერიაც იმიტომ მოიშორეს თავიდან ხრუშჩოვმა და მისმა დანაშაულებრივმა გარემოცვამ, რომ მისი წესიერებისა და აქტიურობის ეშინოდათ. დღეს ყველა დარწმუნებულია იმაში, რომ მართლაც უნიჭო და უმეცარი პოლიტიკური ინტრიგანი და ავანტიურისტი ნიკიტა ხრუშჩოვი და მისი უბადრუკი გარემოცვა ვერც ბერიას და ვერც სტალინს ვერაფერს დააკლებდნენ. ეჭვსგარეშეა ისიც, რომ სტალინს საწამლავით მოუსწრაფა სიცოცხლე დასავლეთმა, თავისი გავლენის აგენტების მეშვეობით, რადგან სწორედ სტალინმა შეაჩერა, ორმოცი წლით მაინც, დასავლეთის მასონთა სვლა ციმბირის აუწონავ-გაუზომავი წიაღისეული სიმდიდრეებისაკენ. სტალინის ლიკვიდაციის შემდეგ აუცილებელი იყო ბერიას ლიკვიდაციაც, რადგან ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ეს უაღრესად ნიჭიერი, ენერგიული და ბრძენი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე კიდევ უფრო გაზრდიდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ და სამხედრო ძლიერებას. ეს კი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა მასონთა გეგმებს, რაც საბჭოთა კავშირის მარტივ მამრავლებად დაშლას ითვალისწინებდა. სწორედ ამიტომ გაანადგურეს მათ ბერია და სახელმწიფოს სათავეში გზა გაუხსნეს იმპულსურ, გაუწონასწორებელ და გაუნათლებელ ნიკიტა ხრუშჩოვს, რამაც მასონები კიდეც მიიყვანა დასახულ მიზანთან, რადგან ხრუშჩოვის შემდგომი მმართველებიც დიდად არ განსხვავდებოდნენ ნიკიტასაგან. და რომ არა ვლადიმერ პუტინი, არავინ იცის დღეს რამდენ პატარა სახელმწიფოდ იქნებოდა დაშლილი რუსეთის ფედერაცია. აი, საბჭოთა კავშირის გადარჩენა კი ვერ მოხერხდა...

სავსებით მართებულად აღნიშნავს რუსი მწერალი სერგეი კრემლიოვი, რომლის ნაწარმოებსაც ბერიას ცხოვრებაზე, მოღვაწეობასა და მის ტრაგიკულ აღსასრულზე უკვე მერამდენე წელია ბეჭდავს გაზეთი **"ილორი"**: **"საბჭოთა კავშირი მოკვდა მაშინ, როცა ხრუშჩოვმა და მისმა ბანდამ, მასონების დახმარებით, მოკლეს ბერია. ჩვენ ჩვენი ძლევამოსილი სამშობლო მხოლოდ ორმოცი წლის შემდეგ დავასაფლავეთ!"** სამშობლოს ბედუკუღმართობით დამწუხრებული ადამიანის გულიდან ამონაკვნესი სიტყვებია...

სწორედ ის საქართველო ვერ დაანგრიეს ჯერჯერობით ჯერ შევარდნაძემ, შემდეგ კი ნაციონალებმა, რომელიც სწორედ ლავრენტი ბერიამ და მისმა თანამებრძოლებმა ააშენეს და დაგვიტოვეს. ამ უდღეურებმა ხომ აშენებულის დანგრევისა და ნანგრევებიდან ამოგლეჯილი ჯართის გაყიდვის მეტი ჯერ ვერაფერი ისწავლეს.

სამწუხაროა ქართული საზოგადოების სიბეცე. რომელიც დღემდე არ ჩაუკვირდა, რომ ახლაც ბერიასა და მისი თანამებრძოლების მიერ დანატოვარი დოვლათის წყალობით უდგას სული. 90-იან გაჭირვებულ საქართველოში, როცა არც ბუნებრივი აირი გვქონდა და არც ელექტროენერგია, რამდენი ოჯახი გადაურჩა სუსხიან ზამთარში გაყინვით სიკვდილს, როცა ქართლისა და კახეთის ველ-მინდვრებზე ქარსაფარ ზოლებად აღმართულ ვეება ხეებს ჭრიდა და ამ შეშით ათბობდა ოჯახს? ეს ქარსაფარი ზოლები ხომ სწორედ ბერიას გაშენებული იყო?

იმას თუ დაუფიქრებიხართ როდისმე, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი წილი შიმშილით სიკვდილის კლანჭებს იმით დაუსხლტა, რომ შავი და ფერადი მეტალის ჯართს აბარებდა და დღესაც აბარებს. ვინ შემოიტანა ამდენი ლითონი იმ საქართველოში, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ხარის დასაჭედი რკინის ნალიც კი ძვირად საშოვნი იყო, განა ბერიას ბრალია, რომ ხელისუფლებამ უფრო ოპტიმალურად ვერ გამოიყენა კომუნისტების მიერ დატოვებული დოვლათი, ნანგრევებად აქცია მყარად ნაგები წარმოება-დაწესებულებები და მხოლოდ ჯართის ჩაბარებით შემოიფარგლა?

არ ეყვარებათ ნაციონალებს და სააკაშვილს ბერია თუნდაც იმიტომ, რომ იგი უშიშარი პიროვნება იყო. ისტორიული ფაქტია, რომ საქართველოს პოლიტსამართველოს უფროსად მუშაობის დროს ყაზბეგიდან მომავალ მის ავტომანქანას ექვსი კბილებამდე შეიარაღებული ყაჩაღი დახვდა არაგვის ხეობაში. ბერია არ დაიბნა, მანქანიდან გადმოხტა, დამხვდურებს სროლა აუტეხა, ორი მათგანი მოკლა, დანარჩენები კი გააქცია და საკუთარ სიცოცხლესთან ერთად თანმხლებთა სიცოცხლეც იხსნა. გეკითხებით, როგორ შეიძლება ასეთი გულადი და შეუპოვარი ადამიანი უყვარდეს იმ მშიშარას, რომელმაც გორში მოწინააღმდეგის თვითმფრინავის გადაფრენისას ლამის ცხვირით ახნა გორის ქვასავით მყარი ნიადაგი!

ვინ შექმნა საქართველოში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების ფართო ქსელი?

რა თქმა უნდა, ბერიამ!

ვინ აქცია მოკლე ვადებში საქართველო საბჭოთა კავშირის მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთ უდიდეს ცენტრად?

რა თქმა უნდა, ბერიამ!

ვინ აღმართა კავკასიონის ქედს გადაღმა გადაულახავი ბარიერი, როცა მას გერმანელ ფაშისტთა კბილებამდე შეიარაღებული ურდოები მოადგნენ?

რა თქმა უნდა, ბერიამ!

ვინ გაანთავისუფლა შრომა-გასწორებითი ბანაკებიდან მილიონობით უდანაშაულო ადამიანი 1938 წელს?

რა თქმა უნდა, ბერიამ, როცა იგი სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად გადაიყვანეს!

ვინ დააშრო კოლხეთის ჭაობები და ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების წალკოტად აქცია იგი?

რა თქმა უნდა, ბერიამ!

ვინ შეუქმნა საბჭოთა კავშირს ყოველმხრივ განვითარებული ეკონომიკა, ვინ შეაიარაღა ყოველი მხრიდან მტრებით გარემოსილი ქვეყანა ბირთვული ფარით?

რა თქმა უნდა, ბერიამ!

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ სიკეთისა, რაც ბერიამ მოუტანა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს.

სამწუხაროდ, აქვე უნდა დავსვათ ხელისუფალთათვის ერთი ფრიად არასასიამოვნი შეკითხვა:

– ვინ გაანადგურა ეს და ბევრი სხვა სიკეთე, რომელიც ბერიამ და მისმა თანამებრძოლმა კომუნისტებმა დაგვიტოვეს?

– ვინ და, ამ უდღეურებმა, ადრე რომ მოქალაქეთა კავშირი ერქვათ და ახლა რომ **"ნაციონალებად"** იწოდებიან.

ამიტომაც არ უყვართ ბერია და ყველა ის ადამიანი, ვინც მოწიწებით ინახავს გულში ამ ვეებერთელა სახელმწიფო მოღვაწისა და ქვეყნის პატრიოტის ხსოვნას. აბა, როგორ შეიძლება ქართველი ბერია უყვარდეთ ეთნიკურად და სულიერებით არაქართველ ნაციონალებს, რომელთაც უკვე გაუთავდათ კომუნისტების მიერ დატოვებული დოვლათი და ახლა ისედაც გადატაკებულ ქართველ ხალხს ძარცვავენ სხვადასხვა დრაკონული გადასახადების შემოღებით?..

ჩვენ კი გულწრფელი მადლობის მეტი რა გვეთქმის იმ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ნურგალიევის და რუსული პოლიტიკური ელიტის მიმართ, რომლებიც, მართლია, დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიხვდნენ, თუ ვინ იყო რუსეთის დაუძინებელი მტერი, ვინ იყო მისი ერთგული სახელმწიფო მოღვაწე და დირსეულ პატივს მიაგებენ ამ უკანასკნელთა სახელს!

HTB-მ აჩვენა ფილმი მოსკოვში ოპოზიციის მასობრივად მოსყიდვის შესახებ

ტელეარხმა **„HTB"**-მ მამხილებელი ფილმი აჩვენა მოსკოვში გამართული მასობრივი საპროტესტო აქციების მონაწილეთა შესახებ. ფილმის სახელწოდებაა **„პროტესტის ანატომია"**. ავტორები ამტკიცებენ, რომ იმ ადამიანთა ნაწილი, რომლებიც ოპოზიციის მიტინგებში მონაწილეობდნენ, ამისათვის ფულად ანაზღაურებას იღებდა. ამის შესახებ ტელეარხს ანონიმურმა მაკლერებმა უამბეს, რომლებიც პროფესიულად არიან დაკავებული ფილმების მასობრივი სცენებისთვის ხალხის შეგროვებით, მათ შორის – ოპოზიციის აქციებზე. ფილმში ნაჩვენებია, როგორ აგროვებენ **„მასას"** აქციისთვის **„თეთრი რკალი"** მეტროს სადგურ **„სოკოლნიკებთან"**. უპირატესობას ანიჭებენ სტუდენტებს და მათ, ვინც **„გაბრაზებულ ქალაქელებს"** ჰგვანან. ხელზე ყველას ნიშანს ასვამენ, ურიგებენ თეთრ ბაფთებს, ჰონორარის მისაღებ ტალონს და ავანსად ათას რუბლს. ამასთან, ორგანიზატორები სამუშაოს ღიად ასრულებენ და კამერებს არ ერიდებიან. სიუჟეტში ნაჩვენებია, აგრეთვე, რომ მიტინგში მონაწილე ადამიანებს მშრალ ულუფებს ურიგებენ. თუმცა **„HTB"**-მ ვერ გაარკვია, ვის ხარჯზე იყო ორგანიზებული **„ბანკეტი"**. კორესპონდენტის თხოვნაზე – თავი წარედგინათ, **„ქველმოქმედები"** პასუხობდნენ: **„ჩვენთვის არ უთქვამთ, რა უნდა ვილაპარაკოთ"**. სიუჟეტში ნაჩვენებია ისიც, რომ 5 მარტს პუშკინის მოედანზე გამართულ ოპოზიციის მიტინგს უცხოელები აკვირდებოდნენ. კორესპონდენტმა მათში აშშ-ის საელჩოს პოლიტიკური განყოფილების თანამშრომლები ამოიცნო. მაგრამ მათ მის შეკითხვებზე არ უპასუხეს და მიანიშნეს, რომ რუსული არ ესმით და საკუთარ ფუნქციას ვერ განმარტავენ. ფილმის დასასრულ ნათქვამია, რომ მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის, მიზანმიმართულად დააფინანსოს მოქმედ ხელისუფლებასთან რუსი მებრძოლები ამერიკელი გადასახადის გადამხდელების ფულით. ამერიკელები ხომ უკვე დაუფარავი თავხედობით მოქმედებენ იმ ქვეყნებში, რომლის ხელისუფლებაშიც მათთვის სასურველი პირების გაყვანა სურთ. **„ის ძაღლისშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლისშვილია!"** – აი რა გახლავთ **„სანიმუშო"** ამერიკული დემოკრატიის უკვდავი ფორმულა. იმედია, რომ მალე ისინი საქართველოშიც ისევე ვერ გაიყვანენ საკუთარ **„ძაღლისშვილს"**, ისე, როგორც ეს ვერ მოახერხეს რუსეთში.

უნდა ითქვას, რომ ოპოზიციის მასობრივი აქციებისადმი მიძღვნილი ფილმი „Twitter"-ში ერთ-ერთ ყველაზე განხილვად თემად იქცა. ბლოგერების უმრავლესობას მის ნამდვილობაში ეჭვი შეეპარა, მათ დაიწყეს ჰაშტეგის **„HTB ცრუობს"** გამოყენება. ბლოგებში ფილმის შესახებ ასობით სხვადასხვა ხასიათის კომენტარი გამოჩნდა.

კონტროლის პალატას სახელწოდება ეცვლება

(სახელის შეცვლა სრულიადაც არ ნიშნავს სახის შეცვლას)

კონტროლის პალატას სახელწოდება შეეცვლება და მას აუდიტისა და ფინანსური გამჭვირვალობის უმაღლესი პალატა დაერქმევა.

კონტროლის პალატა მწვავე კრიტიკის სამიზნე გახდა, ვინაიდან ბოლო ორი დღეების განმავლობაში ბიძინა ივანიშვილის კოალიციიდან ათობით ოპოზიციური აქტივისტი დაიბარა დაკითხვაზე, ძირითადად, დასავლეთის რაიონებში.

ივანიშვილის კოალიციაში შემავალი ოპოზიციური პარტიების ათობით აქტივისტმა მიიღო შეტყობინება ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის მოადგილისგან, რომელიც მათ კონტროლის პალატაში მისვლას და ახსნა-განმარტების მიცემას სთხოვს პოლიტიკური სუბიექტების მოჩვენებითი, თვალთმაქცური გარიგების გზით დაფინანსების ფაქტებზე მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში.

კონტროლის პალატის ხელმძღვანელმა ლევან ბეჟაშვილმა განაცხადა, რომ მიმდინარეობს ინფორმაციის შემოწმება და შეგროვება, შემდეგ მათი შედარება იმ დეკლარაციებთან, რომლებიც თავიანთი საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად პოლიტიკურ პარტიებს კონტროლის პალატაში აქვთ წარდგენილი.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) განაცხადა, რომ ის იურიდიულ დახმარებას უწევს კონტროლის პალატის მიერ დაბარებულ რამდენიმე ოპოზიციურ აქტივისტს. საია ადვოკატების მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აცხადებს, რომ კონტროლის პალატის წარმომადგენლები ინტერესდებიან რამდენიმე საკითხით, კერძოდ, არის თუ არა მოქალაქე რომელიმე პარტიის წევრი, ავრცელებს თუ არა **„ქართული ოცნების"** გაზეთებს, აგროვებდა თუ არა ხელმოწერებს ბიძინა ივანიშვილისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნით და, შესაბამისად, იღებდა თუ არა ანაზღაურებას აღნიშნული საქმიანობისთვის.

„აღსანიშნავია, რომ ამ კითხვების დასმა დაბარებული პირებისთვის მიმდინარეობს რამდენიმე საათის განმავლობაში, რაც მოქალაქეების მხრიდან დამორგუნველად აღიქმება", – განაცხადა საიამ.

ისე, თუ სახელის გამოცვლაზე მიდგება საქმე, სჯობს ამ უწყებას დაარქვან **„ივანიშვილის ჯიბის კონტროლის პალატა"**, რადგან სხვა საქმე მას დღეს ნამდვილად არაფერი აქვს!

ხალხის მრისხანე სამსჯავროსკენ მიმავალნი

ძნელია უყურო შენი სამშობლოს დაკნინება-დარბევა-ძარცვას და ნაწილ-ნაწილ გაყიდვას, მის განვითარებასა და აყვავებაზე ყალბი ქაქანის პირობებში, უკანონობა, ძალადობა, აღვირახსნილობა ყელში გიჭერდეს ავი ძაღლის ჯინჯილივით და სამართლიანობის გაფურჩქვნაზე ყოველდღიური ყბედობით გაწყვეტამდე გიძაბავდნენ ნერვებს. გინდა იყვირო, შველა ითხოვო, მაგრამ კოშმარული სიზმრის მსგავსად ხმა ვერ ამოგიღია და მძიმე განცდების ტყვეობაში უსუსურად ფართხალებ. როდემდე გინდა გაგრძელდეს ცხოვრების ასე შეუჩერებელი უკუსვლა?

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლით დავიწყეთ, ამდენი საშინელი განსაცდელის გადატანის, სისხლის დაღვრის და მრავალი საუკეთესო ადამიანის დაკარგვის და მწარე ცრემლის ღვრის შემდეგ, გაუმაძღრობის და ღალატის წყალობით ახლა ენის და ერის გადარჩენა გვაქვს საზრუნავი.

იმ დაწუნებულ ცხოვრებას რაც კარგი და დადებითი ჰქონდა: უფასო მკურნალობა, უფასო სწავლა, უფასო ბინები, გარანტირებული სამუშაო, დასვენება და სხვა მრავალი სოციალური სიკეთე, მოვსპეთ. ყალბსიტყვაობა, ძალადობა, არასაიმედო პირებზე გაუკუღმართებული კანონებით ანგარიშსწორება, ყალბი პომპოეზურობა, ესოდენ წარმატებით რომ იყენებდა შევარდნაძე, ეს შეატოვა დღევანდელობას, რაც ასე ამშვენებს მის მიერ მოქალაქეთა კავშირში გაწვრთნილ ნაციონალ ხელისუფალთ. ასეა, ადამიანი თუ ერთხელ შედგა მუხთლობის ბილიკზე, მას სიკეთისკენ ვერავითარი ძალა ვეღარ მოაბრუნებს.

დღეს ერთი მუჭა გაზულუქებულთა გარდა, ამ საყოველთაო რბევის და ძარცვის სამთავროში, ქართველ ხალხს ლუკმა პურის შოვნა აქვს საზრუნავი.

თბილისში ყველა სამრეწველო საწარმო მოსპეს, სამაგიეროდ მათხოვართა რაოდენობით, თანაც ყველაზე განათლებული მათხოვრებით, შეგვიძლია ვიამაყოთ. უმუშევრობით ხომ სასწაულს ვახდენთ. ვინ მუშაობს?! მთელი საქართველო თბილისსაა შემოხიზნული, სადაც აღარც ქარხნებია და აღარც საქართველოში წარმოებული პროდუქცია. სამაგიეროდ მრავლადაა დაცვის თუ დასჯის პოლიცია; დუქნები, მარკეტები, კაზინოები, ბაზრები თუ სხვა უამრავი მსგავსი რამ თავპირსაყრელია. ყველაფერს ყიდიან და ყიდულობენ, ფუტკრის სკასავით ფუთფუთებენ ლუკმა პურის მაძიებლები და საცოდავად მიაგორებენ გატანჯულ ამქვეყნიურობას. უყურადღებოდ მაინც არ არიან, ქუჩაში თოფმომარჯვებული ბრაკონიერის ყნოსვით დადის უამრავი იეღოველი, უფლის სახელით რომ აქამანდებს მსხვერპლს. თუ უიმედობით სასოწარკვეთილს სადმე ბზარი მოგიძებნა, ჩაგჩრის ძვირფასადგაფორმებულ უფასო წიგნს. მორჩა, პრობლემები წარსულს ჩაბარდა, მალე ურწმუნოები გაწყდებიან და ყველაფერი იეღოველებს დარჩებათ; ოღონდ ცოტა უნდა მოითმინონ.

საზარელი ცხოვრებით გაწამებულ ხალხს ამის გარდა სხვა გასართობიც აქვს; უამრავ სატელევიზიო შოუებზე კუჭის ნებიერ ხელისუფლებად წოდებული ბიუჯეტის ვირთხების ოხუნჯობა, როცა ძალიან გამძღრებს ვიწრო წრეში ლაყბობის საქვეყნოდ გამოტანა მოესურვებათ. თავიანთი უმარილო თუ გადამლაშებული, დონდლო, ზღვარგადასული ანგლობით ტელევიზიიდან დამშეული ხალხის წინაშე თავს იწონებენ. ასეა, რადგან ხელისუფლება ჰქვიათ, უნდა ღრღნან ბიუჯეტი და უზომო ჭამა-ყლაპვით დაიმახინჯონ სულ-ხორცი. ხალხი? რის ხალხი! აბა, ხმა ამოიღონ, სულ დაუნაყავენ თავ-ყბას. ტყუილად კი არ აშენებენ პოლიციის შემინულ შენობებს. ჯარიც კარგად ჰყავთ მომზადებული მხოლოდ საკუთარი ხალხის შესაშინებლად. ხმას ამოიღებენ და 26 მაისის დარბევა სანატრელი გაუხდებათ. მაშინ მოკლულები სახურავზე აიტანეს და კვალი რომ დაეფარათ, დენმა დაარტყაო, მოიჩივლეს. ახლა ეგაც არ ჭირდებათ, ავღანეთში ქართველი მეომრების სიცოცხლით აქვთ ნაყიდი ყოველგვარ ძალადობაზე ამერიკის მხარდაჭერა და თავზე ხელის გადასმა.

მაძღარს მშიერის არ ესმის – ცხადია. ესენი კი გადამძღრები არიან და მშიერი ხალხის სიძულვილს მისი დაცინვით იკმაყოფილებენ. ცრუპენტელა ტელევიზიებმაც შეაძულეს ხალხს თავი, მაგრამ ნაგავში ქექვის მსგავსად მასაც უყურებენ, იქნებ რაიმე სასიკეთო გამოჩნდესო.

ესენი კი, როცა გართობის ხასიათზე არიან, ხალხიც ახსენდებათ. ისეთ ქაღალდის ვაუჩერებს არიგებენ, რომ არც მოგეცემა და არც დაგეკარგება. იმით ვერც მოხნავ და ვერც მოთესავ, არც საპირფარეშოში გამოგადგება; კედელზე მიკვრა კი შეიძლება, ყოველ შეხედვაზე ნაციონალთა სოფლის მეურნეობის აყვავებაზე მორიგი ნაცრის ამტვერების გასახსენებლად.

პრეზიდენტმა და გილაურმა ტელევიზიით ისეთი ღრმაშინაარსიანი საუბარი გამართეს ამ ვაუჩერით გლეხის მიერ მიწის დამუშავების მაგიურ ძალაზე, რომ მამალი ძროხების მწველავ ყოფილ სოფლის მეურნეობის მინისტრზე არანაკლები წარმატებით ერკვევიან სოფლის მეურნეობის აღმართ-დაღმართებში. გლეხებს კიდევ მწარედ ეცინებათ, სოფლის მეურნეობაში ეგეთი მაგრები რომ არიან, პოლიტიკაში რა ღმერთი გაუწყრათ, სწორად რომ ვერ გათვალეს, ის ურჩევნიათ, მაკ კეინს ვიეტნამში ბღუნაობის დროს დაკარგული პისტოლეტი უკანვე გამოართვან, არადა, ის პრეზიდენტი რომ გამხდარიყო, მაშინ გენახათ მსოფლიოს გადარევაო. პრეზიდენტის აღმა-დაღმა სირბილსა და სატელევიზიო შოუებზე ქადაგებაზე თავისთვის ღიღინებენ:

ვაუჩერზე ქაქანით
ვერ დაჭედავ მაკე ვირს,
ობამას რომ შეუძვერი,
გამოუძვერ მაკ კეინს?

ნაციონალებმა კი თავიანთი საქმე კარგად იციან, ნაბახუსევზე ტელევიზიის თანხლებით დაჯოგდებიან და რომელიმე წინასწარ შერჩეულ გლეხს მიადგებიან, რომ მანაც სამადლობელივით ჩააგალობოს ვაუჩერის დარიგებით ხელისუფლების ხალხზე ზრუნვის ზღაპარი.

სოფელი სულს ღაფავს. ბევრგან გარდაცვალება დაბადებას ორმაგად და მეტად აღემატება. უფროსი თაობის შემდეგ ბინები იკეტება, რადგან ახალგაზრდები ან საზღვარგარეთ არიან გახიზნული, ან ქალაქში ეძებენ ლუკმა-პურს.

ყველა სოფელში ვეტერინალური სამსახური მოსპეს, ბინები გაყიდეს; ცხოველების ვეტერინალური მომსახურეობა წარსულს ჩაბარდა. მიწებს ვიღაც ფულიანები დაეპატრონენ. მისი ზევით გასაყიდი რომ არაფერი დარჩა, მის ქვეშ ჩაწყობილი სარწყავი არხები გაყიდეს, ექსკავატორით მოთხარეს და გავერანებულ-ამოჩიჩქნილი სავარგულები შეატოვეს ხელისუფლების სინდისს.

სოფლის მეურნეობაში მამალი ძროხის წველის დონეზე კომპეტენტურები რომ არიან, სიმინდის მოყვანის ჰარიქაშეყრილებმა დაამტკიცეს. მარცვლით საქართველოს დაკმაყოფილებით და მსოფლიოში მისი ქადილის ფონზე ის მოახერხეს, რომ ნაციონალ პარლამენტარებს რამოდენიმე მჭადი გამოეცხოთ.

ამერიკელთა მიერ დემოკრატიის დამცველის სახელის ფრიალი ყალბი რომ ყოფილა ნაციონალების აგულავებიდან ჩანს, რომელიც გნებავთ ოკუპანტის თვითნებობა რომ ვერ გადაწონის.

გამომცემლობა **"სამშობლოდან"** რისთვის გამოყარეს უამრავი გაზეთის რედაქციები და რატომ დგას ეს უზარმაზარი შენობა ასე იავარქმნილი, პასუხს არ გაღირსებენ.

შეიძლება ზოგმა იკითხოს, მწერლობამ რაღა დაუშავათო? დავით აღმაშენებლის, პატარა კახის, ილიას, ქართლის დედის, სამამულო ომში დაღუპულთა და ყველა ღირსეული მამულიშვილის უწმინდეს ხსოვნასთან მებრძოლს მწერლობა როგორ ეყვარება, როცა ქართულ ენას და მის მძლავრ მაჯისცემას ვერაფერი შეაფხვნა მთელი ერის ინგლისურად გადაჯიშების მათმა ტუტუცურმა მცდელობამ. ისეთი ინგლისური ენის მასწავლებლები მოყარეს, თვითონ რომ სჭირდებათ სწავლა.

ხშირად ვსაყვედურობთ იმ შენობების გაყიდვას, რაც არ ეკუთვნით. არც ხელისუფლება ეკუთვნით, მაგრამ ხომ არიან. შენ რატომ არ გააგდებ კინწისკვრით. არა და ყაჩაღისაგან რატომ უნდა ელოდო კანონიერ საქციელს!

მწერლების შენობიდან გამოყრის შედეგად უნიკალური არქივი, მწერლების მონაცემები, ბიბლიოთეკა უყურადღებოდ დააგდეს. დიდი და მძლავრი ობიექტები მოსპეს, გაყიდეს და ჩაიჯიბეს; ახლა წვრილფეხობას მიადგნენ, რა ქნან, ნებივრობისთვის ფული სჭირდებათ.

ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მწერლობას სახელმწიფოსაგან დახმარება და ხელის შეწყობა სჭირდება. ესენი კი ებრძვიან, რამეთუ მწერლობის მართალი სიტყვა მათი თვალთმაქცობის ნიღბის ჩამოხევის ტოლფასია.

მწერალთა კავშირს ისეთი ადგილი უწყალობეს, კარგ მეძებარს გაუჭირდება მიგნება. ვიწრო კიბეზე საწინააღმდეგოდ მომავალმა თუ არ დაიცადა, ვერ აივლი. დაბალ, პატარა შესასვლელ კარებთან ისეთი მაღალი საფეხურია, რომ სამშენებლო ბლოკი დაუდვიათ, რომ ააბიჯო. ფეხი თუ დაგიცდა, კისრის თუ არა, რომელიმე კიდურის დრძობა ან მოტეხვა გარანტირებული გაქვს. მხცოვანი მწერლისათვის იქ შეღწევა იალბუზის დალაშქვრის ტოლფასია. ბარაქალა ამ ხელისუფლების ცინიკური ღვარძლნთხევის ამოუშრობ პარკუჭს.

თუ რომელიმე ბიზნესმენმა გაბედა მწერლობისათვის მატერიალური მხარდაჭერა, მაშინვე სახელმწიფოს მტრად გამოაცხადებენ, რამეთუ თავი სახელმწიფოდ წარმოუდგენიათ, საქართველო მათი თავხედური განუკითხაობის არენაა და თავიანთი საკუთრება ჰგონიათ.

გამოჩნდა მწერლობის გულშემატკივარი ალექსანდრე ებრალიძე, დააარსა დავით აღმაშენებლის სახელობის პრემია შემოქმედებითი ინტელიგენციის დასახმარებლად და წასახალისებლად, ამათ კიდევ ლამის მტრად გამოაცხადონ.

აგერ, ბადრი პატარკაციშვილს სიკვდილიც არ აკმარეს და მისი კუთვნილი ქონება ვანდალური გაუმაძღრობით დაიტაცეს.

თუ ბიზნესმენობა გინდა ბენდუქიძესავით იხმატკბილე ნაციონალებთან, ძარცვე საქართველო და შოუებზე ტინგიცობით შეახსენე ხალხს შენი დუნე არსებობა.

მიუხედავად ძალადობის მძვინვარებისა, მაინც გამოჩნდა შეუპოვარი მებრძოლი, ქვეყნის და ერის ერთგული ადამიანი და ის შეეჭიდა განუკითხაობას, როგორც ზღაპრის გმირი დრაკონს და კორტნიან კიდეც ბოროტების დაუნდობლობით. რაც უახლოვდებათ აღსასრული, მით სასოწარკვეთამდე მისული ძალადობით ებრძვიან კანონს, სინდისს და პატიოსნებას. ნაცრის ქექვაზეა აწყობილი ამ ხელისუფლების არღანი, რომელიც ხალხის გაბითურებაზეა აწყობილი და იძულებით უსმენ, რადგან ყურების დაცობა არ შველის, ის შენს არსებაშია შემოჭრილი, გიყიდის სამშობლოს, გისპობს ეროვნულ ტრადიციებს, გილანძღავს ყოველივე სპეტაკს და გიმახინჯებს მომავალს. ხალხის დამშევა მათი გალაღების საწინდარია და უმატებენ კიდეც მუხთლობის სამსალას, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ბოროტების გზა ხალხის მრისხანე სამსჯავროსთან მთავრდება.

გივი სომხიშვილი,
მწერალი, სიღნაღი

ყარზაიმ ყანდაღარის ხოცვა-ჟლეტას განზრახ მკვლელობა უწოდა

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ამერიკელი სამხედრო მოსამსახურის მიერ მოკლულთა ოჯახებს მიუსამძიმრა და მისი ქმედებისთვის ბოდიში მოუხადა. ობამამ პირობა დადო, რომ ამ საქმის გარემოებები გულდასმით იქნება გამოძიებული და დამნაშავე დაისჯება. აშშ-ის პრეზიდენტმა ტელეფონით მიუსამძიმრა აგრეთვე ავღანეთის პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაის. ობამას გარდა, ყარზაისთვის ბოდიშის მოხდამ აშშ-ის თავდაცვის მინისტრ ლეონ პანეტასაც მოუწია.

ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, რომ ყანდაღარის ინციდენტით შეძრულია. მან დაზარალებულთა ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადა და ხაზი გაუსვა, რომ მხარს უჭერს ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების მეთაურის, გენერალ ჯონ ალენის განზრახვას – გამოიძიოს საქმის ყველა გარემოება და დამნაშავეებს პასუხი აგებინოს. ავღანეთის პრეზიდენტი მომხდარს განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციას აძლევს.

შეგახსენებთ, რომ 11 მარტს, ღამით, ნატოს ძალების სამხედრო მოსამსახურემ ყანდაღარის პროვინციაში განლაგებული ნაწილის ტერიტორია დატოვა, უახლოეს სოფელში მიყოლებით სამ სახლში შევიდა და შიგნით მყოფები დაცხრილა. საბოლოო ჯამში მან 16 ადამიანი მოკლა, მათ შორის, 9 ბავშვი და 3 ქალი. კიდევ 5 ადამიანი მძიმედ დაიჭრა. სამხედრო მოსამსახურე დაპატიმრებულია. თანასოფლელებმა მოკლულთა ცხედრები ბაზის ჭიშკართან მიიტანეს და პროტესტის სტიქიური აქცია გამართეს.

„ყანდაღარის სასაკლაომ კიდევ უფრო გაამწვავა ვაშინგტონისა და ქაბულის ისედაც რთული ურთიერთობა. ავღანეთში უკმაყოფილების ტალღა იზრდება. თალიბები ყოველი მსხვერპლისთვის შურს იძიებენ დამპყრობლებზე და სასტიკ მკვლელებზე“,– ნათქვამია რადიკალური მოძრაობის ვებგვერდზე.

ყანდაღარის პროვინციაში ამერიკელი ჯარისკაცის მიერ 16 მშვიდობიანი მცხოვრების დახოცვამ შესაძლოა, სერიოზული ზიანი მიაყენოს აშშ-თან სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმების მისაღწევად გაღებულ ძალისხმევას. ასეთი აზრი გამოთქვა ავღანეთის მთავრობის წარმომადგენელმა.

ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ აშშ-ის არმიის სერჟანტის ქმედებას **„შეუწყნარებელი სისხლიანი მკვლელობა“** უწოდა.

ცვლილებები საპენსიო კანონში

საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი წაკითხვით მიიღეს ცვლილებები კანონში პენსიების შესახებ, რომლის თანახმადაც, 67 წელს ზევით ასაკის მოქალაქეებს 1 სექტემბრიდან გაეზრდებათ პენსია.

67 წელს ზევით ასაკის ყველა პენსიონერი **„საპენსიო პაკეტის“** შემადგენლობის ფარგლებში ავტომატურად მიიღებს 15-ლარიან დაზღვევას, რომელშიც მედიკამენტებით უზრუნველყოფაც შედის. ცვლილება სხვა პენსიის მქონე პირებსაც შეეხებათ. ის თანხა, რომელსაც ისინი იღებდნენ, არ შეიცვლება, თუმცა პენსიის შესახებ კანონის ნაცვლად ახლა ასეთი ბენეფიციარების საკითხებს სოციალური კანონი დაარეგულირებს. და ეს მაშინ, როცა ლარის ყიდვისუნარიანობა კატასტროფულად მცირდება.

მარტივდება პენსიის დანიშვნის პროცედურები და მისი გავლა უკვე საცხოვრებელ ადგილზე ან ელექტრონულად იქნება შესაძლებელი.

სოციალური სფეროს ექსპერტები კი აფიქსირებენ, რომ ხელისუფლება ამჯერადაც არ აქცევს ყურადღებას საპენსიო უზრუნველყოფისა და ქვეყანაში საარსებო მინიმუმის შეფარდებას, რასაც ხშირად მოსახლეობის უმრავლესობას აგდებს გაუსაძლის მდგომარეობაში. ამას თუ დაუმატებთ ენერგომატარებლებსა და პირველადი მოხმარების საქონელზე ფასების განუხრელ ზრდას, რაც, როგორც ავი ენები ამბობენ, ნაციონალთა წინასაარჩევნო **„იშკილებს“** ხმარდება, ჩვენი პენსიონერები ბევრად ნაკლებშემოსავლიანები და ნაკლებუზრუნველყოფილები არიან, ვიდრე ხიდის თავში მდგარი მათხოვრები.

საქინფორმი

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

კრიზისი ზუგდიდის „ბაიაში“ - ფეხბურთელები თამაშზე უარს ამბობენ!

ზუგდიდის **„ბაია“,** წესით და რიგით, ფოთს უნდა ეს-ტუმროს და მეგრულ დერბიში **„კოლხეთს“** დაუპირისპირდეს, თუმცა ამ შეხვედრას ჩაშლა ემუქრება. მიზეზი არა სიცივე და დიდთოვლობაა, არამედ ფინანსური კრიზისი, ზუგდიდურ გუნდს ჩემპიონატის მიმდინარეობისას ხშირად რომ ახსენებს თავს

კლუბს ფეხბურთელების მიმართ ერთი თვის დავალიანება და პრემიალურები აქვს გასასტუმრებელი, ამიტომ მოთამაშეები მოედანზე გასვლას არ აპირებენ.

დაპირებისამებრ, ხელფასები 5-იდან 10 მარტის ჩათვლით უნდა გაცემულიყო, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა.

ჟურნალისტები „ბაიას“ მთავარ მწვრთნელს, გოჩა ტყებუჩავას დაუკავშირდნენ:

– გავრცელებული ინფორმაციით, სახელფასო დავალიანებების გამო გუნდი „კოლხეთის“ წინააღმდეგ თამაშს არ აპირებს. ადასტურებთ ამას?

– ეს პრობლემა ნამდვილად არსებობს, თუმცა ახლა ამ თემაზე საუბრისგან თავს შეიკავებ.

– ფედერაციაში თუ იციან, რომ კლუბში ფინანსური კრიზისია და ფოთში ჩასვლას არ აპირებთ?

– არ ვიცი, იციან თუ არა ფედერაციაში, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ სიტუაცია გამოსწორდება. ახლაც ველოდებით, რომ ერთიანად დაირიცხოს ხელფასები. ვფიქრობთ, როგორ ვიმოქმედოთ. მეტს ვერაფერს გეტყვით.

– კონკრეტულად რა დავალიანებაზეა საუბარი?

– ერთი თვის ხელფასები და პრემიალურებია გასაცემი და ფეხბურთელები უარს ამბობენ თამაშზე.

– ბოლო ხანებში ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებს, ეხვაიასა და შონიას, თამაში იშვიათად უწევთ. კონფლიქტი ხომ არაა ფეხბურთელებსა და თქვენ შორის?

– მე კონფლიქტი არავისთან მაქვს.

– ანუ მათი უთამაშებლობა არაოპტიმალური სათამაშო ფორმის ბრალია?

– შეიძლება ასეც ითქვას.

ანგელინა ტელეგინა საქართველოს სახელით იასპარეზებს?

წლეულს იანვარში ოჯახის წევრების მოსანახულებლად ამერიკიდან თბილისში ჩამოსულმა სპორტსმენმა ოთარ ჯაფარიძემ, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების მონაწილემ, ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ პარტნიორ ელისონ რიდთან საერთო ენა ვერ გამონახა და აქტიურ სპორტს თავს ანებებდა – თავის მწვრთნელ, ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ევგენი პლატოვთან იწყებდა მუშაობას.

და, აი, 20 მარტს რუსულმა ინტერნეტ-წყაროებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ოთარ ჯაფარიძე კვლავ დაუბრუნდა დიდ ყინულს რუს ანგელინა ტელეგინასთან ერთად და სპორტულ ცეკვებში საერთაშორისო სარბიელზე კვლავაც საქართველოს დროშის ქვეშ იასპარეზებს.

რუსი ფიგურული მოციგურავე ანგელინა ტელეგინა ვალენტინ მოლოტოვთან ერთად სპორტულ ცეკვებში რუსეთის თასის გათამაშების ეტაპების გამარჯვებული და პრიზიორია.

შარშან რუსეთის ჩემპიონატში წყვილმა მე-6 ადგილი დაიკავა. დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მოლოტოვი ტრავმის გამო აქტიურ სპორტს ჩამოშორდა და სანკტ-პეტერბურგის ფიგურული ციგურაობის აკადემიაში მწვრთნელად დაიწყო მუშაობა.

ეულად დარჩენილ ანგელინა ტელეგინას ახალი პარტნიორი გამოუძებნეს. აი, რას ამბობს პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ევგენი პლატოვი: **„როცა ტელეგინა და მოლოტოვი ჩემთან ვარჯიშობდნენ, გახარებული ვიყავი – შემხვდა წყვილი, რომელთაგან ორივე რუსი ეროვნებისა იყო. სამწუხაროდ, ვალენტინის ტრავმის შემდეგ ანგელინა მარტო დარჩა და იძულებული გავხდი, მისთვის შესაფერისი პარტნიორი მეპოვა”.**

პარალელურად ჩემთან ვარჯიშობდა ქართული წყვილი – ოთარ ჯაფარიძე და ელისონ რიდი. მათი სპორტული ურთიერთობა ვერ აეწყო და ოთარმა კარიერის დასრულება გადაწყვიტა. საბედნიეროდ, მან ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ ეს ნაბიჯი მაინც არ გადადგა და ანგელინა ტელეგინასთან ერთად ისურვა სრიალი წყვილმა მალე გამოძებნა საერთო ენა და ახლა ოთარი და ანგელინა ცეკვებში საქართველოს სახელით იასპარეზებენ.

რუსულ ფორუმზე გამოჩნდა პირველი გამოხმაურებები: **„სამწუხაროა, რომ ორი შესანიშნავი წყვილი დაიშალა. სამაგიეროდ, შეიქმნა ახალი ლამაზი დუეტი. წარმატებას ვუსურვებ მათ, თუნდაც ქართული დროშის ქვეშ“. „ო, ოთარი დაბრუნდა? ძალიან კარგი. სამწუხაროა, რომ ელისონთან ურთიერთობა ვერ აეწყო. საინტერესო წყვილი იყო“...**

ისიც შევიტყვეთ, რომ ერთკვირიანი ვარჯიშის შემდეგ ჯაფარიძეს და ტელეგინას ერთ-ერთ ამერიკულ შოუში მიუღიათ მონაწილეობა და მაყურებელთა მოწონება დაუმსახურებიათ.

დავიტოვოთ იმედი, რომ ოთარ ჯაფარიძის ახალი პარტნიორი საქართველოს მოქალაქე გახდება და ახალ ქართულ დუეტს საერთაშორისო სარბიელზე კვლავ ვიხილავთ.



იუმორი

მიხო გაიგებს, რომ სოფელში ზანგი დადის და ქალებს აუპატიურებს. გაგიჟებული მიხო სახლში გაიქცა, მარო მარტოაო, გიჟივით შევარდა ეზოში და დაიღრიალა:

– მარო!

– რა იყო, მიხო, რა ზანგივით შემოვარდი! – გამოეხმაურა ცოლი.

*** * ***

დედა პატარა ბავშვს აძინებს და მამამისს ეტყვის აკვანი დაარწიეო. ნახევარი საათის შემდეგ ამბობს:

– დაიძინა?

– კი, დედიკო, დაიძინა, – პასუხობს ბავშვი.

*** * *კახელმა “ზაპოროჟეცი” იყიდა და გაუფუჭდა. ახადა “კაპოტი”:**

– ვაა, მატორი არა ჰქონია!

ახლა “ბაგაჟნიკი” ახადა:

– კიდევ კარგი, “ზაპასნოი” მატორი რომ აქვს.

*** * ***

სომეხი პურის რიგში მსუქან ქალს დაეჯახა. ქალი გაბრაზდა და დაუყვირა:

– რას მეჯახები?

– თორემ შენც ტორტი არ იყო! – დასცინა სომეხმა.

– დიახაც, ტორტი ვარ!

– საღოლ, მამაშენს, ორი კვერცხისაგან რამხელა ტორტი გაუკეთებია!

*** * ***

– მეტი ლტოლვა! – უხსნის რეჟისორი ოპერის ტენორს, – ნუთუ ცხოვრებაში არასოდეს არავინ გყვარებიათ?

– მყვარებია, პასუხობს ტენორი, – მაგრამ ამის გამო არასოდეს მიმღერია...

*** * ***

ბევრმა ადამიანმა შეძლო გაეუმჯობესებინა თავისი ცხოვრება წამლების საშუალებით. მაგალითად, ფარმაცევტმა.

გაცხადება

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სახალხო წარმომადგენლობითი კრების არჩევის საინიციატივო ჯგუფი აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 20 მარტს ქ. თბილისში (მ. ზანდუკელის ქ. № 13-ში, საკონტაქტო ტელეფონი 599-117-593) სოხუმელ მწერალ სერგი საჯაიას მიერ დაწყებულია საპროტესტო აქცია შემდეგი მოთხოვნებით:

– დაუყოვნებლივ გადადგეს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს კორუმპირებული ხელმძღვანელობა.

– სასწრაფოდ მოხდეს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული რეორგანიზაცია.

–არჩეული იქნას აფხაზეთის ა/რ-ის დევნილი მოსახლეობის სახალხო წარმომადგენლობითი საბჭო.

ამ ღონისძიებათა გატარება აუცილებელია, ვინაიდან აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო, თავისი დეპუტატთა კორპუსითა და აპარატის თანამშრომლებით, გახლავთ წარსული სისტემის გადმონაშთი.

მაგალითად, აქ მომუშავე 24 დეპუტატიდან ერთი გახლავთ საქართველოს კპ ცკ-ის ყოფილი მეორე მდივანი, 2 საქართველოს კპ რაიკომების ყოფილი პირველი მდივანი, 1 – მეორე მდივანი, 1 საბჭოთა უშიშროების გენერალი, 1 – საბჭოთა უშიშროების პოლკოვნიკი, 2 – კომკავშირის რაიკომის ყოფილი მდივანი და აქტივისტი, ჯამში 24 დეპუტატიდან 8, ანუ ერთი მესამედი საბჭოთა კომპარტიისა და უშიშროების მაღალი თანამდებობის პირი გახლავთ.

ასეთივე მდგომარეობაა აპარატში, რომლის უფროსად 2011 წლის მარტში დაინიშნა საქართველოს კპ ტყვარჩელის რაიკომის ყოფილი მეორე მდივანი, აპარატში ასევე მოღვაწეობს 1 – საბჭოთა რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე, 1 – ყოფილი მდივანი, 4 – ყოფილი პასუხისმგებელი მუშაკი, 2 – კომკავშირის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი, 3 საბჭოთა უშიშროების ყოფილი ოფიცერი და ა. შ. შესაბამისად დეპუტატთა კორპუსიდან 8 და აპარატიდან 12 კაცი აშკარა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს პარლამენტის მიერ 2011 წლის დასაწყისში მიებულ ლუსტრაციის კანონთან.

საორგანიზაციო ჯგუფი

რუსეთმა მეხუთე თაობის ავიაგამანადგურებელი შექმნა

რუსეთმა მეხუთე თაობის ავიაგამანადგურებელი შექმნა. ეს ის იარაღია, რომელზეც დასავლეთმა უარი განაცხადა. ახალი გამანადგურებელი **„ტ-50“**-ით რუსეთის სამხედრო საჰაერო ძალებს მოძველებული **„მიგ-29“**-სა და **„სუ-27“**-ის ჩანაცვლება სურს.

მსოფლიოს წამყვანი სამხედრო ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რუსეთმა, დასავლეთის მსგავსად, უარი უნდა თქვას მეხუთე თაობის ავიაგამანადგურებლების წარმოებაზე. ისიც ფაქტია, რომ რუსეთში ავიაგამანადგურებლების ავიაპარკი 1993 წლის შემდეგ არ განახლებულა.

პატარა დიმიტრის მოგონება

ერთი წელი სრულდება შენი გარდაცვალებიდან, ჩვენო საყვარელო ბიჭო, ერთი წელია რაც უსასოოდ ვართ და მხოლოდ შენი სურათები და საფლავის ქვა დაგვრჩა მოსაფერებლად. ერთი წელიწადიც კი ვერ მოილიე, 10 თვისა წარგიტაცა სიკვდილმა და ღრმა, მოუშუშებელი ჭრილობები შეგვრჩა მწარე რეალობად.

ახლა კი შენს ნათლიასთან – ნანა ფიფიასთან ერთად განისვენებს შენი უმანკო სული, იმ ნანა ფიფიასთან, რომელმაც სრულიად საქართველო გააოცა თავისი პროტესტით, როცა კორუმპირებულ ხელისუფლებას დევნილებისადმი აგდებული დამოკიდებულება არ აპატია და თავი დაიწვა.

ახლა კი ერთად ხართ და, ღრმად გვწამს, რომ თქვენს სულებს ღვთიური მირონი დაედინება.

გვინდა წარმოვიდგინოთ, როგორ იტიტინებდი ამ ასაკში, მაგრამ, ვაგლახ, რომ ვერასოდეს მოვისმენთ შენს ბავშვურ ჭყლოპინს, ჩვენს მეხსიერებას სამარადისოდ 10 თვის თოთო ბავშვად შემორჩები.

მშვიდობით, ჩვენო საყვარელო შვილო და შვილისშვილო – დიტო.

ამიერიდან მხოლოდ იმის იმედი გვანუგეშებს, რომ იმ ქვეყნად მაინც შეგხვდებით.

შენს ხილვასა და ხმას დანატრებული ოჯახი.

ISSN 1987-8966 ილორი

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სოხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge